ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

22 დეკემბერი, ორშაბათი, 2014 წ., №16

ნომერში

■ როგორ ეხმაურებიან აკადემიურ წრეებში სტუდენტთა ნაწილის მოთხოვნას უნივერსიტეტში რევოლუციური ცვლილებების დაწყების თაობაზე? გვ. 3



■ მომავლის მეცნიერი გვ. 5

■ იოსებ ყიფშიძის მემკვიდრეობა გვ. 14



■ „ლეგენდა მეგობრობაზე — გოგლიკოს 19 წელი“ გვ. 15

სტუდ-ეტიკეტი
მე-7-10 გვ.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

2015 წელი, ჩვენი ჩანაფიქრით, უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურების წელი უნდა იყოს. ამ მიმართულებით ჩაფიქრებული გვაქვს მთელი რიგი ღონისძიებები, რათა ჩვენი პროფესურა, ჩვენი სტუდენტობა უფრო აქტიურად ჩაერთოს სამეცნიერო კვლევებში. ჩვენ გვინდა, 2015 წელი ნიშანდობლივი იყოს ისეთი სამეცნიერო კვლევების წარმოებით, რომლებიც საერთაშორისო დონეზე იქნება აღიარებული.

მინდა, 2015 წელი მივულოცო ჩვენს საუნივერსიტეტო საზოგადოებას — იქნება ეს პროფესორი, სტუდენტი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი თუ დამხმარე პერსონალი... ახალი, 2015 წელი მათ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში წარმატებული წელიწადი ყოფილიყოს! თითოეულ მათგანს ვუსურვებ გედნიერებას, ჯანმრთელობას და, რა თქმა უნდა, სიმშვიდეს საკუთარ ოჯახებში.

ლადო პაპავა,
თსუ-ის რექტორი,
აკადემიკოსი

რა ღონისძიებებს გეგმავს თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი საახალწლოდ

წინასაახალწლო პერიოდი განსაკუთრებით დატვირთულია თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისთვის, იგეგმება სხვადასხვა საახალწლო პროექტები. 9 დეკემბერს „თსუ გორდელა“-ს კონცერტი გაიმართა, ხოლო 15 დეკემბერს — ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი. 18 დეკემბერს ჩატარდა „სტუდენტური დღეები“, რომელსაც უნივერსიტეტში დიდი ტრადიციები გააჩნია. იგი წლების მანძილზე მივიწყებული იყო, მაგრამ სტუდენტთა მოთხოვნით კვლავ აღდგა.

23 დეკემბერს მან-სან-კანის ფინალი შედგება, ხოლო 25 დეკემბერს კონცერტს გამართავს მუსიკალური ბენდი „TSU ART“, რომელიც სტუდენტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. 27 დეკემბერს თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი თსუ-ის შემოქმედებით ანსამბლებთან ერთად მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლს ეწვევა, სადაც გამართავენ საქველმოქმედო კონცერტს.

3-4 იანვარს თსუ-ში ბავშვებისთვის ტრადიციული საახალწლო წვეულება გაიმართება, სადაც თსუ-ის თეატრალური დასი წარმოდგენას გამართავს.

გადაცემა ყველა უნივერსიტეტელისთვის

უყურეთ შაბათს, 27 დეკემბერს და 3 იანვარს, 17 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში საახალწლო გადაცემას **„უნივერსიტეტი“**

მოგვწერეთ:
facebook.com/Tsu/თსუ გადაცემა – უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახალ დეკანს აირჩევს

23 დეკემბერს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო ახალ დეკანს აირჩევს. კენჭისყრის პროცესში სამი კანდიდატი იღებს მონაწილეობას — თსუ-ის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია, საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი სერგი კაპანაძე და პოლიტოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი ნანი მაჭარაშვილი. თუ რა ხედვები აქვს თითოეულ კანდიდატს, ამაზე მეტყველებს მათ მიერ შემუშავებული ფაკულტეტის განვითარების კონცეფციები (გთავაზობთ კონცეფციებიდან ამონარიდებს).

■ ■ ■

თსუ-ის ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია: „სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მთავარი გამოწვევა სწორედ განათლების ხარისხის გაუმჯობესებაა. მაღალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ხარისხის მისაღწევად, რეალური აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური მიუკერძოებლობის ამოსავალი პრინციპების დაცვით, მიმაჩნია, რომ აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი სახის ღონისძიებები: ფაკულტეტისთვის ავტონომიის უზრუნველყოფა და ფაკულტეტის სტრუქტურულ-ფუნქციური რეორგანიზება, რათა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ხარისხიანი სწავლების, კვლევისა და სამეცნიერო დისკუსიებისთვის; ფაკულტეტის მართვის სისტემის სრულყოფა გუნდური მუშაობის პრინციპით და პროფესორთა მაქსიმალური ჩართულობით; მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრების მოზიდვა და დაინტერესება; კონკურსით შერჩეული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის მონიტორინგი გარკვეულ ვადაში და ხელშეკრულების ამ პრინციპით გაგრძელება; აკადემიური პერსონალის დატვირთვაში სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების თანაბრად გათვალისწინება;

ასევე მიმაჩნია, რომ აუცილებელია დაიწყოს — **კვლევაზე დაფუძნებული სწავლება**. ფაკულტეტის პროფესორთა სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება კვლევისა და სწავლის ერთიანი სივრცის შესაქმნელად; აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება; კვლევის საერთო არეალის იდენტიფიცირება, მიმართულებებს შორის სამეცნიერო დიალოგისა და დისკუსიების დანერგვა-განვითარებისთვის; სტუდენტთა და პროფესორთა ერთობლივი კვლევების წახალისება;

მნიშვნელოვანი მიმართულებაა — **ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესება**, სასწავლო პროგრამების სრულყოფა განახლებული სტანდარტების შესაბამისად; სამაგისტრო-სადოქტორო სკოლის მოდელის შემუშავება, კვლევითი კომპონენტის უზრუნველსაყოფად და ახალგაზრდა მეცნიერთა აღსაზრდელად; საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად ერთობლივი და ორმაგი ხარისხის სასწავლო პროგრამების დანერგვა; ფაკულტეტზე სხვადასხვა პროფილის ჯგუფის შექმნა - კურიკულუმის განვითარების, საგრანტო პროექტების შექმნის, უცხოეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისა და სხვ. მიზნით; ბიზნეს გარემოსა და სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის ტრენინგებისა და საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზება, მატერიალური სტიმულისა და პრესტიჟის ამაღლების თვალსაზრისით;

უფრო მეტად უნდა შევუწყოთ ხელი სტუდენტთა და პროფესორთა პროფესიული მობილობას; საერთაშორისო კავშირების გაღრმავებას უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან გამოცდილების გაზიარებისა და საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით;

საჭიროა ფაკულტეტის დამოუკიდებელი და გარანტირებული ბიუჯეტით უზრუნველყოფა, დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება, პროფესორთა და სტუდენტთათვის მაღალტექნოლოგიური საინფორმაციო და საკომუნიკაციო სივრცის შექმნა, სტუდენტთა კარიერული ცენტრის განვითარება, დამსაქმებლებთან ერთად კურსდამთავრებულთა დასაქმებისთვის ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება.

■ ■ ■

თსუ-ის ასოცირებული პროფესორი სერგი კაპანაძე: „სამწუხაროდ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებების ფაკულტეტზე, ბოლო წლებში, განვითარდა არაჯანსაღი სიტუაცია, რის გამოც შეუძლებელი გახდა ნორმალური მართვის სისტემის ჩამოყალიბება და დაგროვილი პრობლემების გადაჭრა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტი გაერთიანდეს, მოიხსნას დაძაბულობა და აკადემიურ პერსონალს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას მიეცეს საშუალება — ერთად იზრუნონ ფაკულტეტის განვითარებაზე.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების მიზნით დაისახება შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები: 1. სტუდენტების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს საგნებზე დარეგისტრირების სისტემის დახვეწას, ერთი ფანჯრის მომსახურების სისტემის დანერგვას, სტუდენტურ თვითმმართველობასთან ხარისხობრივად გაუმჯობესებულ ინტერაქციას, სტუდენტების დაფინანსების საქმის დივერსიფიცირებას, სტუდენტების ჩართვას კვლევით პროექტებში და ადმინისტრირებაში; ასევე, სტუდენტებს და ლექტორებს შორის კომუნიკაციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტების დასაქმებაზე ზრუნვა. 2. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება — გულისხმობს საუკეთესო ლექტორების მოზიდვას ფაკულტეტზე, საჯარო ლექციების რეგულარულად ორგანიზებას, სასწავლო ლიტერატურის გაუმჯობესება-განახლებას, ელექტრონული სწავლების მეთოდებზე თანდათანობით გადასვლას, უცხო ენების სწავლების გაძლიერებას. 3. ფაკულტეტის დეცენტრალიზაცია — ანუ სრულფასოვანი დეპარტამენტების ჩამოყალიბება, დეპარტამენტების როლის გაუმჯობესებას სასწავლო პროცესის და ბიუჯეტის დაგეგმვის

ნანი მაჭარაშვილი

სერგი კაპანაძე

თამარ დოლბაია

მე-11 გვერდზე

„ჩვენ ვითხოვთ უკეთეს უნივერსიტეტს!“ — სტუდენტთა ჯგუფის მორიგი შეხვედრა გაიმართა

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის სტუდენტების ჯგუფი კამპანიას — „ჩვენ ვითხოვთ უკეთეს უნივერსიტეტს“ აგრძელებს. 5 დეკემბერს მათ სტუდენტებთან შეხვედრა გამართეს, სადაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან და თსუ-ის რექტორთან მოლაპარაკების დეტალები წარმოადგინეს.

სტუდენტებთან შეხვედრის დააანონსებასთან ერთად კამპანიის ორგანიზატორებმა სპეციალური მიმართვა გაავრცელეს, სადაც კიდევ ერთხელ განმარტეს მათი აქტივობების მიზეზები: „როგორც ვიცით, უნივერსიტეტის პრობლემებთან დაკავშირებით, ბოლო ორი თვის განმავლობაში, მიმდინარეობს სტუდენტების აქტიური კამპანია!

ერთ წელზე მეტია, უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს, თუმცა, უნივერსიტეტში ძველი პრობლემები და კადრები უცვლელი რჩება! აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ გვქონდა შეხვედრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან და უნივერსიტეტის რექტორთან. თსუ-ის რექტორთან გვქონდა გარკვეული მოთხოვნები, თუმცა ჩვენს შორის მოლაპარაკება ვერ მოხერხდა“.

„ჩვენ გვსურს რევოლუციური ცვლილებები, რექტორს კი ევოლუციური გზა ურჩევნია. არ გვინდა ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენი აქტივობები მართულია. ჩვენი ერთადერთი მიზანია სტუდენტების კონსოლიდირება და მათი ერთი მიზნისკენ მიმართვა“, — განაცხადა სტუდენტური კამპანიის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ის სტუდენტმა ნიკა ნაკაიძემ.

სტუდენტური საპროტესტო კამპანიის ორგანიზატორები უკმაყოფილებას გამოხატავენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული განათლების სისტემის რეფორმის კონცეფციის მიმართაც.

მათი განცხადებით, კონცეფცია უმაღლესი განათლების სისტემაში ფუნდამენტურ ცვლილებებს არ ითვალისწინებს.

„სახელმწიფო დაიწყებს გარე რეფერირების სისტემის ამოქმედებას. შედეგად უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიურ თანამდებობაზე შეირჩევიან და მმართველობით პოსტებზე დაწინაურდებიან ისეთი ადამიანები, რომლების სამეცნიერო კვლევები უკეთესი იქნება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქვს ასევე ახალი ტექნიკური მიმართულების პროგრამა, რომელიც რამდენიმე ქართული უმაღლესი სასწავლებლისა და ამერიკის ერთი უმაღლესი სასწავლებლის მიერ განხორციელდება, სწავლის ხანგრძლივობა 5 წელი იქნება და კურსდამთავრებულები ორ დიპლომს მიიღებენ. სამწუხაროდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხოლოდ ამ მიმართულებით აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში ისინი ჩარევას არ აპირებენ, რადგან, ჩემი შეფასებით, ეშინიათ მათი ფსევდო ავტონომიურობის შელახვის. დაფინანსებასთან დაკავშირებითაც თავს იკავებენ, ჩვენ ვითხოვდით პირდაპირი წესით დაფინანსების სისტემის ამოქმედებას, თუმცა ფიქრობენ, რომ ეს ნაადრევია. არ აქვთ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების განვითარების ჩამოყალიბებული ხედვა. მიაჩნიათ, რომ კერძო კომპანიებმა უნდა შეუკვეთონ მათ კონკრეტული კვლევები, რაც ჩვენთვის მიუღებელია. ასევე ქმნიან ინოვაციების სააგენტოს, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატზე იქნება მიმაგრებული. სააგენტო განათლების პრობლემებზე იმუშავებს. დაგვპირდნენ, რომ ამ პროცესში სტუდენტებსაც ჩაგვრთავენ. ასევე შეგვპირდნენ, რომ უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის პროცესი თავიდან დაიწყება. ჩვენ გვინდა სტუდენტებთან შეხვედრებს ინტენსიური ხასიათი მივცეთ, რადგან სამინისტროსა თუ თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთობლივი პოზიცია დავაფიქსიროთ“, — აღნიშნა შეხვედრაზე თსუ-ის სტუდენტმა ბათუ კოპალიანმა.

შეხვედრა სტუდენტური საპროტესტო კამპანიის ორგანიზატორებმა მათ ხელთ არსებული ინფორმაციის გასავრცელებლად და სტუდენტების მოსაზრებების მოსასმენად გამართეს, თუმცა ღონისძიებაზე საკმაოდ ცოტა ახალგაზრდა მივიდა. შესაბამისად, 5 დეკემბერს გამართულ შეხვედრაზე მისული სტუდენტების რაოდენობიდან თუ ვიმსჯელებთ, თსუ-ში ჩარიცხულ ახალგაზრდებს ან არ აინტერესებთ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული ვითარება, ან ამ კონკრეტული ჯგუფის ინტერესებს არ იზიარებენ.

„უახლოეს მომავალში კიდევ ვგეგმავთ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან შეხვედრას. ამიტომ გვსურდა გავსაუბრებოდით სტუდენტებს და ერთ კონკრეტულ პოზიციაზე შევჯერებულიყავით. მინდა გითხრათ, რომ სტუდენტებს აქვთ პროტესტის გრძნობა, არ მოსწონთ სწავლების მეთოდი და ხარისხი. მათი არ მოსვლის მიზეზი უიმედობაა. ახალი რექტორის არჩევას დიდი მოლოდინი ახლდა, ეგონათ, რომ ცვლილებები დაიწყებოდა და პროგრესს ვიგრძნობდით, თუმცა ზოგიერთს იმედი გაუცრუვდა. ახლა სიტუაცია ასეთია — სტუდენტების უმრავლესობა საკუთარ ძალას ვერ გრძნობს“, — გვითხრა თსუ-ის სტუდენტმა თამარ ლაფერაძემ.

სტუდენტური საპროტესტო კამპანიის ორგანიზატორებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან მორიგი შეხვედრა ჯერჯერობით არ გაუმართავთ. ბათუ კოპალიანის ინფორმაციით, ისინი ამჟამად საყდრისის საბადოზე განვითარებული მოვლენების პროცესებში არიან ჩართული, რის შემდეგაც განათლების სისტემის პრობლემებთან დაკავშირებულ აქტივობებს გააგრძელებენ.

როგორ ეხმაურებიან აკადემიურ წრეებში სტუდენტთა ნაწილის მოთხოვნას უნივერსიტეტში რევოლუციური ცვლილებების დაწყების თაობაზე?

ბლიც-ინტერვიუები

გვესაუბრება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი ეთერ ხარაიშვილი:

— რას ნიშნავს სტუდენტთა ჯგუფის მოთხოვნა — უნივერსიტეტში საჭიროა რევოლუციური ცვლილებები! ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?

— ზოგადად მიმაჩნია, რომ რევოლუციური ცვლილებები განათლების სისტემაში არ არის ეფექტური. ზოგიერთი ცვლილება საკანონმდებლო ნორმატივების შეცვლას მოითხოვს, რაც გრძელვადიან პერიოდთან არის დაკავშირებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გარკვეული რეფორმები გატარდა, თუმცა, ფრაგმენტულად, განვითარების სტრატეგიული და კომპლექსური ხედვების გარეშე. რაც შეეხება სტუდენტთა ჯგუფის მოთხოვნას — მათი აზრის მოსმენა აუცილებელია. გასათვალისწინებელია მათი მოთხოვნა აკადემიური და უფრო მეტიც, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევის წესში ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე, საკონკურსო მეთოდოლოგიის შეცვლაზე, სტუდენტებისა და აკადემიური, ასევე, ადმინისტრაციული პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრაზე, პროფესორების შეფასების კრიტერიუმების სრულყოფაზე.

ვფიქრობ, სწორედ სტუდენტთა მოთხოვნის დასტურია თსუ-ის რექტორატისა და ადმინისტრაციის მიერ ფაკულტეტზე განსახილველად წარმოდგენილი „მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნები თსუ-ის აკადემიური პერსონალისათვის“ და „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი“. ცხადია, საჭიროა სამეცნიერო კვლევის შეფასების სხვა ინდიკატორების განხილვაც, მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემაში მოსახვედრად შესაბამისი სამუშაოების განხორციელება, მაღალკვალიფიციური მკვლევარების წახალისების სისტემის შექმნა და სხვ. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად ამჟამად მუშაობს სასწავლო პროცესში ევროსტანდარტების მოთხოვნებსა და დანერგვის საკითხებზე. დარწმუნებული ვარ, ამ სტანდარტების მიხედვით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც მოხდება დასაბუთებული და არა ნაჩქარევი და ფრაგმენტული ცვლილებები.

— რა გზას უნდა მიმართოს რექტორატმა, რომელიც სტუდენტებისგან ზეწოლას განიცდის?

— სასურველია, რექტორატმა აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გაფართოებულ სხდომაზე განიხილოს სტუდენტთა მოთხოვნები და შეაფასოს — რამდენად არგუმენტირებულია მათი მოსაზრებები. მიზანშეწონილია, გაიმართოს სტუდენტთა საუნივერსიტეტო გამოკითხვა, რომლითაც გამოვლინდება რეფორმების ჩატარების აუცილებლობა და პრიორიტეტები.

გვესაუბრება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გიორგი ოთხმეზური:



— რამდენად რეალურია სტუდენტების მოთხოვნა უნივერსიტეტში რევოლუციური ცვლილებების დაწყების თაობაზე?

— არ ვიცნობ პროცესს და მიჭირს პასუხის გაცემა სტუდენტების მოთხოვნასთან დაკავშირებით. თუმცა, მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტში ცვლილებები გასატარებელია და პირველ რიგში ფაკულტეტები უნდა აღდგეს: 6 გამსხვილებული ფაკულტეტი კვლავ უნდა დაიშალოს ცალკეულ ფაკულტეტებად. ყველა პრესტიჟულ უნივერსიტეტს აქვს ისტორიის ფაკულტეტი, მათ შორის იმ უნივერსიტეტსაც კი, რომელიც ჯორჯ სოროსმა დააარსა ბუდაპეშტში. ჩვენს უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტი ყოველთვის ძლიერი იყო, ახლა კი ის აღარ გვაქვს.

გვესაუბრება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მერაბ კოკოჩაშვილი:



— თქვენი აზრით, რას ნიშნავს სტუდენტთა ჯგუფის მოთხოვნა უნივერსი-ტეტში რევოლუციური ცვლილებების შესახებ?

— მიჭირს რამის თქმა სტუდენტების მოთხოვნასთან დაკავშირებით, რადგან უნივერსიტეტის პრობლემებს ნაკლებად ვიცნობ. მე, ძალიან ვიწრო სპეციალობას – ტელე-კინო რეჟისურას ვხელმძღვანელობ და ამ მიმართულებაში არსებულ პრობლემებზე შემიძლია ვისაუბრო. პირველ რიგში, ვფიქრობ, რომ აუცილებელია სტუდენტების გაცილებით მკაცრად შერჩევა, განსაკუთრებით ჩვენს მიმართულებაში, რადგან ჩვენ შემოქმედებით-სამეცნიერო მიმართულება ვართ და აქ შესაფერისი მონაცემების სტუდენტები უნდა მოდიოდნენ, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდების მომზადების პრობლემა სასკოლო განათლებიდან მოდის, რადგან ჩვენთან სკოლა ინფორმატიკულ ცოდნას იძლევა და სიღრმისეული ცოდნა ნაკლებია — ამიტომაც გვიჭირს როგორც ჩვენ, ისე სტუდენტებს. ჩვენს შემთხვევაში რექტორატმა მართლა რაც უნდა შეცვალოს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა. საჭიროა კარგი ხმის ჩამწერი და გადამღები ტექნიკა, რომ სტუდენტებთან სერიოზული მუშაობა შევძლოთ. ეს არის ჩვენთან გასაკეთებელი და სხვა მიმართულებებზე რა ხდება, ვერ გეტყვით.

გვესაუბრება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი:

— რას ნიშნავს სტუდენტთა ჯგუფის მოთხოვნა — უნივერსიტეტში საჭიროა რევოლუციური ცვლილებები! ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?

— რევოლუციების მომხრე არასდროს ვყოფილვარ, განსაკუთრებით, როცა საქმე განათლების სფეროს ეხება. განათლების სისტემის განვითარებისთვის, ჩემი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტრადიციების და დაგროვილი პოზიტიური გამოცდილების გათვალისწინებას. რევოლუცია კი ყველაფერი ძველის დანგრევასთან ასოცირდება. უნივერსიტეტში გარკვეული ხარვეზებისა და პრობლემების მიუხედავად, ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციული და ინტელექტუალური პოტენციალი დაგროვდა, რომლის ეფექტური და რაციონალური გამოყენება აუცილებელია მომავალი წინსვლისთვის. პირადად მე ახალგაზრდული მაქსიმალიზმის კარგად მესმის, რადგანაც მათ ასაკში მეც მაქსიმალისტი ვიყავი, თუმცა წლებთან და გამოცდილებასთან ერთად მოვიდა იმის გაგება, რომ ევოლუცია არის პროგრესის ერთადერთი სწორი და მართებული ფორმა.

— რა გზას უნდა მიმართოს რექტორატმა, რომელიც სტუდენტებისგან ზეწოლას განიცდის?

— რექტორატმა მყარად და თანმიმდევრულად უნდა იმოქმედოს. იმ პრინციპების შესაბამისად, რომელიც თსუ-ის რექტორს აქვს ჩამოყალიბებული თავის საარჩევნო პროგრამაში. უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი სპონტანური და რეფლექტური ქმედება, როგორც ზემოქმედების მცდელობაზე რეაქცია, საიდანაც ან ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს უკანასკნელი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ არ მოვუსმინოთ სტუდენტთა შენიშვნებს და მოსაზრებებს, რომლებიც უნივერსიტეტში სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის სრულყოფის საკითხებს ეხება. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ უნივერსიტეტში პოლიტიკას რექტორი და აკადემიური საბჭო უნდა განსაზღვრავდეს.

გვესაუბრება ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ავთანდილ არაბული:

— თქვენი აზრით, რას ნიშნავს სტუდენტთა ჯგუფის მოთხოვნა უნივერსიტეტში რევოლუციური ცვლილებების შესახებ?

— სტუდენტების აქტივობა, ზოგადად, პოზიტიური მოვლენაა, თუკი მათ ზურგს უკან არავინ დგას. თუ სტუდენტები რაიმე ინიციატივით გამოდიან — ეს კარგია! ჩვენ ახალგაზრდების ინდიფერენტიზმზე ვსაუბრობთ და ვწუხვართ, და თუკი ისინი მართლა აქტიურობენ პრობლემების მოსაგვარებლად, ეს სასწავლო პროცესზეც აისახება. თავის დროზე, როდესაც უნივერსიტეტის რეფორმაზე იყო საუბარი, იქ სტუდენტობის ჩართულობაც იგულისხმებოდა, მაგრამ ეს რეფორმა ვერ გამოვიდა და თუკი ახლა მოხერხდება მათი პროცესებში ჩართვა, კარგი იქნება. ზოგადად მხოლოდ ეს შემიძლია ვთქვა, რადგან კონკრეტულად არ ვიცი, რას ითხოვენ სტუდენტები და რა პროცესები მიმდინარეობს ამ მხრივ.

გვესაუბრება თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი ნანა შათაშვილი:

— რამდენად ეთანხმებით სტუდენტთა ერთი ჯგუფის მოთხოვნას — უნივერსიტეტში რევოლუციური გარდაქმნების ჩატარების აუცილებლობის შესახებ?

— თუ სწორად მესმის „რევოლუციურის“ განმარტება, ის გულისხმობს სწრაფ და მნიშვნელოვან თვისებრივ და ხარისხობრივ ცვლილებებს. ჩემი აზრით, არის ისეთი საკითხები, რაშიც საჭიროდ მიმაჩნია „რევოლუციური“ ცვლილებები და არის საკითხები, რაშიც, ვფიქრობ, რომ რევოლუცია საჭირო არ არის. ანუ, ზოგიერთი საკითხი, განსაკუთრებით შემოქმედებითი სფეროდან, სათუთია სწრაფი და მნიშვნელოვანი ცვლილებების მიმართ, რადგანაც ეს სფერო მყარია/მდგრადია დიდი ხნის განმავლობაში. ამ მიმართულებებში თუ ცვლილებები პროფესიონალური და მნიშვნელოვანი პოზიტიური განვითარების მიზნისკენ არ იქნა მიმართული, შესაძლებელია უარესი შედეგიც მივიღოთ. ამიტომ საჭიროა ასეთი სფეროების დღევანდელი და გუშინდელი მდგომარეობის, საერთაშორისო მოთხოვნების და მომავალი მიზნების სირღმისეული შესწავლა და მხოლოდ ამის მერე, კონკრეტული გეგმით (რომელშიც პროფესიონალები იღებენ მონაწილეობას) უნდა განხორციელდეს ცვლილებები.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ, სტრუქტურულ და ზოგად, არაშემოქმედებით სფეროებს, მიმაჩნია, რომ აქ საუნივერსიტეტო შემოქმედებითი (სასწავლო–სამეცნიერო) ცხოვრების გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის მიმართული აუცილებელი და სწრაფი ცვლილებები, მართლაც, განსახორციელებელია.

— კონკრეტულად რა საკითხები საჭიროებენ რევოლუციურ ცვლილებებს?

— ვფიქრობ, რომ ჯერ პირობები უნდა შეიქმნას მოღვაწეობისათვის/სწავლისათვის და მერე — მოთხოვნები. შედეგად, განვითარებაც და მაღალ სტანდარტებთან მიახლოებაც ხელმისაწვდომი იქნება. ამას, ცხადია, დიდი ძალისხმევა და ნება სჭირდება. ასევე აუცილებელია ადმინისტრაციული და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მზაობა. სამწუხაროდ, რეალობა პირიქითაა – მოთხოვნები არის და ისინი მუდმივად რთულდება, მაშინ, როცა თანამედროვე სტანდარტთან მიახლოებული პირობები პრაქტიკულად არ გვაქვს (განსაკუთრებით ისეთ ფაკულტეტებზე, სადაც ექსპერიმენტული, ლაბორატორიული კვლევაა აუცილებელი და სტუდენტებთან მუდმივი კონტაქტი და კვლევებში მონაწილეობა თითქმის დღე და ღამეა საჭირო). ასეთნაირად მაღალ სტანდარტამდე ვერ მივალთ და უფრო უარესიცაა მოსალოდნელი – სტანდარტი უფრო დაქვეითდება და მივიღებთ ისეთ სიტუაციას, როდესაც ყველა ცდილობს ყველა საკითხში გამოსავლის ძიებას და, ასე ვთქვათ, „იმ მომენტში თავის გადარჩენას“. ვფიქრობ, ის, თუ რა უნდა გაკეთდეს და რა უნდა იყოს თსუ-ის მთავარი პრიორიტეტები, პროფესიონალების გადასაწყვეტია. უნივერსიტეტი არ უნდა ცხოვრობდეს იმ რეჟიმში, რომ, რაც შეიძლება ნაკლები ფული დაიხარჯოს ან საერთოდ უფულოდ, მხოლოდ ენთუზიაზმზე და საერთაშორისო კონტაქტების ხარჯზე გაკეთდეს საქმე.

მოკლედ რომ ვთქვათ, სტანდარტის ამაღლებაა საჭირო და არა წუთიერი გამოსავლის ძიება (რასაც, როგორც წესი, სტანდარტის შენარჩუნება კი არ მოსდევს, არამედ მისი დაქვეითება და, სამწუხაროდ, ამით პროფესიონალებს კი არა, გაუგებარია, ვის და რას ვინარჩუნებთ/ხელს ვუწყობთ,).

არ დაგვავიწყდეს, რომ სტუდენტი კარგი ინდიკატორი იყო, არის და იქნება ყველა ქვეყანაში და, მით უფრო, უნივერსიტეტში.

როგორ ეხმაურებიან აკადემიურ წრეებში სტუდენტთა ნაწილის მოთხოვნას უნივერსიტეტში რევოლუციური ცვლილებების დაწყების თაობაზე?

ბლიც-ინტერვიუები

თუ ისინი თვლიან, რომ რაღაც შესაცვლელია, ესე იგი, ნაწილობრივ მაინც გასაკეთებელია ეს ცვლილებები. მაგალითის მოსაყვანად თუნდაც ის რად ღირს, რომ საუკეთესო, საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული აბიტურიენტები ბოლო წლებში თსუ-ში აღარ მოდიან.

— ***რა ცვლილებები უნდა განახორციელოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, რათა უნივერსიტეტში დაიწყოს გარდაქმნები, რომელიც სასურველ შედეგებამდე მიგვიყვანს?***

— აქ ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ ახორციელებს ამ ცვლილებებს, როგორ და როდის. ჩემი აზრით, ამას მხოლოდ ადმინისტრაცია არ უნდა აკეთებდეს. ამ პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ წამყვანი კვალიფიციური სპეციალისტები. სხვანაირად სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა. ასევე კარგად უნდა განიმარტოს, რა არის ეს „სასურველი შედეგი“ — ალბათ აქ უნდა გავმიჯნოთ ზოგადად საუნივერსიტეტო სტრატეგიული და კონკრეტულად — დარგობრივი შედეგები; შესაბამისად, განმახორციელებელი და სტრატეგიის შემქმნელი ჯგუფებიც სხვადასხვა ან შერეული იქნება. როგორც ჩემთვის ცნობილია, უკვე შექმნილია კომისია თსუ-ის მოდერნიზაციის მიზნით (საინტერესოა ამ კომისიის მუშაობის წესი და მიზნები). ამის მერე უნდა დაისახოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა და შესაბამისი განხორციელების გზები. მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებები ემსახურებოდეს სტუდენტებისა სწავლისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მოღვაწეობისათვის თანამედროვე პირობების შექმნასა და განვითარებას. დღესდღეობით, ნაწილობრივ მწირი ფინანსების გამოც (და არა მარტო), ასე არაა. შედეგად კი ვიღებთ არასასურველ შედეგს — აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, იმის ნაცვლად, რომ დაკავებულნი იყვნენ პროფესიული საქმიანობით, უმეტესწილად ასრულებენ ისეთ საქმიანობას, რომელიც ადმინისტრაციის გასაკეთებელია ან საერთოდ არაა გასაკეთებელი; ეს მათ დროსა და ენერგიას აკარგვინებთ და ასეთი მწირი დაფინანსებისა და მოძველებული სამუშაო გარემოს პირობებში წარმოუდგენელია საერთაშორისო სტანდარტის განვითარება და შედეგები. ეს მხოლოდ რჩეულებს, ისიც დიდი გამოცდილებისა და საერთაშორისო კონტაქტების მქონეებს შეუძლიათ. ყველას ამას ვერ მოვთხოვთ მოღვაწეობისათვის შესაბამისი პირობების გარეშე, მითუმეტეს, სტუდენტებს, რაც ძალიან სავალალოა. ბევრი დეტალის მოყვანა აქ შორს წაგვიყვანდა, დარწმუნებული ვარ, ყველა დარგს თავისი პრობლემა აქვს და არის ზოგადი პრობლემებიც.

დასასრულ, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საჭიროა თანამედროვე ტიპის ლაბორატორიები, სამეცნიერო ექსპერიმენტების გაძღოლა, წამყვანი ჟურნალების გამოწერა, სტუდენტების აქტიური ჩაბმა კვლევებში, სტუდენტებისათვის სამუშაო გარემოს შექმნა და ა.შ. — მარტო ხელფასის გაზრდით აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი ასეთ სტანდარტს ვერ უზრუნველყოფს და ეს, პირველ რიგში, სახელმწიფოს და უნივერსიტეტის საზრუნავია. აქ განმსაზღვრელია სასწავლო–სამეცნიერო პროცესზე გულშემატკივრობა და არა იმაზე ზრუნვა, რომ დოკუმენტები და ანგარიშები იყოს წესრიგში. ასევე მნიშვნელოვანია პროფესიონალმა ლიდერებმა აიღონ თავზე პასუხისმგებლობა და პროფესიონალებსა და ადმინისტრაციას შორის იყოს თვითშეთანხმებული ურთიერთკავშირი.

გვესაუბრება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ვახტანგ ლიჩელი:

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სტუდენტების უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ თეორიულ სწავლებასთან ერთად, არ აქვთ სათანადო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა. რადგან საკითხი ასე დგას, ეს ნიშნავს, რომ გარკვეულ რეალურ პრობლემასთან გვაქვს საქმე, თუმცა ჩემთვის ის კონკრეტული დარგები უცნობია, რომელზეც სტუდენტები საუბრობენ. მე შემიძლია განვმარტო ის, რაც ხდება ჩვენს შემთხვევაში, ანუ არქეოლოგიაში: აქ სრულიად განსხვავებული რეალობაა. არქეოლოგიის მიმართულებაზე სტუდენტებს არათუ მოკლევადიანი პრაქტიკა აქვთ, არამედ ორი-სამი თვე მონაწილეობენ ექსპედიციებში (ეს ეხება სამივე საფეხურის სტუდენტებს) და ყველა მთავარ საქმეს ისინი აკეთებენ. ანუ ის ცოდნა, რაც მათ სემესტრის მანძილზე თეორიულად აქვთ მიღებული, რეალიზებულია პრაქტიკულ საქმიანობაში. როგორც კი მთავრდება სემესტრი, არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტები მიდიან გათხრებზე და აუარებელ სამუშაოს აკეთებენ. რაც მთავარია, ეს არ არის მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული საქმე, ისინი გადიან საველე კვლევის სრულ სამეცნიერო ციკლს, ანუ იმას, რაც მათ უნდა იცოდნენ არქეოლოგიური კვლევების დროს. თუმცა, ვიმეორებ, რომ სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით გამოთქმული სურვილი სრულიად ბუნებრივია და მართებული.

რაც შეეხება რევოლუციურ გარდაქმნას, მე საზოგადოდ ვარ რევოლუციების წინააღმდეგი და ამ შემთხვევაშიც ვიზიარებ იმ აზრს, რომ რევოლუცია საგანმანათლებლო სფეროში კარგს ვერაფერს მოიტანს. ერთი ასეთი რევოლუციური გარდაქმნა — შესაძლოა წარმატებულიც — უკვე იყო ბოლონიის პროცესში გაერთიანება. ამიტომ მხარს ვუჭერ აქტიურ ევოლუციურ განვითარებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ პროცესები უნდა განვითარდეს უწყვეტად, რეალურად და შედეგიანად.

დღეს, ცხადია, გამოსასწორებელი და გასაკეთებლი ბევრი რამაა. მაგალითად, ჩვენ აშკარად განვიცდით აღჭურვილობის ნაკლებობას. მართალია, ხშირად ეს ძალიან ძვირად ღირებული ტექნიკაა, მაგრამ მის გარეშე დღეს უკვე მუშაობა და მაღალი კვალიფიკაციის სტუდენტის მომზადება შეუძლებელია. ჩვენ მოვძებნეთ გარკვეული გამოსავალი იმ თვალსაზრისით, რომ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან ერთობლივ ექსპედიციებში ჩვენი სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან საველე სამუშაოებისთვის საჭირო სათანადო აღჭურვილობით, მაგრამ გვაქვს ჩვენი, საუნივერსიტეტო ექსპედიციებიც და მისი უზრუნველყოფაც ისევეა საჭირო ამ აღჭურვილობით, როგორც ერთობლივი ექსპედიციებისა.

ასევე მოსაგვარებელია საუნივერსიტეტო ტრანსპორტის საკითხი. ჩვენს ავტოფარეხში თავმოყრილი მანქანები დიდი ხნის მოძველებულია, თუმცა ჩვენ მაინც აქტიურად ვიყენებთ 20-24 წლის „რაფს“. ეს წლების განმავლობაში დაგროვებული პრობლემაა და საჭიროებს გადაწყვეტას. საქმე ისაა, რომ არის რიგი ისეთი საგნებისა, რომელშიც თეორიული ნაწილის გავლისთანავე საჭიროა სტუდენტების ველზე გაყვანა და ცოდნის პრაქტიკული შეხებით განმტკიცება... ვფიქრობ, რომ ეს ეხება არა მხოლოდ არქეოლოგიას, არამედ სხვა მიმართულებებსაც, განსაკუთრებით კი ეთნოლოგიასა და ხელოვნებათმცოდნეობას. უაღრესად აქტუალურია არქეოლოგიის მუზეუმის ექსპოზიციის დასრულებაც, რადგან ეს კიდევ ერთი სივრცეა, რომლიც, პირველ რიგში, სტუდენტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად არის საჭირო, თუმცა მას აქვს კიდევ ერთი და შესაძლოა, უმთავრესი ემოციური დატვირთვაც — ექსპოზიციაში გამოფენილი იქნება ძირითადად ის არტეფაქტები, რომლებიც სწორედ ჩვენი სტუდენტების მიერაა მოპოვებული. ბატონ ლადო პაპავას შევხვდი და ბატონ დავით ჩომახიძესთან და ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯი უკვე გადაიდგა სათანადო დაფინანსების მოსაპოვებლად.

აქვე უნდა ითქვას, რომ სულ რამდენიმე დღის წინ, დეკანატის მოთხოვნის საფუძველზე, ადმინისტრაციას განსახილველად გადავეცი ელემენტარული ტექნიკის ჩამონათვალი, პირველადი აღჭურვილობის სია, ის, რაც გვჭირდება და რაც უნდა გაკეთდეს სასწავლო პირობების გასაუმჯობესებლად. ამდენად, პროცესი უკვე მიმდინარეობს და თუ მოულოდნელად რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორი არ გამოჩნდა, აუცილებლად მივიღებთ იმ შედეგს, რაც საჭიროა ხარისხიანი სწავლისა და ხარისხიანი სწავლებისთვის.

გვესაუბრება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი კახა გაგუნია:

— უნივერსიტეტში რომ უამრავი რეფორმაა გასატარებელი, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. არ მიკვირს, რომ ახალგაზრდობას ასეთი მოთხოვნები აქვთ – ისინი დღეს სწავლობენ აქ და უნდათ, უცებ მოგვარდეს ყველაფერი, მაგრამ რეალურად ასე არ ხდება. ბატონი ლადო პაპავა თავადაც ეთანხმება ცვლილებების გატარების აუცილებლობას და მასაც არაერთხელ განუცხადებია ამის შესახებ, მაგრამ იმ მძიმე მემკვიდრეობის გამოსწორება, რაც უნივერსიტეტს ერგო წინა წლებიდან, ერთი ხელის მოსმით შეუძლებელია. მთავარია, ჩვენ დავინახოთ ტენდენცია და გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯები. ეს კი აშკარად ჩანს, თუმცა მას ერთი-ორი წელი არ ეყოფა.

მიმაჩნია, რომ წინა წლებში არასწორი მიმართულებით სვლის პროცესი შორსაა წასული და ამას ეტაპობრივად, ნელ-ნელა უნდა ეშველოს.

რაც შეეხება იმას, თუ რა უნდა გააკეთოს ადმინისტრაციამ ამ პრობლემების მოგვარებისთვის, მიჭირს კონკრეტული რეცეპტის მოძებნა. ძალიან ბევრი რამ ძირეულადაა შესაცვლელი. ამ ცვლილებებს ერთგვარი არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმაც მოჰყვება და ცოტა მეცოდება კიდეც რექტორი ამისთვის, მაგრამ, პირველ ეტაპზე, მთავარია სწავლების ხარისხის კუთხით გამოსწორდეს მდგომარეობა, რადგან მოგვიწევს „გაჯიბრება” ისეთი მაღალი დონის სასწავლებლებთან, რომელიც ევროპულ სივრცეში გამოირჩევიან.

მთავარი ერთია — ეს ის შემთხვევაა, როცა სტუდენტების და უნივერსიტეტის, რექტორატისა და ადმინისტრაციის მოთხოვნა ერთმანეთს ემთხვევა, უბრალოდ, აქ ვადაშია განსხვავება — ახალგაზრდებს უნდათ პრობლემების ჩქარა მოგვარება, ადმინისტრაციამ და რექტორატმა კი იცის, რომ ეს ასე სწრაფად ვერ მოგვარდება და ამას ეტაპობრივი ცვლილებები სჭირდება. მე ვეთანხმები ამას, ოღონდ, ეს „ეტაპობრიობა“ და „თანდათანობა“ გულხელდაკრეფით ჯდომას არ უნდა გულისხმობდეს.

მოამზადეს:
მაია ტორაძემ,
ლელა კურდღელაშვილმა,
თამარ დადიანმა

პრესკონფერენცია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, 9 დეკემბერს, გაიმართა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის პრესკონფერენცია. მედიის წარმომადგენლებს პრეზიდენტმა, ერთგვარი შემაჯამებელი ანგარიში წარუდგინა იმის შესახებ, თუ რა მიღწევები ჰქონდათ ქართველ მეცნიერებს და საერთოდ, მეცნიერებათა აკადემიას 2014 წელს.

გიორგი კვესიტაძე

აკადემიის პრეზიდენტის თქმით, 2014 წელი მეცნიერებათა აკადემისთვის ნაყოფიერი და წარმატებული იყო. ამ წელს აკადემიამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა ენერგეტიკის სამინისტროსთან, სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდთან“, კომის რესპუბლიკის ქალაქ დონის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. გაიმართა გამოჩენილი მეცნიერებისა და აკადემიკოსების იუბილეები, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციები. მეცნიერებათა აკადემიაში სტუმრად იმყოფებოდნენ - ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუვალ ფუქსი, ყაზახეთის ელჩი ერმუხამეტ ერტისბაევი და ასევე, ცნობილი ბრიტანელი მოგზაური, მწერალი და მეცნიერი ტიმ სევერინი. ამას გარდა, მოეწყო კავკასიელ მათემატიკოსთა საერთაშორისო კონფერენცია და კონფერენცია „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“.

2014 წელს ასევე გაიმართა მეცნიერებათა აკადემიის, სოფლის მეურნეობის აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი კრება, რომელიც მიეძღვნა — მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას და სასურსათო უსაფრთხოებას. 2014 წელს შეიქმნა საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, რომლის ამოცანებია ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია და ხელშეწყობა.

მეცნიერებათა აკადემიისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩინეთ-საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შექმნა. კერძოდ, მეცნიერებათა აკადემიასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ იანტაის ახალი და მაღალი ტექნოლოგიების ზონის გაცვლის საერთაშორისო ცენტრს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერის, ტექნოლოგიებისა და მეცნიერული დამუშავების კომერციალიზაციის საფუძველზე, წარმოებაში ახალი და მაღალი ტექნოლოგიების დანერგვას და ა.შ.

„დღეს 350-ზე მეტი ქართველი მეცნიერი მოღვაწეობს საზღვარგარეთ. ეს რიცხვი ჩვენისთანა პატარა ერისთვის ძალიან ბევრია. მაგრამ, საბედნიეროდ, ქვეყნიდან მეცნიერთა გასვლის ტენდენცია შეჩერებულია. ახლა ვცდილობთ შევქმნათ ერთიანი სამეცნიერო სივრცე და „შემოვიტყუოთ“ ეს მეცნიერები, რათა აქტიურად ჩავრთოთ ჩვენს მუშაობაში... უცხოეთში მოღვაწე მეცნიერებმა დიდი სამსახური გაუწიეს საქართველოს. პირველ რიგში, მათ საქართველოს ცნობადობა გაზარდეს და მეორეც, მათთან ვაგზავნით ქართველ მეცნიერებს პრაქტიკის მისაღებად და ისინიც უანგაროდ გვეხმარებიან, რომ არაფერი ვთქვათ მათ სამეცნიერო მუშაობაზე, რითაც წვლილი შეაქვთ მეცნიერების განვითარებაში“, — განაცხადა გიორგი კვესიტაძემ პრეს-კონფერენციაზე.

მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ მედიის წარმომადგენლებს მჭიდრო თანამშრომლობა შესთავაზა იმ იმედით, რომ აკადემიის საქმიანობა და მედიასთან ინტენსიური კონტაქტები უფრო ნაყოფიერი იქნება.

იუბილე

მომავლის მეცნიერი

ცნობილი გამოთქმაა, „ბრძენკაცს ისე თავმდაბლად უჭირავს თავი, თითქოს თვითონ კი არ ასწავლიდეს სხვას, არამედ სხვისგან სწავლობდეს“ (ვეისი). ის, ვინც პროფესორ გურამ კარტოზიას იცნობდა, მის თავმდაბლობაში სწორედ ბრძენკაცს ხედავდა, ვინც — არა, მას შეეძლო ამ დღეებში მცირე ხნით მოესმინა მისი კოლეგებისა და მოწაფეებისთვის და კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდა, რომ არაფერია იმაზე დიდი ადამიანობა, როცა, შენს მემკვიდრეობასთან ერთად, ასე ეძვირფასებოდე ყველას, ასე ტკივილით და სიყვარულით გიხსენებდნენ სიკვდილის შემდეგაც.

პროფესორი გურამ კარტოზია ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში მოღვაწეობდა. მისი სამეცნიერო კვლევის ინტერესი შეეხებოდა ქართველურ ენათა ფონეტიკა-ფონოლოგიის, გრამატიკისა და ლექსიკოლოგიის საკითხებს, რუსთველოლოგია-ტექსტოლოგიას, ფოლკლორისტიკას, საბიბლიოთეკო დარგის ტერმინოლოგიას. მისი ბიბლიოგრაფია 100-ზე მეტ პუბლიკაციას — წიგნს, გამოსაცემად მომზადებულ ტექსტსა და სამეცნიერო სტატიას მოიცავს. იგი იყო ადამიანი, რომელმაც ისე მოიპოვა ანგარიშგასაწევი ქართველოლოგის წოდება, რომ საკანდიდატო დისერტაციაც არ დაუცავს. მან მხოლოდ 60 წლის ასაკში „მოიცალა“ და უკვე 100-მდე ნაშრომის ავტორმა წარადგინა დასაცავად საკვალიფიკაციო შრომა.

მაია ტორაძე



ბიოგრაფიული შტრიხები

გურამ ალექსანდრეს ძე კარტოზია 1934 წლის 31 ოქტომბერს თბილისში, პედაგოგების ოჯახში დაიბადა. ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1957 წელს (სპეციალობით კავკასიური ენები). იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ხოლო მომდევნო წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სწავლულ მდივნად.

1959-1962 წლებში გურამ კარტოზია სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში, სპეციალობით ქართველური ენები (ხელმძღვანელი აკადემიკოსი ვარლამ თოფურია). 1963 წელს გურამ კარტოზიამ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში მეცნიერ-თანამშრომლად. 1966 წელს იგი დაინიშნა ამ კომისიის სწავლულ მდივნად, ხოლო მოგვიანებით, ამავე კომისიის მთავარი რედაქციის სწავლულ მდივნად. 1994 წელს გურამ კარტოზიამ შეთავსებით დაიწყო მუშაობა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, სადაც 1999 წელს სათავეში ჩაუდგა ქართველურ ენათა სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას.

გურამ კარტოზია კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში. იგი მრავალი წლის განმავლობაში იყო შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტისა და სულხან-საბა ორბელიანის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოების წევრი, ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხების“ სარედაქციო კოლეგიისა და „ქართველოლოგიური ბიბლიოთეკის“ სარედაქციო საბჭოს წევრი. გურამ კარტოზიას ათობით სამეცნიერო სტატია აქვს გამოქვეყნებული უცხო ენაზე ევროპის სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში.

მონოგრაფია „ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში“ (2005) გამოქვეყნებისთანავე ითარგმნა და გამოიცა გერმანიაში. ნაშრომმა სამართლიანად მოიპოვა ფართო საერთაშორისო რეზონანსი. განსაკუთრებით აღსანიშნავია გურამ კარტოზიას მიერ განეული შრომა თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულების, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს, ტექსტის დასადგენად და გამოსაცემად მოსამზადებლად. მისი ეს ღვაწლი აღინიშნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიით, რომელიც მეცნიერს გარდაცვალებამდე ორიოდე თვით ადრე მიენიჭა.

აღსანიშნავია გურამ კარტოზიას შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომები: „ტექსტოლოგიური გამოკვლევები“ (2004), „ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში“ (2005), „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ (2010), რომელზეც სიცოცხლის ბოლო წლებში მოწაფეებთან ერთად იმუშავა.

რეტროსპექტივა — მზერა წარსულსა და მომავალში

16 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გურამ კარტოზიას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში მოაწყო გამოფენა, რომელზეც დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა, თვალი გაედევნებინა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოებისათვის. აქვე იყო წარმოდგენილი მისი მეცნიერული მემკვიდრეობა — ნაბეჭდი წიგნები, ხელნაწერები, ჯილდოები და პირადი ნივთები.

პროფესორმა რამაზ ქურდაძემ გამოფენის გახსნაზე ვრცლად ისაუბრა იმ ექსპონატებზე, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ ასახავდა გურამ კარტოზიას მდიდარ მემკვიდრეობას. მან განსაკუთრებით გამოკვეთა საექსპედიციო ჩანაწერები, რომელთა ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია. „გასული საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: კახეთში, სვანეთში, სამეგრელოსა და ლაზეთში (მათ შორის თურქეთის ლაზეთში) გურამ კარტოზიას მიერ ჩაწერილი ტექსტები მდიდარი მასალაა ინტერდისციპლინარული კვლევისათვის. ეს ჩანაწერები შეიცავს უნიკალურ ინფორმაციას, რომლის მოძიება დღეს ლაზეთში შეუძლებელია იმის გამო, რომ დროთა განმავლობაში დავიწყებული და გამქრალია“, — აღნიშნა რამაზ ქურდაძემ.

პროფესორი გურამ კარტოზია აქამდე ცნობილი იყო როგორც ძველი ქართული ენის უბადლო მცოდნე, არაჩვეულებრივი ტექსტოლოგი, მეგრული და ლაზური ტექსტების გამომცემელი და მკვლევარი, ამ გამოფენამ კი ცხადყო, რომ გურამ კარტოზიას გასული საუკუნის 50-იან წლებში გაკეთებული აქვს სვანური ტექსტების საექსპედიციო ჩანაწერები და ლინგვისტური შენიშვნები, რომელთა დამუშავება და ბეჭდურად გამოცემა, ოჯახთან შეთანხმებით, საშური და გადაუდებელი საქმეა.

ორგანიზატორმა და გურამ კარტოზიას მოწაფემ მაია ლომიამ უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ლადო პაპავას მოწაფეების სახელით გადასცა გურამ კარტოზიას ხელმძღვანელობით და თანაავტორობით გამოცემული 700 გვერდიანი მონოგრაფია „მეგრულის ლინგვისტირი ანალიზი“ და ორ ნაწილად გამოცემული წიგნები: „ხაზთაშორის მორფემული გლოსირება“ და „მეგრული ტექსტები“ ქართული თარგმანით, რომლებიც მოწაფეებმა მასწავლებლის ხსოვნას უძღვნეს (ავტორები: მაია ლომია, რუსუდან გერსამია);

მრავალმხრივი მეცნიერი და მასწავლებელთა მასწავლებელი

ამავე დღეს გაიმართა სხდომა, რომელზეც მეცნიერის კოლეგებმა და მოწაფეებმა ქართველოლოგიის წინაშე გურამ კარტოზიას დამსახურება და მისი პიროვნული თვისებები გაიხსენეს. სტუმართა შორის იყვნენ იაპონელი ქართველოლოგი, საქართველოში იაპონიის საელჩოს ატაშე იასუჰირო კოჯიმა და გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორი მანანა თანდაშვილი, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოვიდა გერმანიიდან.

სხდომა გახსნა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ, რომელმაც გურამ კარტოზიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვის შემდეგ საზოგადოებას აცნობა, რომ მეცნიერის ოჯახის გადაწყვეტილებით, მისი ავტორობით გამოცემული 100-ზე მეტი წიგნი საჩუქრად გადაეცა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადგომით და აკადემიკოსების თამაზ გამყრელიძის და როინ მეტრეველის უშუალო მონაწილეობით თურქეთის ლაზეთში გაიგზავნა 700 წიგნი ლაზური ტექსტების მე-2 ტომისა.

ამავე დღეს გაიმართა ჟურნალ „ქართველოლოგიის“ სპეციალური საიუბილეო ნომრის პრეზენტაცია, რომელიც ბატონი გურამის ხსოვნას მიუძღვნეს მისმა მოწაფეებმა. ჟურნალი თავისი არსებობის მანძილზე პირველად, მთლიანად მხოლოდ ერთ მეცნიერზე მოგვითხრობს. „მოწაფეების მონდომების გარდა, ეს ფაქტი ვერ მოხდებოდა ამ ჟურნალის დამაარსებლისა და მთავარი რედაქტორის, აკადემიკოს მაგალი თოდუას, თანხმობისა და მთელი სარედაქციო კოლეგიის თანადგომის გარეშე, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მათ. ჟურნალი არასტანდარტულადაა შედგენილი — პირველ ნაწილში ქართველი და უცხოელი ქართველოლოგები აფასებენ პროფესორ გურამ კარტოზიას ღვაწლს, ხოლო მეორე ნაწილი მეცნიერისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სტატიებს ეთმობა“, — აღნიშნა პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ.

სხდომაზე გურამ კარტოზიას დამსახურებაზე ისაუბრეს მისმა კოლეგებმაც და მოწაფეებმაც.

აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ განსაკუთრებით გამოკვეთა გურამ კარტოზიას წვლილი ლაზური ენის შესწავლის საქმეში. „იგი არ იყო უბრალო მკვლევარი ლაზური ენისა. მას ცოცხალი შეხება ჰქონდა ლაზურთან, თვითონ აგროვებდა ენობრივ მასალას, რომელიც „ლაზური ტექსტების“ რამდენიმე კრებულის სახით გამოიცა. ამ გამოცემებში დაკვირვებული მკითხველი იმ დიდ სიყვარულს ამოიცნობს, რომელიც ბატონ გურამს ლაზური ენის მიმართ ჰქონდა. ამდენად, გასაკვირიც არ უნდა იყოს, რომ მისი ნაშრომები, რომლებიც ლაზური ენის (ასევე, ქართულისა და მეგრულის) კვლევას ეხება, მნიშვნელოვანია ქართველური ენათმეცნიერებისთვის. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფია „ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში“, რომელშიც ლაზური ენის გამოწვლილვითი ანალიზის გარდა, ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ფრიად მნიშვნელოვანი შედეგებია წარმოდგენილი. გურამ კარტოზიას დიდი წვლილი აქვს აგრეთვე ქართველური შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების ისეთი ძირეული საკითხის შესწავლაში, როგორიცაა სიბილანტთა შესატყვისობანი. „მოგეხსენებათ, ამ შესატყვისობათა დიაქრონიულ ინტერპრეტაციას მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ქართველური ფუძე-ენის ფონემური ინვენტარის დადგენა. სიბილანტთა შესატყვისობებში ერთ-ერთი პრობლემური საკითხი გახლდათ ქართული შიშინა სიბილანტების შესატყვისობათა არაერთგვაროვანი სურათი მეგრულსა და ლაზურში. გამოიკვეთა გარკვეული პოზიციური კანონზომიერება, რომელიც შემდგომ დააზუსტა და შეავსო ბატონმა გურამმა. ცნობილი ქართველოლოგი გიორგი კლიმოვი გვთავაზობდა, აღნიშნული კანონზომიერებისათვის გვეწოდებინა „გამყრელიძე—კარტოზიას“ კანონი“, — განაცხადა მან.

გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორმა, ქართველოლოგმა მანანა თანდაშვილმა განსაკუთრებით გამოკვეთა გურამ კარტოზიას სამეცნიერო მუშაობის მეთოდიკა და აღნიშნა, რომ მეთოდები, რომლითაც მისი ნაშრომები გამოირჩევა, დღესაც გამოიყენება. „ბატონი გურამის შესახებ ბევრი შეიძლება ვისაუბროთ, როგორც მეცნიერზე, რადგან ბედნიერებაა, როცა დარგს ჰყავს ასეთი მეცნიერი, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ბედნიერებაა, როდესაც ქვეყანას ჰყავს ასეთი მოღვაწე. ყველა, ვისაც ჰქონია საშუალება მისი ნაშრომები წაეკითხა, ან რაღაც სახით შეხებოდა მის მოღვაწეობას, დამეთანხმება, რომ იგი იყო არაჩვეულებრივი ადამიანი. წერილში, რომელიც ცნობილ ქართველოლოგთან, იოსტ გიპერტთან ერთად მოვამზადე ბატონი გურამის შესახებ, აღნიშნულია სწორედ მისი დამოკიდებულება საქმისადმი. მეცნიერის ნაშრომები ყოველთვის გამოირჩეოდა ფაქტებისა და მოვლენების სკულპულოზური ანალიზით და საოცარი გამართული მეთოდურობით, რაც გახლავთ ის ორი ნიშანი, რომელიც მის ნაშრომებში ყველგან იკითხება და საშუალებას გვაძლევს, დღესაც გამოვიყენოთ. მაქვს თხოვნა — თავის დროზე, როდესაც ბატონი გურამის მიერ ჩამოყალიბებული ჯგუფის მიერ გამოიცა „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“, მე დავურეკე ბატონი გურამის ოჯახს და ვუთხარი, რომ ეს იყო წიგნი, რომელიც აუცილებლად უნდა თარგმნილიყო გერმანულად, წიგნი, რომელსაც უნდა გაცნობოდა ევროპული საზოგადოება. მინდა ახლაც თხოვნით მივმართო მის მოწაფეებს, რომლებიც ნამდვილად არიან გურამ კარტოზიას სკოლის ღირსეული წარმომადგენლები და მისი საქმის გამგრძელებლები, რომ თარგმნონ ეს წიგნი და ჩვენ, გერმანიაში მოღვაწე ქართველოლოგები, ვიპოვით გზას ევროპული საზოგადოებისკენ“, — აღნიშნა მან.

გურამ კარტოზიაზე, როგორც მეცნიერსა და პიროვნებაზე ისაუბრა აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ. „კარგა ხანია, მეცნიერის მოგონებასთან დაკავშირებულ შეხვედრებზე ამდენი ხალხი არ მინახავს, არ მინახავს ასეთ საღამოებზე სკამების ნაკლებობის გამო ფეხზე დამდგარი ადამიანები. ეს იმიტომ ხდება, რომ აქ ყველანი გურამ კარტოზიას სახელმა მოგვიყვანა. ჩვენ, ვინც ასაკით გურამს მასწავლებლებად ვეკუთვნოდით, მისგან ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობდით. იგი ჭეშმარიტად დიდი მეცნიერი იყო და ამის შესახებ აქ ბევრი ითქვა, მაგრამ მინდა მასზე ცოტა სხვა კუთხით ვისაუბრო — იგი ისეთი გუნება-განწყობის და ფაქიზი სულის ადამიანი გახლდათ, რომლის მსგავსიც ჩვენს დროში ცოტაა. მასთან ურთიერთობის დროს ვერც კი იფიქრებდით, რომ ის დიდი მეცნიერი იყო. ამდენი სამეცნიერო სტატიისა და მონოგრაფიის ავტორი, არასოდეს იტყოდა, რა დამსახურება ჰქონდა, არ იტყოდა – აქ ვიყავი, ეს წავიკითხე, ის გავაკეთეო. ეს სრულიად უცხო იყო გურამისთვის. იგი სულ მუდამ ცდილობდა თავისი პიროვნება არსად წარმოეჩინა.

რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ. წინათ, მოგეხსენებათ, სხვა საგამოცდო სისტემა იყო და რამდენჯერმე მეც მომიწია კომისიის თავმჯდომარეობა. ვცდილობდი, ისეთი ხალხი შემერჩია, ჩემი გუნებისა ვინც იყო — წესიერი და კვალიფიციური. ერთხელ გურამსაც შევთავაზე წევრობა. ძალიან დიდი მორიდებით, უარის თქმაც რომ უჭირდა, ისე მითხრა – არ შემიძლია, ქალბატონო მზექალა, ორი მოსწავლე მყავს და როგორ მოვიდე, ხალხი რას იტყვისო, ეს იმ დროს, როცა ეგრეთ წოდებულ რეპეტიტორებს 20-30 მოსწავლე ჰყავდათ და ძლივს ვაკავებდით, რომ კომისიებში არ მოხვედრილიყვნენ.

კიდევ ერთ მომენტს გავიხსენებ გურამის ტექსტოლოგიური მუშაობიდან: იგი ცოტნე კიკვიძესთან ერთად დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ტექსტის დადგენაზე. ცოტნე ადრე გარდაიცვალა. უდიდესი ნაწილი ამ შრომისა გურამს დააწვა, მაგრამ ვინც კი ამ წიგნს გადაშლის, ახლად გამოსულ „ქართლის ცხოვრებას“, ნახავს, როგორი სიზუსტით აქვს გურამს გამოკვეთილი ყველაფერი, რაც კი ცოტნეს უთქვამს და გაუკეთებია ამ ტექსტების დადგენისთვის. ეს გასაკვირი არც არის — გურამს სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო. მას ეს ადამიანის დადებით თვისებად არც მიაჩნდა, მიიჩნევდა, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია. ასეთი იყო გურამი“, — აღნიშნა მზექალა შანიძემ.

საიუბილეო საღამოზე იასუჰირო კოჯიმამ — იპაონელმა ქართველოლოგმა — ისაუბრა მის დამოკიდებულებაზე გურამ კარტოზიას მეცნიერული მემკვიდრეობისადმი. „როცა მეგრულ-ლაზურის შესახებ მინდა რამე გავიგო, როცა გრამატიკული საკითხი მაინტერესებს, აუცილებლად მიწევს ბატონი გურამის ნაშრომებში ჩახედვა და ღრმად დარწმუნებული ვარ, ეს ყველასთვის ასეა, ვინც ამ სფეროში მუშაობს. მისი დანატოვარი თანამედროვე ქართველური ენათმეცნიერების საყრდენად არის ქცეული, რის გარეშეც რამის გამოკვლევა შეუძლებელია“, — განაცხადა იასუჰირო კოჯიმამ.

სხდომაზე გურამ კარტოზიას, როგორც მეცნიერის შესახებ, ისაუბრა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ამგვარი საღამოების გამართვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის, რომ მათ იცოდნენ წინაპრების ღვაწლის და ქვეყნის წინაშე დამსახურებული ადამიანების მემკვიდრეობის შესახებ. მანვე აღნიშნა, რომ მზადაა, მეცნიერის დაუსრულებელი ნაშრომების გამოქვეყნებაში, სპეციალისტების დახმარებით, უნივერსიტეტმაც შეიტანოს წვლილი.

მე-6 გვერდზე

პოლიტეკონომიური საუბრები

27 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას მუდმივმოქმედი სემინარის — „პოლიტეკონომიური საუბრების“ ფარგლებში გაიმართა უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორის და დოქტორანტის ნიკოლოზ ქოიავას საჯარო ლექცია თემაზე: „კაპიტალის ბაზრის რეგულაციების კონვერგენცია, ევოლუციური მიოპია და ინსტიტუციური თავსებადობა“.

ლექციაზე საუბარი წარიმართა კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელი სისტემის ტრანსფორმაციის თეორიაზე, კაპიტალზე ხელმისაწვდომობის ამაღლების კონტექსტში.

ლექციის შესავალი დაეთმო ნეოკლასიკური თეორიის კრიტიკას, რომელიც ვერ ხსნის ტრანსფორმაციის პროცესების ხარვეზებს და არ იძლევა ტრანსფორმაციის პოლიტიკის და მასში მონაწილე ინსტიტუტების განსაზღვრის და პროგნოზირების საშუალებას. მომხსენებელმა წარმოაჩინა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული თეორიები და ახალი ინსტიტუციური თეორიის თანამედროვე მიდგომები. კერძოდ, კვალ-დამოკიდებულების პრინციპი.

ავტორის კვლევა, რომელიც, როგორც აკადემიკოსმა ლადო პაპავამ აღნიშნა, მის სადისერტაციო ნაშრომს ეყრდნობოდა, შეეხო სისტემის ტრანსფორმაციის ეფექტიანობის შეფასებას, ამ სისტემის მდგრადობის და მისი განვითარების თანმიმდევრულობის მიხედვით.

აღინიშნა, რომ მდგრადობის და თანმიმდევრულობის ანალიზისთვის არსებითია სისტემის სწორი შემოფარგვლა და განსაზღვრა, მისი თვისებების და მასზე ზემოქმედი ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულების აღმოჩენა. როგორც მომხსენებელმა გამოკვეთა, „იგი ითვლება მდგრადად და თანმიმდევრულად, თუ სისტემის მდგენელი ყველა კომპონენტი ურთიერთთავსებადია. სწორედ ინსტიტუციური ურთიერთთავსებადობა არის წარმატებული ტრანსფორმაციის წინაპირობა. კოორდინირებული და არა ცალკეული ინსტიტუტების რეფორმირება კი ამ თეორიის ქვაკუთხედია“.

მეორე მთავარი საკითხი, რომელიც სემინარის ფარგლებში განიხილეს, იყო სწორედ სისტემის იდენტიფიცირება. მომხსენებლის თქმით, რადგან საბაზრო ურთიერთობების მთლიანი სისტემა ზეკომპლექსურია, შეუძლებელია მთლიანი სურათის წარმოჩენა. ამიტომ, საკითხი დგას მთელი სისტემის ისეთ ქვესისტემებად დაყოფაზე, რომელთა ავტონომიურობის დასაბუთება შეიძლება და ამ ქვესისტემის აღწერა და წარმოჩენა არსებული სამეცნიერო მიდგომების ფარგლებში შესაძლებელია.

შესაბამისად, საბაზრო ურთიერთობის სისტემის მთლიანი სურათიდან, მკვლევარმა გამოყო ერთი კონკრეტული ქვესისტემა: კერძოდ, საბაზრო ურთიერთობის ინფორმაციული უზრუნველყოფის, უფრო დაწვრილებით კი, კაპიტალის ბაზრის საჯაროობის უზრუნველყოფის სისტემა. მისი თქმით, სწორედ საჯაროობის უზრუნველყოფა არის რეგულირების ობიექტი. ამგვარად, კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელი სისტემა წარმოჩნდა, როგორც დისკუსიის მთავარი თემა.

„შესაძლებლობა იმისა, რომ კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელი სისტემის არსებითი თვისებების და მის ტრანსფორმაციაზე ზემოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირება მოვახდინოთ, გვაძლევს საშუალებას, პირველ რიგში, გავაკეთოთ საქართველოს კაპიტალის ბაზრის შედარებითი ანალიზი მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებების ჭრილში“, — აღნიშნა ნიკოლოზ ქოიავამ, რომელმაც დასკვნის სახით ჩამოაყალიბა, რომ „სემინარის ფარგლებში განხილული ურთიერთთავსებადობის თეორია საშუალებას იძლევა, განხორციელდეს ტრანსფორმაციის პროცესების დასაბუთებული პროგნოზირება და ეკონომიკური პოლიტიკა ჩამოყალიბდეს კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელი სისტემის მდგრადობის და თანმიმდევრულობის გათვალისწინებით“.

ლექციის შემდგომ გაიმართა დისკუსია, რომელზეც დამსწრე საზოგადოებამ გამოთქვა მოსაზრებები წარმოდგენილი მეცნიერული თეორიების მართებულობის შესახებ, მოიყვანეს პოლონეთის მაგალითები და დაინტერესდნენ, რატომ არ გაამართლა საქართველოში იგივე რეფორმამ, რომელმაც გაამართლა პოლონეთში.

სემინარი შეაჯამა აკადემიკოსმა ლადო პაპავამ, რომელმაც განაცხადა: „მოხსენება საინტერესო და აქტუალური იყო, მით უფრო, რომ ხშირად ხდება, როცა გარკვეული რეფორმის დაწყების წინ ტრანსაქციული ხარჯები არ არის ცნობილი და მოვლენებს მხოლოდ პოსტფაქტუმ ვაფასებთ“. მისი თქმით, ამის მიზეზი, სხვა გარემოებებთან ერთად ისიცაა, რომ ეკონომიკური პოლიტიკა ხშირად წინ უსწრებს ეკონომიკურ თეორიებს და სახელმწიფოს მთავრობის მიერ თეორიული მოდელის შეურჩევლობას არასასურველ შედეგებამდე მივყავართ. „როდესაც მოდელი არ არის არჩეული, ამას რამდენიმე განმაპირობებელი ფაქტორი აქვს: 1) თეორიის არარსებობა: 2) თავად მოდელების ჩამოუყალიბებლობა და 3) ცოდნის არარსებობა. ასეთ პირობებში ყოველთვის არის იმის საშიშროება, რომ მთავრობა გაჩერდეს და არ გაატაროს საჭირო რეფორმები. მაგალითად, ზვიად გამსახურდიას მთავრობა გაჩერდა. მაშინდელი ხელისუფლება ეკონომიკაში რეფორმებს არ აპირებდა, ამიტომ მოიგონეს სახელმწიფო კაპიტალიზმის თეორია, რომელიც, პრაქტიკულად, ისევ სოციალიზმი იყო, სახეცვლილი ფორმით. უფრო მეტიც, საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პირველ ეტაპზე, 1992 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია ასეთი იყო – საქართველოს არ უნდა შემოეღო თავისი ეროვნული ვალუტა და უნდა დარჩენილიყო ისევ საბჭოთა მანეთის სავალუტო სისტემის არეში. ამის შესახებ რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნდა ექსპერტული შეფასებები სამეცნიერო ლიტერატურაში. ექსპერტები წერდნენ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მაშინდელი თავშეკავების მიზეზი იყო ის, რომ არ სჯეროდათ საბჭოთა კავშირის დაშლის ფაქტი. იყო მეორე ვერსიაც – არ უნდოდათ მოსკოვის გაღიზიანება. მესამე ვერსიით — სავალუტო ფონდი თავად არ იყო მზად ქვეყნებში განეხორციელებინა ფულის რეფორმა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მაშინ საქართველოს ხელისუფლებას საერთოდ არ ეცალა ეკონომიკური რეფორმისთვის და შედეგი იყო ის, რომ შემოიღეს კუპონი, რომლის შესახებაც პირველივე დღეს მოუწიათ მოსახლეობისთვის ბოდიშის მოხდა“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

რაც შეეხება პოლონეთთან პარალელებს, მისი თქმით, ეს იყო წინასწარ გაუთვლელი რეფორმა, რადგან პოლონეთში, სადაც ე.წ. შოკურმა თერაპიამ კარგად იმუშავა, არსებობდა სახელმწიფო ვალუტა, სახელმწიფო საზღვარი და, რაც მთავარია, სახელმწიფო ინსტიტუტები, რაც საქართველოს არ ჰქონდა და ამანაც ითამაშა დიდი როლი ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელის წარუმატებლობაში.

ტრადიციული სამეცნიერო სემინარი „პოლიტეკონომიური საუბრები“ კვლავაც გაგრძელდება და ეკონომიკის სფეროში მოღვაწე მეცნიერებს და მკვლევრებს შეეძლებათ საჯაროდ დააფიქსირონ თავიანთი კვლევის შედეგები. ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ სამეცნიერო მუშაობის დონის ამაღლებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არამედ იმასაც, რომ ქვეყანამ სწორად აარჩიოს ეკონომიკური განვითარების მოდელები.

***მოამზადა* მაია ტორაძემ**

იუბილე

მომავლის მეცნიერი

მეხუთე გვერდიდან

გამართლება

სხდომის დასრულების შემდეგ ერთ-ერთმა სტუმარმა ღონისძიების ორგანიზატორს და სულისჩამდგმელს, თსუ-ის ასოცირებულ პროფესორს მაია ლომიას მადლობა გადაუხადა მასწავლებლის ხსოვნის პატივისცემის გამო და სხვათაგან უჩუმრად უთხრა: ადამიანს ან შვილებში უნდა გაუმართლოს და ან მოწაფეებში, ბატონ გურამს ორივეგან გაუმართლაო.

მაია ლომია გურამ კარტოზიას სტუდენტი არ ყოფილა, იგი მხოლოდ მაშინ შეხვდა მას, როცა დისერტაციაზე მუშაობდა და იმ მოკლე დროში იმდენი ყურადღება და სითბო წამოიღო თავისი მასწავლებლისგან, რომ დღეს, სხვა კოლეგებთან ერთად, თავს კარტოზიას სკოლის წარმომადგენლად მიიჩნევს. მაია ლომია ბატონ გურამზე წერს:

„წილად მხვდა ბედნიერება და პროფესორმა გურამ კარტოზიამ დამილოცა გზა მეცნიერებაში. იგი ჩემი ოფიციალური ოპონენტი გახლდათ საკანდიდატო დისერტაციის დაცვის დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბატონ გურამს შორიდან ვიცნობდი როგორც მრავალმხრივ მეცნიერს, მეცნიერებაში სიზუსტის მოყვარულს და ობიექტურ შემფასებელს. შეხვედრა დიდ მეცნიერთან საქმიანად იწყებოდა — დისერტაცია უნდა მიმეტანა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში. ეს შეხვედრა, წესით, არაფრით გამორჩეული არ უნდა ყოფილიყო, თუმცა შეხვედრამდე იყო ერთი დეტალი, რამაც იმთავითვე დაბადა ჩემში მადლიერების განცდა. დისერტაციის დაცვა 10 ივნისს დაინიშნა, ეს სასწავლო წლის ბოლო გახლდათ და იგი ძალიან დაკავებული იყო, მაგრამ ჩემი ხელმძღვანელის, ქალბატონ ნელი ბაბუნაშვილის, თხოვნით, იგი დათანხმდა ოპონენტობას და მე ვიგრძენი თანადგომა უცნობი უფროსი კოლეგისგან. სხვათა შორის, მადლიერების განცდა დღემდე მომყვება მეორე ოპონენტის, ქალბატონი ბელა ქობალავას, მიმართაც.

ბატონ გურამთან შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — გამომართვა ნაშრომი, გამამხნევა და დამიყვავა... ჩემ წინ იდგა პიროვნება და მეცნიერი და ვერ იტყოდი, რომელი რომელს წონიდა – მისი პიროვნული სიდიადე თუ მეცნიერული სიდიდე.

სამეცნიერო პროექტი, რომელმაც ჩვენ, მისი მოწაფეები, მის გარშემო გაგვაერთიანა, იყო „მონოგრაფიის — მეგრულის ლინგვისტური ანალიზი — მომზადება გამოსაცემად“ (ეს მისი შერჩეული სათაური გახლავთ). ბატონი გურამის სკოლა ნამდვილად დაეტყო 700-გვერდიან მონოგრაფიას, რომელიც 2010 წელს დაიბეჭდა. ამ პერიოდში მას შინ ვსტუმრობდით, რადგან ფიზიკური ტრავმის გამო სიარული აღარ შეეძლო. დღის სხვადასხვა მონაკვეთში გვიბარებდა, იმის მიხედვით, როგორ სჭირდებოდა საქმეს, მაგრამ არ მახსოვს მას სემინარი დაეწყოს საუზმის, ან სადილ-ვახშმის გარეშე. ჩვენ, ფაქტობრივად, მისი ოჯახის წევრები ვიყავით და, მართალი გითხრათ, დღემდე მიკვირს, როგორ ახერხებდა მისი მეუღლე, ქალბატონი ცისანა, ამ ყველაფერს.

ბატონი გურამის პიროვნებაში შენივთებული იყო სიმკაცრე და სითბო. როცა მეცნიერებაზე მიდგებოდა საქმე, ერთ მძიმეს არ გაპატიებდა, ცხოვრებაში კი საოცრად გულჩვილი, ყურადღებიანი და გულთბილი იყო, არ დაავიწყდებოდა, დაბადების დღე მოელოცა ჩვენთვის.

ერთი დეტალი მინდა გავიხსენო — მამის დაბადების დღეზე, სადაც უნდა ყოფილიყო, აუცილებლად ჩამოვიდოდა მისი ვაჟი ალექსანდრე კარტოზია, რომელიც იშვიათი იუმორით, სითბოთი და სიყვარულით უძღვებოდა სუფრას.

ბატონ გურამს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მეუღლესთან. მან საოცარი სტრიქონები მიუძღვნა ქალბატონ ცისანას: „დილის ნიავი ვარცხნიდა ფერდებს,/ მზე ცაზე იყო გადმონთხეული,/ ეზოში ვარდის ბუჩქებთან ენთე,/ თხელ მოსასხამში გამოხვეული./ როგორც გრძნეული, იდექ ჩვენება,/ ტუჩზე გიკრთოდა ციური ნამი,/ და ნარნარ ტანის ნაკვთთა მშვენებას,/ ვერა ფარავდა ეგ მოსასხამი./ ვერა ფარავდა ეგ მოსასხამი/ და მე არ ვიცი ჯერაც ნამდვილად,/ შენ გაღიმებდა დილა სისხამი/ თუ შენი ეშხით ელავდა დილა“. ასეთი მრავალმხრივი იყო ჩვენი მასწავლებელი გურამ კარტოზია. მან ძალიან ლამაზი მოგონებები დაგვიტოვა, რომელსაც დღეს კარტოზიების ოჯახთან ჩვენი ურთიერთობა აცოცხლებს და აგრძელებს“.

ანდერძის აღსრულება

გურამ კარტოზიას კოლეგები და მოწაფეები პრივატულ საუბრებშიც და ოფიციალურ გამოსვლებშიც განსაკუთრებული პატივისცემით ახსენებდნენ ამ დიდი ადამიანისა და მეცნიერის ოჯახის სიკეთეს და ყურადღებას. ქალბატონმა მანანა თანდაშვილმა ტრიბუნიდან მიმართა გურამ კარტოზიას თანამეცხედრეს, ქალბატონ ცისანა თოდუა-კარტოზიას და მადლობა გადაუხადა მეუღლეზე ზრუნვისთვის, რომელიც მას საქვეყნო საქმეთაგან განარიდებდა. უმდიდრესი მემკვიდრეობა სწორედაც იმიტომ დარჩა, რომ მეცნიერს გვერდით ედგა ქალი, რომლის ცხოვრების აზრი და მიზანი მეუღლის პატივისცემა და ხელშეწყობა იყო.

„უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, ჩემი ცხოვრების თანამგზავრად ისევ გურამ კარტოზიას ავირჩევდი“, — ასე დაახასიათა ქალბატონმა ცისანამ მის მიერ ბატონი გურამის გვერდით გატარებული წლები და დიდი სითბოთი გვესაუბრა მეუღლის დამოკიდებულებაზე ქვეყნისა და საქმისადმი: „გურამი ბუნებით დიდი რომანტიკოსი იყო. იგი გახლდათ ძალიან ტრადიციული ადამიანი, მოყვარული თავისი ქვეყნის, კუთხის, ნათესავებისა და მეგობრებისა. ქეიფიც შესანიშნავი იცოდა და კარგადაც მღეროდა, განსაკუთრებით მეგრული სიმღერები გამოსდიოდა. ჩვენ ერთად ვსწავლობდით, ერთ საქმეს ვემსახურებოდით, საერთო სამეგობრო წრე გვყავდა და ცხოვრება არ გვიჭირდა, ცხადია, მატერიალურს არ ვგულისხმობ. მიუხედავად ამ მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობისა, მიმაჩნია, რომ გურამის ყველაზე დიდი დამსახურება ის მამულიშვილობაა, რომელიც მან ლაზების მიმართ გამოიჩინა. ლაზებმა გურამის ნაშრომების შემდეგ თავიანთ თავს სულ სხვა თვალით შეხედეს. მახსოვს, 1972 წელს, იზმირის გამოფენაზე ლაზებმა გურამის 300 წიგნი მოიპარეს. ეს რომ გაიგო, გურამმა თქვა, როდესაც მეორე ნაწილს გამოვცემ ნახევარ ტირაჟს შევინახავ და ლაზებს გავუგზავნი უსასყიდლოდო. 22 წელი იდო ჩემს სახლში ეს წიგნები და ველოდებოდით, როდის გაიხსნებოდა გზა... ეს მისი ანდერძივით დაგვრჩა და დღეს მინდა მადლობა ვუთხრა ბატონ როინ მეტრეველს, თამაზ გამყრელიძეს და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელთა ძალისხმევითაც გურამის ეს ანდერძი შესრულდა“, — გვითხრა ქალბატონმა ცისანამ.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ზემოთ მოყვანილ ფრაზას: „ბრძენკაცს ისე თავმდაბლად უჭირავს თავი, თითქოს თვითონ კი არ ასწავლიდეს სხვას, არამედ სხვისგან სწავლობდეს,“ — ეს იყო ალბათ გურამ კარტოზიას სიბრძნის ყველაზე დიდი ნიშანი — იცხოვრა, იშრომა უჩუმრად და დატოვა სახელი, რომლის ხსენებაზეც ყველას ერთნაირი ემოცია ეუფლება — პატივისცემა, სიყვარული და სითბო, რომელიც თავის დროზე გურამ კარტოზიასაგან უშურველად მიუღიათ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲢᲣᲓ-ᲤᲡᲘᲠᲘ

№10

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

ᲤᲝᲙᲣᲖᲘ — ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ“

ᲐᲡᲐᲙᲘᲡ მატᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲘᲐᲖᲠᲔᲑᲗ, რომ თოვლის ბაბუა მშობლების მიერ გამოგონილი კეთილი ბაბუაა. მაგრამ გულის სიღრმეში, ერთ პატარა კუნჭულში მაინც გვჯერა, რომ სადღაც ლაპლანდიაში, ელფებით გარშემორტყმული სანტა კლაუსი მართლაც არსებობს და ადამიანებს, ხილვად საჩუქრებს თუ არა, სიყვარულს, სიხარულსა და ბედნიერებას მაინც ჩუქნის. ადამიანებიც ამ დღისგან ყველა პრობლემის მოგვარებას და ყველა ნატვრის ასრულებას ელიან.

რა არის ახალი წელი? ზოგისთვის არის სახალხო დღესასწაული, ზოგისთვის — ჯადოსნური საღამო, ზოგისთვის — საშუალება — დაისვენოს სამსახურისგან, სკოლისგან, უნივერსიტეტისგან, ზოგისთვის კი ეს არის ტყუილ-უბრალოდ გადაყრილი ფული და ერთი ჩვეულებრივი დღე, რომელიც სხვა დანარჩენი დღეებისგან არაფრით განსხვავდება. ჩვენც, სტუდენტები, ახალი წლის დადგომასთან ერთად, უნივერსიტეტში ყველა საგნის უმაღლეს ქულაზე ჩაბარებას ველით (თუ ასეთი ამბიციურებიც არ ვართ ოცნებებში, მაშინ იმას მაინც ვნატრობთ, ამ სემესტრში მაინც არაფერი „შეგვეტენოს“ და GPA-ს ოდნავ მაინც რამე ვუშველოთ). არადა, რომ დავფიქრდეთ, ეს ყველაფერი ისე საგრძნობლადაა ჩვენზე დამოკიდებული, რომ ამას ახალი წელი კი არა, თვით განათლების მინისტრიც ვერაფერს უშველის.

ᲕᲘᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ...

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ – ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

მზადება, როგორც წესი, ზამთრის დადგომასთან ერთად იწყება. უამრავი რამაა საყიდელი, დაწყებული პროდუქტით, დამთავრებული ნაძვის ხის მოსართავებით. ამას ემატება სურვილი — საყვარელ ადამიანებს საჩუქრებიც ვუყიდოთ, მაგრამ საფულეში ჩახედვისთანავე სურვილი მხოლოდ სურვილად რჩება. თანაც, ჩვენ საჩუქრებში ფულის „გადაყრას“ გვირჩევნია, რომ საახალწლო მაგიდას „დავაყაროთ“ ყველაფერი, თანაც ისე, რომ მაგიდას 4-მა კი არა, 8 ფეხმაც ვერ გაუძლოს. აბა, როგორ შეიძლება სუფრას რამე აკლდეს, ვალებს ავიღებთ და კარგა მოზრდილ, ჩასუქებულ ინდაურს ვიყიდით. არც სალათებს დავაკლებთ რამეს, მჭადებსაც შევაპინკინებთ, ტკბილეულით და გოზინაყითაც გავავსებთ ლანგარს, ოღონდ მისი ჭამა ჯერ არ შეიძლება, უნდა გახდეს 12 საათი და ამის შემდეგ „სუფრაც ნაკურთხი“ იქნება.

სულ დამავიწყდა, მანამდე გადავხედავთ სოციალურ ქსელს და ვნახავთ, რომ თითქმის ჩვენმა ყველა მეგობარმა უკვე დადგა ნაძვის ხე. აბა, „თხა, თხაზე ნაკლებიო...“ სასწრაფოდ ვაწყობთ ნაძვის ხეს, ვრთავთ ისე, რომ საუკეთესო იყოს, ვუღებთ სურათს, ,,ფოტოშოპში” ვალამაზებთ და ვაქვეყნებთ სათაურით — „ფილინგ ჰეფი.“ მისია შესრულებულია.

ᲕᲘᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ...

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲐᲮᲕᲐ

ზოგი ახალ წელს, ტრადიციულად, ოჯახის წევრებთან ერთად ხვდება, ზოგი — მეგობრებთან, ზოგი — პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, სამსახურში, ზოგიც ღია ცის ქვეშ დგას ათასობით ადამიანთან ერთად საახალწლო კონცერტზე. უი, გამომრჩა ერთი კატეგორია, თინეიჯერები, რომლებიც მშობლებმა არ გაუშვეს მეგობრებთან ახალი წლის ღამეს. ისინი თავს უბედურად გრძნობენ, რადგან ამ ოჯახში გაჩნდნენ და სტატუსს სტატუსზე წერენ სათაურით „ფილინგ ენგრი.“

* * *

აი, წლის ბოლო წამების ათვლაც სრულდება და ირგვლივ ნამდვილი ზეიმია, ცა სავსეა ფერადი ნაპერწკლებით, გარშემო მხოლოდ მხიარულების ხმა ისმის, ხალხი ერთმანეთს ულოცავს და ყველაფერ ცუდს ძველ წელს ატანს. ამის შემდეგ იწყება განსხვავებულების ერთმანეთზე გადაწოდება, ისმის „ალავერდის მადლი და ძალა არ მოგიშალოს ღმერთმა“, „დაე ახალმა წელმა მოგვიტანოს ხვავი, დოვლათი, ბარაქა, ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული და მშვიდობა“.

რა ხდება ამის შემდეგ? როგორც წესი, პირველი იანვრის დილას ვიღვიძებთ ატკივებული თავით და გაღიზიანებული ნაღვლის ბუშტით. „ეს იყო ჩემი დალევის უკანასკნელი დღე!“ — რა ნაცნობი ფრაზაა, არადა, ბედობა, შობა, ძველით ახალი წელი და ნათლისღება ჯერ მხოლოდ წინაა. მაქსიმუმ 3 იანვრის დილას უკვე გვძულს საახალწლო მაგიდა, დასანახად ვერ ვიტანთ საცივს და ე.წ. „ვინეგრეტს“. არადა, სადაც არ უნდა მიგიწვიონ, ყველგან ერთი და იგივე მენიუ გხვდება. აი, ზუსტად აქ უნდა დავფიქრდეთ, რომ 3 ქათმის ყიდვას, შეგვეძლო 1 საჩუქარი გვეყიდა საყვარელი ადამიანისთვის. მეტყვით, რას ჩააცივდი ამ საჩუქრებსო, მაგრამ ჩვენგან ერთი უმნიშვნელო ყურადღების გამოჩენა სხვისთვის, შეიძლება, ბედნიერების მომტანი აღმოჩნდეს.

და მაინც, რაც უნდა ამტკიცოს ადამიანმა, რომ მისთვის ახალი წლის მოახლოება არაფერს ნიშნავს, დარწმუნებული ვარ, მაინც გრძნობს რაღაც ბედნიერების ნაპერწკალს, ცხელი თუ არა, თბილი შოკოლადის ნიაღვარს ძარღვებში და იმედის გაღვივებულ კერას. დარწმუნებული ვარ, თითოეულ ჩვენგანს გვჯერა, რომ ამ დღეს ოცნებები ხდება. არადა, ხომ ზუსტად ვიცით, რომ სურვილების და მიზნების ახდენა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული.

ხშირად, აუსრულებელი ნატვრების შემდეგ ვხვდებით, რომ ახალი წელი სულაც არ არის ასეთი ჯადოსნური, ხშირად გადაქანცული დიასახლისები ფიქრობენ, რომ სულაც არ არის ასეთი გიჟური მზადება საჭირო ამ დღისთვის. მაგრამ ახალი წელი არ არის შეცდომების გამოსწორების დღე. ჩვენ ხომ ზუსტად ვიცით, რომ თითოეული ახალი წლის წინ ისევ დაველოდებით სანტა კლაუსს, ისევ ჩავიფიქრებთ სურვილებს, ისევ გავავსებთ სუფრას და ისევ დავლევთ გათიშვამდე, ზუსტად ვიცით, რომ ახალი წლის ღამეს კევინი კვლავ დარჩება „მარტო სახლში“ და „გრინჩი კვლავ მოიპარავს შობას“.

ზუსტად ეს არის ფოკუზის მესამე ნაწილი — შედეგი, როდესაც ვხვდებით, რომ ყველაფერ მატერიალურს სულიერი ბედნიერება და ძარღვებში მჩქეფარე ცხელი შოკოლადი სჯობს.

გილოცავთ დამდეგს! დაე, იღბალი მუდამ თან გსდევდეთ!

ᲗᲘᲜᲘᲙᲝ ᲚᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

ინტეგრაციის მოლოდინში

2002 *წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 7%-ს ეთნიკური აზერბაიჯანელები შეადგენენ. ქვემო ქართლის მხარეში კი აზერბაიჯანელი მოსახლეობის რიცხვი დაახლოებით 80% უახლოვდება. ბოლო წლებში აზერბაიჯანელი ახალგაზრდების ქართულ უნივერსიტეტებში სწავლების მსურველთა რაოდენობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, 25%-ით გაიზარდა. ეთნიკურად აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს მრავალი პრობლემა აწუხებთ, მათ შორის ყველაზე მწვავედ ქართული ენის არცოდნის პრობლემა დგას.*

სანან ყურბანოვი 22 წლისაა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია. იგი ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოში დაიბადა და მისი ოჯახი და მეგობრები დღემდე იქ ცხოვრობენ. როგორც სანანი ამბობს, არასოდეს უფიქრია საქართველოდან წასვლაზე, რადგან საქართველო მისი სამშობლოა და მთელი სიცოცხლე აქ ცხოვრებას აპირებს. „მაღელვებს საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემები, რადგან მე, მართალია, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ვარ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, თავს საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქედ ვთვლი“, — ამბობს სანანი. იურისტობა მისი ოცნებაა და სურს, რომ მიღებული ცოდნა თავის სამშობლოს მოახმაროს. როგორც სანანი ამბობს, აზერბაიჯანელი ახალგაზრდების მთავარი პრობლემა ქართული ენის არცოდნაა. „როდესაც უნივერსიტეტში ჩავაბარე, ქართული პრაქტიკულად არ ვიცოდი, რადგან სკოლაში ქართულს, ფაქტობრივად, არ გვასწავლიდნენ. როცა ენა არ გესმის, ძნელია შენი შესაძლებლობების რეალიზება“, — აღნიშნავს იგი.

პირველ კურსზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ფარგლებში „ქართული ენის მოსამზადებელი კურსი“ გაიარა და როგორც თვითონ ამბობს, პროექტის ფარგლებში ქართულს სრულყოფილად მაინც ვერ დაეუფლა. „ქართული ენის ლექციებზე ურთიერთობა ქართველ სტუდენტებთან არ გვქონდა. იქ მყოფებს ქართული კარგად არ გვესმოდა და ის პროგრამა, რაც პროექტის ფარგლებში გავიარეთ, ფაქტობრივად, უშედეგო იყო. ვფიქრობ, საჭიროა ამ კურსის დახვეწა, რადგან ენის შესწავლის საუკეთესო ხერხი ქართველებთან ურთიერთობაა, რისი საშუალებაც პირველ სემესტრში არ მოგვეცა“, — გვეუბნება სანანი.

ენის უცოდინრობას მიიჩნევს მთავარ პრობლემად 20 წლის ორჰან მამედოვიც. როგორც ორჰანი აღნიშნავს, ამ პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა სკოლებში ქართული ენის გაძლიერებული სწავლებაა. „დღეს ვერ შეხვდებით აზერბაიჯანულ ოჯახს, სადაც არ სურთ, რომ მათმა შვილებმა ქართული ისწავლონ. ვინც ქალაქში ცხოვრობს, მათთვის ეს პრობლემა, ფაქტობრივად, მოგვარებულია, რადგან ბავშვები ქართულ სკოლებში დადიან. სოფლებში კი, სადაც მხოლოდ აზერბაიჯანული სკოლებია, იმ მასწავლებლების ცოდნის დონე, რომლებიც ქართულს ასწავლიან, ძალიან დაბალია“, — ამბობს ორჰან მამედოვი. ამ პრობლემის შესახებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვისაც ცნობილია და 2015 წლიდან არაქართული სკოლების ქართული ენის პედაგოგების გადამზადება იგეგმება.

აზერბაიჯანელი ახალგაზრდების ქართულ სკოლებში სწავლის ტენდენცია შეინიშნება ბოლნისის რაიონში, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელები მოსახლეობის 85%-ს შეადგენენ. მარტო 2013 წელს, ბოლნისის საჯარო სკოლებში, აზერბაიჯანელი ბავშვების რაოდენობა, ბოლნისის ენის სახლის მონაცემებით, 35%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამ დადებითი ტენდენციისა, ენის შესწავლის პრობლემა ეთნიკურად აზერბაიჯანელ ახალგაზრდებში მაინც დგას. როგორც ქვემო ბოლნისის აზერბაიჯანული სკოლის ქართული ენის პედაგოგი და სპეციალისტი ლალი ასლამაზაშვილი ამბობს, სახელმწიფო ეთნიკური მოსახლეობისთვის ქართული ენის შესწავლის პოლიტიკას არათანმიმდევრულად წარმართავს, რადგან ის პროგრამები, რომლებიც ამ მხრივ ხორციელდება, ხშირად ცუდადაა დაგეგმილი. „2010 წელს პედაგოგები გადაგვამზადეს ბილინგვური სწავლების პროგრამისთვის, პროექტი კი მასშტაბურად ვერ განხორციელდა. ამის მიზეზი, ვფიქრობ, პროექტის არასწორ დაგეგმარებაშია,“ — ამბობს იგი. როგორც პედაგოგი აღნიშნავს, ბილინგვური სწავლება წარმატებულია ისეთ მრავალეროვან ქვეყნებში, როგორიცაა კანადა და ესპანეთი. „ბილინგვური სწავლება ეთნიკურად არაქართველ მოსწავლეებს ქართული ენის შესწავლაში ეხმარება, მაგრამ მის განხორციელებას რისკებიც ახლავს თან და ამის აღმოფხვრის საუკეთესო გზა სწორად გატარებულ პოლიტიკაშია. ახლა ვიწყებთ მასწავლებლების გადამზადებას ამ პროექტისთვის და საჭიროა საზოგადოებამ და ხელისუფლებამ მზაობა გამოხატოს, რათა პროექტი წარმატებულად განხორციელდეს“, — აღნიშნავს ლალი ასლამაზაშვილი.

2011 წელს, საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის ინიციატივით, ყველა მაგისტრანტს, ვისაც სურდა მაგისტრატურის სრული დაფინანსების სახელმწიფოსგან მოპოვება, ერთი წელი არაქართულ სოფლებში უნდა ეცხოვრათ და მოსწავლეებისთვის ქართული ენა ესწავლებინათ. ეს პროგრამა დღესაც მოქმედებს. ლალი ასლამაზაშვილის შეფასებით, აღნიშნული პროგრამა მაგისტრანტებს ეხმარება გამოცდილება მიიღონ და პედაგოგიური უნარები გამოიმუშავონ. „პროგრამა ხელს უწყობს ეთნიკური მოსახლეობის ინტეგრაციას, მოსწავლეებს მოსწონთ, რომ მათ ახალგაზრდა პედაგოგები ასწავლიან, ასევე მაგისტრანტებს ხშირად ახალი, საინტერესო იდეები აქვთ, რაც დადებითად მოქმედებს ბავშვებზე“, — ამბობს ლალი ასლამაზაშვილი.

ენის არცოდნის პრობლემის გარდა, სანან ყურბანოვი ქართული საზოგადოების დამოკიდებულებაზეც საუბრობს. სანანის აზრით, ქართველი ახალგაზრდები თითქმის არ ფლობენ ინფორმაცია მათზე. როგორც სანანი ამბობს, ხშირად მათ არ იციან, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან. „იყო შემთხვევა, როცა ჩემმა ლექტორმა ასეთი კითხვაც კი დამისვა — რატომ არ სწავლობ აზერბაიჯანში? არამარტო სტუდენტებს, არამედ ბევრ ლექტორსაც ჰგონია, რომ ჩვენ აზერბაიჯანიდან ჩამოსულები ვართ“, — გვეუბნება სანანი და დასძენს, რომ საჭიროა სახელმწიფომ სწორი პოლიტიკა გაატაროს, რათა აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია შეძლონ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, უკვე 4 წელია აზერბაიჯანელ და სომეხ ახალგაზრდებს შეუძლიათ ერთიანი ეროვნული გამოცდები მშობლიურ ენაზე ჩააბარონ, რაც მათ სტუდენტის სტატუსის მოპოვებას უადვილებს.

აზერბაიჯანელი ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციაზე არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. აიპ „ახალგაზრდული ხედვა კავკასია“ ამ მხრივ, ძირითადად, ქვემო ქართლში, სხვადასხვა პროექტს ახორციელებს. ორგანიზაციის მენეჯერი შორენა ნონიაშვილი ამბობს, რომ ქართულ საზოგადოებაში აზერბაიჯანელი ახალგაზრდების ინტეგრაციის მასშტაბები თანდათან იზრდება. „წინა წლებთან შედარებით, აზერბაიჯანელი ახალგაზრდების და, მათ შორის, გოგოების, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობა გაიზარდა. ეს კი არასამთავრობო სექტორის და სახელმწიფოს მუშაობის დამსახურებაა. დღეს აზერბაიჯანელი ახალგაზრდები სწავლას არა აზერბაიჯანში, არამედ საქართველოში აგრძელებენ. ამ მხრივ სიტუაცია გამოსწორდა გოგონებშიც. ეს ახალგაზრდები გამოხატავენ სურვილს ქართულ საზოგადოებასთან ურთიერთობის“, — გვიხსნის შორენა ნონიაშვილი და ამატებს, რომ საჭიროა ქართულმა საზოგადოებამ, ქართველმა ახალგაზრდებმა ხელი შეუწყონ მათ სურვილს, ჩაერთონ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

თვის ბოლოს სანან ყურბანოვი მის მეგობრებთან ერთად ინტერნეტ გამოცემის გახსნას გეგმავს, სადაც ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე სტუდენტების მიერ დაწერილი სტატიები და ახალი ამბები განთავსდება. ასევე იგეგმება იურიდიული ლიტერატურის, საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნაც. „ჩვენ ერთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, საქართველო ჩვენი სამშობლოა. ქართველები ჩვენს კულტურას, ტრადიციებს და დღესასწაულებს არ იცნობენ, ისევე, როგორც ჩვენ არ ვიცნობთ ქართულ ტრადიციებს კარგად. ამიტომ ეს ბარიერები რომ გავაქროთ, საჭიროა, სხვადასხვა ღონისძიება დავგეგმოთ, დისკუსიები გავმართოთ, შემოქმედებითი საღამოები მოვაწყოთ ქართველებმა და ჩვენ, საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა“, — ამბობს სანანი და იმედოვნებს, რომ ამ მხრივ ქმედით ნაბიჯები უახლოეს მომავალში აუცილებლად გადაიდგმება.

აზერბაიჯანელი ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია მნიშვნელოვანია, რადგან ეს ახალგაზრდები საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან. შესაბამისად, მათზე ვრცელდება ყველა ის უფლება, რომელიც საქართველოს მოქალაქეს კონსტიტუციით მინიჭებული აქვს. ენის სწავლების მხრივ სახელმწიფო პროგრამები თანდათან ვითარდება, რაც უახლოეს მომავალში, განათლების საკითხებში მომუშავე ექსპერტების აზრით, შედეგს აუცილებლად გამოიღებს. ამ ეტაპზე კი საჭიროა ქართული საზოგადოება მეტად ღია გახდეს, რათა ამ ახალგაზრდებმა შეძლონ თავიანთი იდეების, შესაძლებლობების და სურვილების რეალიზება.

ბადრი კობიაშვილი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

თსუ-ის 5 მაგისტრანტი ტარტუს უნივერსიტეტში ისწავლის

ნატო ოგოლაძე

2015 წლის საგაზაფხულო სემესტრში თსუ-ის 5 მაგისტრანტი ტარტუს უნივერსიტეტში ისწავლის. მათი მივლინება ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში ფინანსდება, რომელიც თსუ-ის რექტორის მრჩეველმა, დოქტორანტმა ვახტანგ ჭარაიამ მოიპოვა. დაფინანსების (50 000 ევრო) ფარგლებში, უკვე განხორციელდა საზაფხულო სკოლა „კარგი მმართველობა“ და თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ესტონეთში მივლინება. მსგავსი საგრანტო კონკურსი მომავალ წელსაც არის დაგეგმილი და მასში მონაწილეობას უნივერსიტეტი კვლავ გეგმავს.

ტარტუს უნივერსიტეტში სასწავლო მივლინებისთვის სტუდენტები კონკურსის საფუძველზე სპეციალურად შექმნილმა კომისიამ შეარჩია.

„შერჩევა ორ ეტაპად მიმდინარეობდა — საბუთების მიღება და გასაუბრება. გასაუბრების ფარგლებში ორი ძირითადი კრიტერიუმით ვხელმძღვანელობდით, ვაფასებდით მათ მოტივაციას და საკუთარი თავის წარდგენის უნარს. 5 სტუდენტის არჩევა საკმაოდ რთული იყო, მაგრამ ჩვენ საუკეთესოთა შორის საუკეთესოები შევარჩიეთ. დარწმუნებული ვარ, ისინი ესტონეთში სერიოზულ განათლებას მიიღებენ და მაქსიმალურად გამოიყენებენ იმ შესაძლებლობებს, რასაც ტარტუს უნივერსიტეტი სთავაზობს“, — განაცხადა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, საკონკურსო კომისიის წევრმა დავით სიხარულიძემ.

საუკეთესოთა შორის საუკეთესოები კი თსუ-ის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტები — სალომე სულაბერიძე, ნინო ძამუკაშვილი, თენგიზ სულთანიშვილი, ელენე ფანჩულიძე და თინათინ ვახანია აღმოჩნდნენ. მათ უკვე შეარჩიეს საგნები, რომელსაც ტარტუს ევრო-კოლეჯში გაივლიან.

მე-9 გვერდზე

უწარწერო კარს მიღმა

3 არდების მოედანზე, ველოსიპედის ძეგლის მოპირდაპირე მხარეს, ერთი უწარწერო მინის კარია. თუ არ იცი შიგნით რა ხდება, იქ შესვლა აზრად არასდროს მოგივა და, შესაძლოა, კარი ვერც შენიშნო. კვირის სხვა დღეებისგან განსხვავებით, იგი ხუთშაბათობით გვიანობამდე ღიაა, რადგან ფორმალური ლექციების შემდეგ, სტუდენტები აქ არაფორმალური განათლების მისაღებად მიდიან. მინის უწარწერო კარს მიღმა საშუალო ზომის დარბაზია. აქ ხან ლევან გიგინეიშვილი, გიორგი მაისურაძე, ლევან ბერძენიშვილი, ან ვინმე, უფრო ნაკლებად ცნობილი დაგხვდება. ლექციები იმ პროექტის ფარგლებში იმართება, ცოტა მოუხერხებელი სახელი რომ ჰქვია — ლიბერალიზმის სასწავლო ცენტრი. მას მოკლედ ლიბცენტრს ეძახიან.

აუდიტორია ზოგჯერ გადავსებულია, ზოგჯერ — ნაკლებად. ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ კითხულობს ლექციას. დამსწრე უამრავ სტუდენტთაგან 20-ს სხვებთან შედარებით უპირატესობა აქვს - ისინი „ლიბცენტრის“ წევრები არიან.

„ლიბცენტრი“ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პროექტია, რომელიც 2013 წლიდან ხორციელდება ამერიკული დონორი ორგანიზაციის „ეროვნული ქველმოქმედება დემოკრატიისთვის“ ფინანსური მხარდაჭერით.

თავდაპირველად პროექტს ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი თამარ კორძაია ხელმძღვანელობდა. ქარტიაში მასთან ერთად მოვიდა იურისტი, დავით კლდიაშვილი, რომელსაც ქარტიის მდივნის პოზიცია ეკავა. 2013 წელს თამარ კორძაიამ დატოვა ქარტია და, შესაბამისად — პროექტიც. საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა და ამჟამად ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარია „ქართული ოცნებიდან“. თამარ კორძაიას პოზიცია მისი წასვლის შემდეგ დავით კლდიაშვილმა დაიკავა, რომელიც პარალელურად ქარტიის საბჭოს მდივანია.

„ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება და სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება კეთილი ნების საერთო საქმეა, ამ პროექტით მე და ცენტრის სხვა წევრებს, მასში ჩადებული შრომითა და მონდომებით, ამ საქმეში ჩვენი წვლილი შეგვაქვს. მიმაჩნია, რომ რაღაც უნდა ვაკეთოთ არა მხოლოდ პირადი, არამედ, საერთო კეთილდღეობისთვის. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ პროექტში მონაწილეობა“, — აცხადებს დავით კლდიაშვილი.

„ლიბცენტრში“ სტუდენტები ესწრებიან ცენტრის მიერ ორგანიზებულ საჯარო ლექციებს, გეგმავენ დისკუსიებს, სადაც ამა თუ იმ პრობლემაზე სპეციალისტებთან ერთად მსჯელობენ, ატარებენ გამოკითხვებს, მუშაობენ გადაცემებზე (LibTime) და წერენ ბლოგ-პოსტებს, რომლებიც ცენტრის ბლოგზე იტვირთება (http://liberalizmi.wordpress.com/). მათი რეიტინგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მკითხველები აქტიურად აზიარებენ ამ გვერდს სოციალურ ქსელებში.

ცენტრის წევრი სტუდენტების ნამუშევრები აქტუალურ თემებსა და პრობლემებს ეხება. მაგალითად, წერენ ადამიანის უფლებებზე, გამოხატვის თავისუფლებაზე, რელიგიურ ტოლერანტობასა თუ სხვა პრობლემებზე, მათი თვალით დანახულ სამოქალაქო საზოგადოებაზე, ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ა.შ. ყველაზე მეტ პოპულარობას, რეიტინგების მიხედვით, ის გამოკითხვა თუ ბლოგ-პოსტი იმსახურებს, რომელიც რელიგიურ საკითხებსა და სოციალურ პრობლემაზე კეთდება. ერთი სიტყვით, ლიბცენტრში ფორმალურ სივრცეში მიღებულ ყველა თეორიულ ცოდნას სტუდენტები პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებენ. ცენტრის მთავარი მიზანიც სამოქალაქო ჟურნალისტიკის განვითარება და ისეთ პრობლემებზე ყურადღების გამახვილებაა, რომლებიც საზოგადოებაში აქტუალურია.

კობა მჭედლიშვილი 2 თვეა, რაც ლიბერალიზმის სასწავლო ცენტრის სტუდენტია. აქამდეც ხშირად ესწრებოდა პროექტის ფარგლებში გამართულ საჯარო ლექციებს, კითხულობდა სტუდენტთა სტატიებს და გადაწყვიტა თვითონაც გამხდარიყო “ლიბცენტრელი“. „ჩემთვის ლიბცენტრი პირველი ჟურნალისტური პროექტია, რომელიც არასაუნივერსიტეტო სივრცეში ხორციელდება და იმას, რაც რამდენიმე წლის მანძილზე უნივერსიტეტმა თეორიული ცოდნის სახით მომცა, პირველად ვიყენებ პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს არ ჰგავს ტიპურ სტაჟირებას, როდესაც მკაცრ დედლაინში მასალა უნდა მოამზადო და აქ არასდროს გრჩება განცდა, რომ გამოგიყენეს, ამიტომ ჩემთვის ძალიან კომფორტულია ამ პატარა გუნდში საქმიანობა. პროექტი 2 თვეზე მეტია, ხორციელდება და ჩემს მოლოდინებს ნამდვილად ამართლებს“, — ამბობს კობა მჭედლიშვილი.

ლიბერალიზმის სასწავლო ცენტრის კოორდინატორი ჟურნალისტი ნატა ძველიშვილია. მას პროექტში მონაწილეობა თამარ კორძაიამ შესთავაზა: „ისე დავთანხმდი, პროექტი წაკითხული არ მქონდა და არც ჩემი მოვალეობები ვიცოდი. აღმოჩნდა, რომ ცენტრისთვის უნდა მეხელმძღვანელა. ეს იყო პირველი სერიოზული პროექტი ჩემთვის. რამდენჯერმე ვკითხე კიდეც თამარ კორძაიას, დარწმუნებული ხარ, რომ ამ ცენტრის ჩამოყალიბებას შევძლებ-მეთქი? რატომღაც სჯეროდა“, — იხსენებს ნატა ძველიშვილი.

ცენტრის ხელმძღვანელსა და პროექტის დირექტორს განსხვავებული ფუნქცია-მოვალეობები აქვთ. უშუალოდ სტუდენტებთან ურთიერთობა, მათთვის დავალებების მიცემა, ამ დავალებების რედაქტირება, ბლოგის მართვა კოორდინატორს ევალება, ხოლო დავით კლდიაშვილი ფინანსურ საკითხებსა და დონორებთან ურთიერთობას აგვარებს. თუმცა, ისეთი საკითხები, როგორიცაა სადისკუსიო თემის არჩევა, ლექტორის მოწვევა, საჭირო ცვლილებების განხორციელება და სტუდენტთა შერჩევა, ერთობლივი გადაწვეტილების საფუძველზე ხდება. სტუდენტები გასაუბრების გზით შეირჩევიან.

„ორი მნიშვნელოვანი ეტაპია — სტუდენტების შერჩევა და შემდეგ მათთან მუშაობა. თუ პირველს არ გააკეთებ სწორად, მეორე არ იქნება შედეგიანი. ამიტომაც ყველაზე ძალიან გასაუბრების ეტაპს განვიცდი ხოლმე. თითოეულ აპლიკანტზე უნდა მქონდეს დასაბუთებული პასუხი — რატომ ავირჩიეთ ან არ ავირჩიეთ. მაინც მგონია, რომ ეს ლატარიაა-სავითაა. ყველა სტუდენტი არ ამართლებს. ზოგი იმაზე მეტად აქტიურია, ვიდრე ელოდები და ზოგი — ნაკლებად“, — აღნიშნავს ნატა ძველიშვილი.

ალექსანდრე ქეშელაშვილი ლიბცენტრის პირველი ჯგუფის სტუდენტი იყო, დღეს კი ცენტრის ტექნიკური ასისტენტია. საჭიროების შემთხვევაში იგი ისეთ ტექნიკურ საკითხებზე მუშაობას ასწავლის სტუდენტებს, როგორებიცაა: კამერასთან მუშაობა, მონტაჟი და ა.შ.

„აქ მომეცა საშუალება მემუშავა ისეთ გარემოებებში, რომელშიც მოქმედება პროფესიონალისთვისაც რთულია. როგორც სტუდენტი, მოვხვდი 2013 წლის პირველ და 17 მაისის აქციებზე, რომლებზე გადაღებულმა კადრებმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა. ის საქმე, რაშიც ვეხმარები სტუდენტებს, იქნება ეს მულტიმედია აქტივობა თუ ჟურნალისტიკის პრაქტიკული ასპექტების გაცნობა, სწორედ ლიბცენტრში ვისწავლე“, — იხსენებს ალექსანდრე ქეშელაშვილი.

ცენტრი აპირებს ლექციების ბეჭდური სახით გამოცემას, რაც პროექტის დასასრულისთვის იგეგმება და რის განხორციელებაში სტუდენტებიც მონაწილეობენ. „საუკეთესო ლექციები ირჩევა, კეთდება მისი ტრანსკრიპტი, რედაქტირდება და ამ გზით სულ სხვა ხიბლს იძენს თემა, რომელსაც ესა თუ ის ლექტორი განიხილავს ლექციაზე. წიგნის გამოცემა პროექტით გათვალისწინებული არ არის. ამიტომ, ჯერ კიდევ უცნობია დონორი ორგანიზაცია დააფინანსებს თუ არა წიგნის იდეას. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ცენტრის წევრები საკუთარ ხარჯებს გავიღებთ ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად“, — ამბობს დავით კლდიაშვილი.

პროექტი 2015 წლის იანვარში სრულდება. კურსი 6 თვიანია და მის ფარგლებში 60-მდე სტუდენტმა უკვე გაიარა უფასო სასერტიფიკაციო კურსი, ხოლო ნაწილი ახლაც ჩართულია სწავლის პროცესში. ცენტრი დაარსებიდან დღემდე ავითარებს რესურსებს, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს — თავიანთი შესაძლებლობები გამოიყენონ და იდეები განახორციელონ. მიზანიც ზუსტად აქტიური თაობის მაქსიმალური ხელშეწყობაა.

ქეთევან კანდელაკი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

თსუ-ის 5 მაგისტრანტი ტარტუს უნივერსიტეტში ისწავლის

მერვე გვერდიდან

სალომე სულაბერიძე,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრატი:

— ჩემი სპეციალობა ინგლისური ლიტერატურაა და საგნებიც შესაბამისი ავირჩიე. მაქსიმალურად შევეცადე ისინი თსუ-ის სასწავლო პროგრამას დამთხვეოდა, რადგან შემდეგ კრედიტები აქ ჩაგვეთვალოს. ველოდები უფრო მეტად პრაქტიკულ სწავლებას, რადგან ამ უნივერსიტეტში თეორია და პრაქტიკა ერთმანეთთან არის შერწყმული. ვგეგმავ აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებასაც.

ნინო ძამუკაშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტი:

— ყველა საგანი, რომელიც ავირჩიე, ძალიან საინტერესოა. მათ შორის რამდენიმე საგანი ჩვენთან არ ისწავლება, მაგალითად, მთავრობისა და ჩვეულებრივი ინსტიტუტების ურთიერთქმედება. ასევე ავირჩიე ენერგო-პოლიტიკა. დარწმუნებული ვარ, რომ ტარტუს უნივერსიტეტში გატარებული ერთი სემესტრი მომცემს ცოდნას, რომელიც ჩემი სამაგისტრო ნაშრომის დაწერაში დამეხმარება. ცოდნის მიღების გარდა ველოდები, რომ ბევრ ადამიანს გავიცნობ, შევიძენ მეგობრებს და ეს ნაცნობობა, როგორც მომავალ დიპლომატს, გამომადგება.

თენგიზ სულთანიშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტი:

— ტარტუს უნივერსიტეტისგან საკმაოდ ბევრს ველოდები. განსაკუთრებით მაინტერესებს რუსეთის საგარეო პოლიტიკა და ევროკავშირი. ტარტუს კოლეჯში ორივე მიმართულებით დიდი ცოდნისა და გამოცდილების მიღება შეიძლება. ასევე მაინტერესებს, რა როლს თამაშობს სუპრანაციონალური მმართველობა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე, ასევე, რუსეთის და ევროკავშირის ენერგეტიკული ურთიერთობები. საგანიც უკვე არჩეული მაქვს, რომელიც ამ თემას ეხება.

იმედი მაქვს, რომ ჩემს ცოდნას გავიღრმავებ სხვადასხვა ადამიანებთან ურთიერთობებით და ახალი კულტურის გაცნობით.

ელენე ფანჩულიძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტი:

— მიხარია, რომ ამ კონკურსში გავიმარჯვე. ბევრი საინტერესო საგანი ავირჩიე: რუსეთის ენერგო-პოლიტიკა; რუსეთის დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლის და ჰუმანიტარული ინტერვენციების მიმართ; რუსეთსა და ევროკავშირს შორის არსებული გამოწვევები. ჩემი პროფესიისთვის მნიშვნელოვანი იქნება ამ პროგრამაში მონაწილეობა. ასევე ვფიქრობ, დროს კარგად გავატარებ ჩემს კოლეგებთან ერთად, მომეცემა საშუალება გავიცნო ევროპული ქვეყნების კულტურა და მინდა, თუ საშუალება იქნება, ჩვენი ქვეყნის კულტურაც წარვუდგინოთ მათ.

თინათინ ვახანია,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტი:

— ტარტუს უნივერსიტეტის ევრო-კოლეჯი ცნობილია რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობების თემის სწავლებითა და ამ საკითხებზე ჩატარებული კვლევებით. სწორედ ამიტომ ავირჩიე საგნები, რომელიც აღნიშნულ მიმართულებებს მოიცავს. იქ სწავლისას აუცილებლად გავიღრმავებ ცოდნას და განსაკუთრებით ველი, რომ ინგლისური ენის პრაქტიკულად გამოყენებას შევძლებ და ენის ცოდნას დავხვეწ.

ტარტუ სტუდენტური ქალაქია და ყველა ჩემი მეგობარი, ვისაც იქ უსწავლია, მეუბნება, რომ საინტერესო სტუდენტური ცხოვრებაა. შესაბამისად, ამ პროცესში მეც აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას.

სტუდ-ეტიკეტი

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

№10

„ხელოვანობანას“ თამაში

არაფრით გამორჩეული ბიჭი, რომელსაც განსხვავებული უნდოდა ყოფილიყო... და მან ეს შეძლო. ამჟამად ჟურნალისტიკაზე სწავლობს, მწერლობით და ფოტოგრაფობითაა გატაცებული და მისი მიზანი ფილმის გადაღებაა. ადამიანებს პერსონაჟებს ეძახის და ემოციებით ცხოვრობს. ათეისტის როლს თამაშობს და სამაჯური, რომელსაც „უფალო შეგვიწყალე“ აწერია, ამოტრიალებული უკეთია, რადგან ფიქრობს, რომ ეს მისთვისაა და სხვამ არ უნდა ნახოს.

ეს ბადრი ცხომარიაა.

ბადრი ცხომარია

წერა სკოლის ასაკში დაიწყო. „რასაც ყველა წერდა, იყო მონოტონური და ერთი და იგივე, რაც მე არ მომწონდა. სულ ისეთი განცდა მქონდა, რომ არ უნდა მელაპარაკა რომელიმე მწერლის შედევრზე ისე, როგორც ავტორი ფიქრობდა. გადავწყვიტე, დავაკვირდები, მე რას ვფიქრობ და მხოლოდ ისე დავწერ-მეთქი. ასე დავწერე პირველად „თოლია ჯონათან ლივინგსტონის“ განხილვა (ეს ჩემი საყვარელი მოთხრობაა) და ყველაფერი საკუთარ თავზე გადმოვიტანე, თუმცა, რა თქმა უნდა, იქ ავტორიც ჩანდა“.

როგორც თვითონ ამბობს, მწერლობა მისი ინტერესი არაა. ამიტომ თეატრალურში კინოსარეჟისოროზე ჩასაბარებლად ემზადება. „კინო ჩემთვის ყველაფერია, მაგრამ ხელოვნების თითოეული ჟანრი ერთმანეთზეა გადაბმული. ჩემი საყვარელი მწერალი ასე აღწერს ამას: „მე მაშინ შევწყვიტე ლიტერატურის წერა, როცა კინოს ვერ ვიღებდი“. მინდა შევქმნა ლიტერატურული კინო, სადაც არ იქნება მხოლოდ კადრი. მასში სიტყვას ისეთივე ძალა ექნება, როგორც — კადრს. მინდა, ეს ორი კომპოზიცია ერთ გზაზე გავიყვანო. რეჟისორი ისე ვერ გამოხვალ, თუ მხატვრობა არ იცი, ან დოსტოევსკი არ გაქვს წაკითხული ან — ბიბლია. მე შემიძლია, მუსიკას მოვუსმინო, მასზე ლიტერატურული ნაწარმოები დავწერო და ამ ნაწარმოებიდან კინო შევქმნა. რგოლია ეს ყველაფერი“.

იმ დღეს ბადრისთან ავდიოდით. სადარბაზოსთან კაცი შეგვხვდა — მეზობელმა — გამარჯობა ფოტოგრაფოო, ბადრიმ — ოსტატს გაუმარჯოსო! კაცმა სწორად მიანიშნა — ბადრი ფოტოგრაფიითაცაა გატაცებული, რადგან რეჟისურამდე ესეც აახლოებს. „თავიდან არ მქონდა კამერა, მაგრამ მქონდა მიზნები. სკოლაში კარგად სწავლისთვის კომპიუტერი მაჩუქეს. გავყიდე ეს ლეპტოპი და ვიყიდე ფოტოაპარატი. დავინახე, რომ თურმე იმდენი კარგი კადრია ქუჩაში, გადავწყვიტე, რომ კამერა თან მეტარებინა. ამისთვის ვიყიდე ჩანთა, მაგრამ მერე შევამჩნიე, რომ კადრები კარგი იყო, მაგრამ სანამ ფოტოაპარატს ჩანთიდან ამოვიღებდი, ისინი უკვე ფუჭდებოდა. ვიფიქრე, სულ ხელში დავიკავებ ფოტოაპარატს-მეთქი, მაგრამ თურმე არაა საჭირო, რასაც ნახავ, იქედან მოვიდეს ინსპირაცია. მაგალითად, ერთხელ დედაჩემმა მითხრა, სარეცხი გავჭიმოთო. ვიფიქრე, რომ ეს სიტუაცია კარგია იმისთვის, რომ ფოტოები გადაიღო-მეთქი. ავდექი და შევცვალე ლოკაცია, დავიწყე მისი ძიება. ვნახე ქოხი, ველი, საკმაოდ საინტერესო ადგილი და იქ გადავიღე სარეცხის გაჭიმვის სცენა. ვერავინ გააჩერებს წამს, ამიტომ თვითონვე ვდგამ იმ სცენებს, რასაც ვიღებ, თუმცა არ ვიტყუები. არც ჩემს ნაწერებში ვიტყუები.. რასაც ვწერ, ემოციებით ვწერ, ვწერ იმას, რასაც ვგრძნობ. სწორედ ამაში არ ვიტყუები, თორემ პერსონაჟი რას აკეთებს, ეს უკვე ნაკლებად საინტერესოა. მთავარია, ხელოვნებამ ემოციებით არ მოგატყუოს. შენ თუ გრძნობ, ესე იგი, მე არ გატყუებ“..

მისი მშობლები აფხაზეთიდან დევნილები არიან და ბადრიმ ბავშვობა დანგრეულ საერთო საცხოვრებელში გაატარა. „ჩემმა მშობლებმა ყველაფერი დაკარგეს, რაც კი გვქონდა და ცხოვრება ნულიდან დავიწყეთ. მატერიალური რაც გვქონდა ყველაფერი გაქრა, დარჩა მხოლოდ ემოციები და სიყვარული. მართალია, სიტყვა სიყვარული უკვე გაცვდა, მაგრამ ჩვენ გვქონდა... ამ სახლში დიდი კორიდორები იყო. თითო კორიდორში 10 ადამიანი ცხოვრობდა. სულ მათთან დავდიოდი, ყველას ვიცნობდი. აქ უამრავი პერსონაჟი მხვდებოდა და მე რასაც ვწერ, ყველაფერი ამ პერსონაჟებზეა, არაფერს ვიგონებ. ის ადამიანები ყოველთვის მეხმარებიან. პერსონაჟმა, რომელიც პატარა ბავშვია (გაგიმხელ, ახლა ვწერ ამ ნაწარმოებს), იცის, რომ მამამისი ომში იბრძოდა. მამის ძმაკაცები მოდიან და ეუბნებიან, რომ მამამისი გმირია, რადგან მან ტრაქტორი გაიტაცა, იმიტომ, რომ ტრაქტორები არ გვქონდა. ბავშვი იზრდება, პატრიოტად ჩამოყალიბდება და უნდა, რომ რაღაც თვითონაც გააკეთოს. რეალურად, მამამისი ჩვეულებრივი დეზერტირი იყო, მაგრამ ბავშვისთვის ლეგენდას ქმნიან, მას ატყუებენ და ბავშვისთვისაც მამა გმირი ხდება. მყვანან პერსონაჟები — მეძავები, რომელთაგანაც პირველად გავიგე სიტყვა ღმერთი. ისინი ძალიან საინტერესო ადამიანები არიან. სწორედ ეს პერსონაჟები მეხმარებიან, რომ ლიტერატურული ნაწარმოები შევქმნა. ისინი ჩემში ბავშვობიდან შემოიჭრნენ ოცნებებთან ერთად. სხვათაშორის, მე ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი — არასდროს დაუძალებიათ, გინდა თუ არა, ეს უნდა ისწავლოო და ამით ბედნიერი ვარ. ზოგადად, ბებიებმა ბავშვს უნდა დააცადონ გაზრდა. ზოგჯერ მას უნდა, რომ იყოს ფეხბურთელი, კოსმონავტი, მაგრამ ისინი ასწავლიან მათემატიკას და ჰგონიათ, რომ თუ ბავშვმა ბაღში გამრავლების ტაბულა იცის, ის გენიოსი გაიზრდება. აცადე ბავშვს, იყოს ბავშვი. ეს ბედნიერება ადამიანს ეხმარება, რომ გაიზარდოს. თუ ბავშვი ბედნიერი არაა და ოცნებებით არ ცხოვრობს, ის მერე ვეღარ ისწავლის ოცნებას“.

ყველაზე მნიშვნელოვანი რაც მის ცხოვრებაში მომხდარა, ღმერთის გაცნობა იყო. „ღმერთის გაცნობა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მასშტაბური მოვლენა იყო. როცა დაცემული ხარ, ყველანაირად განადგურებული, ეს მაშინ ხდება ხოლმე. ასე მოხდა ჩემს ცხოვრებაშიც.. არ ვიცი, ეკლესია ვისთვის რა არის, მაგრამ ჩემთვის ის უბრალოდ ღმერთთან ახლოს ყოფნის და მასთან ურთიერთობის საშუალებაა. მე მას მთელი კვირის განმავლობაში ვშორდები, მაგრამ, როცა ეკლესიაში მივდივარ, სიტყვები არ მესმის, უბრალოდ ვდგავარ და ვუყურებ ხატს. ხშირად მიგრძნია, როგორ შევდივარ დამძიმებული და იქიდან დასვენებული გამოვდივარ. დედაჩემი ეკლესიური იყო და ეკლესიაში ბავშვობაშიც დავდიოდი, მაგრამ როცა ღმერთთან მიხვალ არა ყოველკვირეული მოვალეობის მოხდის მიზნით, არამედ მთელი გულით, შენ თავში რომ გინდა იპოვო ღმერთი, სწორედ მაშინ აღმოაჩენ მას“.



ის ამბობს, რომ „ხელოვანობანას“ თამაშობს. „მოხდა ისე, რომ მიყვარდა გოგო და დავშორდი. ეს ჩემთვის ტანჯვა იყო, რადგან ჩემი ცხოვრებიდან წავიდა ადამიანი, მაგრამ ის რომ არ წასულიყო, მე ჩემს პირველ მოთხრობას ვერ დავწერდი. დეპრესიაში რომ არ ჩავვარდნილიყავი, მეორე მოთხრობას ვერ დავწერდი. რომ არ ეთქვათ უნიჭო ხარო, ვერც მესამე მოთხრობას დავწერდი. ყველაფერი გადამაქვს შემოქმედებაზე. ჩემს ცხოვრებაშიც მოხდება ცუდი რაღაცები, მაგრამ ეს რომ არ მოხდეს, მე შემოქმედი ვერ ვიქნები“

ბადრი ამბობს, რომ პრაგმატული მიზნები არ აქვს, ერთადერთი — ფილმის გადაღებაა, მთავარი მიზანი კი — ბედნიერება. „მინდა ბედნიერების სწავლა, მე მინდა ვიყო ბედნიერი და მინდა პიროვნებად შევდგე. ყველგან მოვძებნი ამ ბედნიერებას, მე მას დღემდე ვეძებ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ბედნიერი ვიყო. ცოლს მოვიყვან და ამას ვიზავ — იმას ვიზამ, ასეთი მიზნები არ მაქვს, თუმცა, არ მინდა ფილმი გადავიღო თუ უბედური ვიქნები, გადავიღებ, იმიტომ, რომ ვისწავლო, როგორ ვიყო ბედნიერი“.

მისეული სიყვარული კი, არა ორი, არამედ ერთია: „ჩვენ ვართ 0,5 და უნდა ვიპოვნოთ მეორე 0,5, რომ ერთი გავხდეთ. სიყვარული ზუსტად ერთია და როდესაც ეს ყველაფერი ერთიანდება, ჩემთვის ეს კოსმოსი ხდება. მქონდა ისეთი პერიოდი, რომ ვიყავით ერთი. მაშინ მთელი ემოციებით ამაზე ვფიქრობდი, მინდოდა მასთან ერთად მემოგზაურა, სულ ერთად ვყოფილიყავით და ჩემს ფიქრებში, ნაწერებში სულ ეს ქალი იყო. როდესაც მან მითხრა, რომ ერთმანეთს უნდა დავშორებოდით, ყველაფერი რაც აშენებული მქონდა, დაიშალა. ეს ჩემთვის დიდი დეპრესია იყო, მაგრამ მადლობა მას, რადგან ეს რომ არ მომხდარიყო, როგორც უკვე აღვნიშნე, იმ მოთხრობას ვერ დავწერდი. ახლა უკვე შევხვდი ადამიანს, რომელთანაც თავს კომფორტულად ვგრძნობ და კარგად ვარ, მაგრამ ვისწავლე ჭკუა. მხოლოდ იმით ვისიამოვნებ, რაც ჩვენს ცხოვრებაში მოხდება. კოშკებს არ ავაშენებ და რაღაცებს არ მოვიგონებ. ვისიამოვნებ იმ წამით, რომელსაც მასთან გავატარებ და ეს უფრო ნამდვილი მგონია, რომ მერე არ მოვკვდე. შენს თავს უნდა შეუწყო ხელი, რომ ისე არ დაეცე, მერე ვეღარ წამოდგე“.

უნივერსიტეტში სულ სხვა როლი აქვს. აქ სხვანაირად ესალმებიან, სახლში კი მამა „ვოზდუხ ტრესტს“ ეძახის. ბადრი თვლის, რომ შეუმდგარი ადამიანია და თან ეს შეუმდგარობა აინტერესებს, რადგან წარმატებული ბადრის წარმოდგენა არ უნდა — რატომღაც არ მოსწონს. „სახლში სწორად იციან, მე ვარ შეუმდგარი ადამიანი, რადგან არაფერს რეალურს არ ვაკეთებ. მე ხომ გაფუჭებული საათი მიკეთია, ჩემი საათი არ მუშაობს და ეს მომწონს“.

მისი ოთახი ჩვეულებრივია, თუმცა, სურათებით და წიგნებით სავსე, სამუშაო მაგიდაზე სანათი დგას, ბევრი ფურცელი, კალამი... ოთახში შემოქმედების სუნია. ბადრი ამბობს, რომ კომფორტი მისთვის საჭირო არაა, რადგან თუ ყველაფერი კარგად გაქვს, წერასაც ვეღარ შეძლებ. მის კედელზე მისივე ხელით დაწერილი წარწერაა „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა, მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის და სიყვარულის ასე მოთმენა...“

დავით გრატიაშვილი,

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

2016 წელს მსოფლიო შექსპირის გარდაცვალებიდან 400 წლისთავს აღნიშნავს

2014 წელს მთელმა მსოფლიომ ინგლისური ლიტერატურის ორი გენიალური მწერლის საიუბილეო თარიღი აღნიშნა: შექსპირის დაბადებიდან 450 წლისთავი და ჯეიმს ჯოისის „დუბლინელების“ 100 წლისთავი. ბუნებრივია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელიც დაარსების დღიდან იყო და არის ინგლისური ლიტერატურის შესწავლისა და თარგმნის მთავარი ცენტრი საქართველოში, ღირსეულად აღნიშნა ორივე თარიღი.

შურთხია ბეროშვილი

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შექსპირის შემსწავლელმა ცენტრმა, რუსთაველის თეატრთან ერთად, შექსპირის დაბადებიდან 450 წლის თავისადმი მიძღვნილი მასშტაბური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გამართა. შექსპირის საიუბილეო წელმა სხვა სასიამოვნო სიახლეებიც მოიტანა: თსუ-ის შექსპირის ცენტრსა და ბრიტანეთის საბჭოს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, ჩატარდა ერთობლივი სტუდენტური კონკურსი — „შექსპირი საქართველოში“. პროექტის ფარგლებში სტუდენტებმა თეატრებში თუ მუზეუმებში მოიძიეს მასალები შექსპირის შესახებ, შეხვდნენ და ინტერვიუ ჩამოართვეს შექსპირის ცნობილ მთარგმნელებს, რეჟისორებს, მსახიობებს და ინგლისურ ენაზე წარმოადგინეს თავისი ნაშრომები. ბრიტანეთის საბჭოს კომისიამ დოქტორ მაია ყიასაშვილის ხელმძღვანელობით შეარჩია გამარჯვებული, ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრანტი თამარ კახნიაშვილი, რომელიც ბრიტანეთის საბჭომ და თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა ოქსფორდის უნივერსიტეტში ერთთვიანი სამეცნიერო მივლინებით დააჯილდოვა.

რუსთაველის თეატრთან ერთად ჩატარდა საგანმანათლებლო-სახელოვნებო პროექტი — „სტურუას შექსპირის სამყარო“ (პროექტის ავტორი — დოქტორი დავით მაზიაშვილი), რომლის ფარგლებში რუსთაველის თეატრში მოეწყო გამოფენები, დისკუსიები, შეხვედრები აკადემიურ და სახელოვნებო წრეების წარმომადგენლებთან, სპექტაკლების ვიდეო ჩვენება.

„თსუ იყო პირველი კერა, სადაც დაიწყო შექსპირის შესწავლა და თარგმნა, საკმარისია გავიხსენოთ გივი გაჩეჩილაძე, რომელიც მაჩაბელის შემდეგ ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი იყო. მანვე დაიწყო შექსპირის სრული თხზულებების გამოცემა, რომელიც ვერ განხორციელდა. შემდეგ ნიკო ყიასაშვილმა, რომელმაც „ქართულ შექსპირიანას“ ჩაუყარა საფუძველი, ითავა შექსპირის აკადემიური გამოცემა 5 ტომად, მაგრამ ეს პროექტიც დაუსრულებელი დარჩა. სამწუხაროდ, დღემდე შექსპირის სრული აკადემიური გამოცემა არ გვაქვს. აუცილებელია მათი დაწყებული საქმე გაგრძელდეს. შექსპირის ცენტრმა უკვე დაიწყო მუშაობა ელექტრონულ „ქართულ შექსპირიანაზე“, რომელმაც თავი უნდა მოუყაროს ქართულ ენაზე შექსპირის შესახებ არსებულ ყველა მასალას“, — ამბობს თსუ-ის შექსპირის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი მანანა გელაშვილი.

მეორე ავტორი მე-20 საუკუნის დიდი მოდერნისტი მწერალი ჯეიმს ჯოისია. საქართველოში ჯოისის შემოქმედების კვლევას საფუძველი ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, პროფესორმა ნიკო ყიასაშვილმა ჩაუყარა, რომელიც არა მარტო თარგმნიდა, არამედ მან სასწავლო პროგრამაშიც შეიტანა ჯოისის ნაწარმოებები და, როგორც პროფესორი მანანა გელაშვილი ამბობს, ეს სიყვარული მომდევნო თაობებსაც „გადასდო“. აღსანიშნავია, რომ ქართველ პროფესორს ხშირად იწვევენ ევროპაში, ჯეიმს ჯოისისადმი მიძღვნილ სხვადასხვა ღონისძიებებზე, სადაც იგი სიამაყით აცნობს უცხოელ კოლეგებს საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგებს.

„მიხარია, რომ დიდი ინგლისელი მწერლის შემოქმედების კვლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლავ წარმატებით გრძელდება. ორი წლის წინ აღვნიშნეთ ჯოისის დაბადებიდან 130 წლისთავი, გავმართეთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გამოვეცით კრებული. გაზაფხულზე სამეცნიერო მივლინებით ვიმყოფებოდი ჯოისის მშობლიურ ქალაქში, დუბლინში, სადაც ამჟამად ჯოისის შემსწავლელი ცენტრია, სწორედ აქ გაიმართა სამდღიანი კონფერენცია, რომელიც ეძღვნებოდა „დუბლინელების“ 100 წლისთავს. ჩემმა მოხსენებამ — „დროისა და სივრცის აღქმა ჯოისის „დუბლინელებში“ საკმაოდ დიდი დაინტერესება გამოიწვია, რადგან, პრაქტიკულად, პირველი მეცნიერი ვიყავი პოსტსაბჭოთა სივრციდან, რომელსაც ისინი შეხვდნენ. კონფერენციის ფარგლებში მოეწყო ჩვენი კრებულის — „ჯოისი 130“ პრეზენტაცია, რომელშიც თსუ-ში გამართული საერთაშორისო კონფერენციის მასალებია დაბეჭდილი. ძალიან საინტერესო იყო დუბლინის უნივერსიტეტის ჯოისის სახელობის ბიბლიოთეკაში მუშაობა, ასევე მარტელოს კოშკის მონახულება, რომელიც ჯოისმა უკვდავყო „ულისეში“ და სადაც დღეს ჯოისის მუზეუმია“, — იხსენებს მანანა გელაშვილი.

მანანა გელაშვილი

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სამეცნიერო მივლინება ციურიხში, მიმდინარე წლის ნოემბერში ჯეიმს ჯოისის ფონდში, სადაც მანანა გელაშვილმა მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ღონისძიებაში. „მოგეხსენებათ, რომ ჯოისი დიდხანს ცხოვრობდა ციურიხში, ნებაყოფლობით ემიგრაციაში. სწორედ იქ დაიწერა მისი ბოლო ნაწარმოები „ფინეგანი“. იგი იქვე, ციურიხშია დაკრძალული. ამიტომ ციურიხმა ჯოისი ციურიხელ მწერლად აღიარა, ხოლო ციურიხის ბანკის მეცენატობით შეიქმნა ჯეიმს ჯოისის ფონდი, რომელსაც ამ დარგის ლეგენდარული წარმომადგენელი 85 წლის ფრიც ზენი ხელმძღვანელობს. ფონდს აქვს უმდიდრესი ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია ჯოისის ძალიან საინტერესო ხელნაწერები. ციურიხში წავიკითხე მოხსენება „ჯოისი საქართველოში“, სადაც ვისაუბრე ჯოისზე ქართულ კულტურასთან მიმართებაში — თუ როდის და როგორ დაიწყო საქართველოში ინგლისელი მწერლის შემოქმედების კვლევა და როგორ გრძელდება ეს ტრადიცია დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ფონდს საჩუქრად გადავეცი ჯოისის და ჯოისზე გამოცემული ნიგნები. მეამაყება, რომ ჯოისის კვლევას წარმატებით აგრძელებენ ქართველი სტუდენტები. მაგალითად, უკვე სამი სადოქტორო დისერტაცია დაიწერა ჯოისის შემოქმედებაზე. საქართველოში არსებობს ჯეიმს ჯოისის ასოციაცია, ჯოისის შემსწავლელთა ჯგუფი. გაიმართა ჯოისის საერთაშორისო კონფერენცია.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს: 2016 წელს მსოფლიო შექსპირის გარდაცვალებიდან 400 წლისთავს აღნიშნავს. თსუ-ის შექსპირის ცენტრს დაგეგმილი აქვს მასშტაბური სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით „ქართული შექსპირიანა“ ლონდონში გაიმართოს. კონფერენცია საშუალებას მოგვცემს შექსპირის სამშობლოს გავაცნოთ შექსპირის რეცეფცია საქართველოში. ჩვენ ასევე ვკონტაქტობთ რუსთაველის თეატრთან და მათთან ერთად ვგეგმავთ მოვაწყოთ შექსპირის შემოქმედების რეტროსპექტივა ინგლისში. ამ კონფერენციისათვის მზადება უკვე დაწყებულია. არაოფიციალური მოლაპარაკება უკვე გვქონდა ინგლისში საქართველოს ელჩთან პროფესორ რეზო გაჩეჩილაძესთან, რომელიც დაინტერესდა ამ საკითხით და დახმარება აღგითქვა.

იანვარში ბრიტანეთის საბჭოსთან ერთად გაიმართება სტუდენტური კონკურსი „რაში გვჭირდება შექსპირის იდიომები“. გამარჯვებულს ბრიტანეთის საბჭო უფასოდ სთავაზობს ინგლისური ენის სამთვიანი კურსის გავლას. 29 დეკემბერს კი თსუ-ში საახალწლო კარნავალი „შექსპირის ეპოქა“ გაიმართება. სტუდენტები დიდი ხალისით ემზადებიან ამ დღისთვის, უკვე გვყავს ხუთი ჯულიეტა, ლედი მაკბეტი, კლეოპატრა. ჰამლეტობა და „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგის წაკითხვა პროფესორმა თინა მარგალიტაძემ იტვირთა. მე შექსპირის კოსტუმს მოვირგებ. რომეოები ცოტა გვიჭირს. თსუ-ში შექსპირი კვლავ „ცოცხალია“, — ამბობს მანანა გელაშვილი.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახალ დეკანს აირჩევს

მეორე გვერდიდან

პროცესში. 4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გაძლიერება — რაც გულისხმობს აკრედიტაციის პროცესისთვის სამსახურის ადამიანური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას, სამსახურის უფროსისთვის ლეგიტიმაციის ხარისხის გაზრდას, სამსახურს და მიმართულებებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას. 5. კვლევითი კომპონენტის გაძლიერება — გულისხმობს ფაკულტეტისთვის გამოყოფილი საკვლევი ფონდის სამართლიანად და ეფექტიანად ათვისებას, ფაკულტეტის პერსონალის მიერ რეცენზირებად ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების ხელშეწყობას, ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალის ჩამოყალიბებას, პლაგიატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმის შემოღებას. 6. მთარგმნელობითი საქმიანობის გაძლიერება — ითვალისწინებს ოთხი წლის განმავლობაში პირველი და მეორე კურსისთვის აუცილებელი საკითხავი ლიტერატურის ქართულ ენაზე სრულიად თარგმნას, ახალი ლიტერატურის თარგმნას და მიმართულებებზე მთარგმნელობითი პოტენციალის გაძლიერებას. 7. აკადემიური პერსონალის სამსახურში აყვანის კრიტერიუმების შემუშავება და დანერგვა — შესაბამისად, ფაკულტეტზე შემუშავებული კრიტერიუმების რამდენიმე მოდელის კიდევ უფრო განვითარება და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის მისი წარდგენა-დაცვა. 8. ფაკულტეტის საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია, რისთვისაც აუცილებელია საბაკალავრო და სამაგისტრო ინგლისურენოვანი კურსების განვითარება, კვლევითი და ფაკულტეტის განვითარების გრანტების მოზიდვა, დონორებთან მუდმივი მუშაობა, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის დაინტერესება ფაკულტეტის საქმიანობით და მიმდინარე პროექტებით. ასევე, საჭიროა გაცვლითი პროგრამების რაოდენობის გაზრდა. 9. ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან კომუნიკაციის თვისობრივი გაუმჯობესება, რაც გულისხმობს სტუდენტებთან, მიმართულების ხელმძღვანელებთან, მოწვეულ ლექტორებთან და ადმინისტრაციასთან რეგულარულ ინსტიტუციონალურ ურთიერთობებს, რომელთა მიზანი იქნება პრობლემების მოსმენა, გაზიარება და გადაჭრის გზების მოძებნა. 10. ფაკულტეტის ბიუჯეტის ტრანსპარენტულობის შენარჩუნება — ანუ ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის სრული გასაჯაროება. 11. ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, შესაბამისად აუდიტორიების, სასწავლო და სამუშაო ფართების კეთილმოწყობა. 12. სოციალური ქსელების გამოყენების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ლექტორებს და სტუდენტებს, ადმინისტრაციას და ლექტორებს, სტუდენტებს და ადმინისტრაციას შორის სოციალური ქსელების მეშვეობით კონტაქტების გამყარებას.

■ ■ ■

თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ნანი მაჭრაშვილი: თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ოთხწლიანი განვითარების სტრატეგია ორიენტირებულია შემდეგი მიზნების მიღწევაზე: 1. ფაკულტეტზე არსებული რესურსების (ადამიანური, ფინანსური, ტექნიკური) გაძლიერება და მუშაობისთვის აუცილებელი პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. 2. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო, კვლევითი, მომსახურეობის გარემოს გაუმჯობესება. 3. ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლება. 4. ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ზრდა. სტრატეგია ორიენტირებული იქნება ფაკულტეტის სამივე, უმაღლესი სასწავლებლისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებით განვითარებაზე — სწავლა, კვლევა და ადმინისტრირება.

აღნიშნული მიზნების მიღწევაში განმსაზღვრელი იქნება ისეთი პრინციპებით ხელმძღვანელობა, როგორიცაა — გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობის გადანაწილება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე მხარეთა შორის, დეპარტამენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლება.

ფაკულტეტზე არსებული რესურსების გაძლიერებისა და მუშაობისთვის აუცილებელი პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით მნიშვნელოვანია — ფაკულტეტის სტრუქტურული დანაყოფების მართვის სისტემის გაუმჯობესება, ფაკულტეტის საკადრო პოლიტიკის დახვეწა, ფაკულტეტის მიერ განსახორციელებელი ინიციატივების შესაბამისი მარეგულირებელი წესების მეშვეობით გაწერა, ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მუდმივმოქმედ რეჟიმში ყოფნა, ფაკულტეტის საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობის ზრდა და ფაკულტეტის ცნობადობის ზრდა, პარტნიორების მოპოვება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ.

სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო, კვლევითი და მომსახურების გარემოს გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია: სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის ზრდა, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების გაუმჯობესება, სტუდენტთა კვლევითი და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული აქტივობების ხელშეწყობა, სტუდენტზე ორიენტირებული პრინციპების აქტიური გამოყენება სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების პროცესში, პრაქტიკულ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსების რაოდენობის ზრდა, დოქტორანტთა კვლევების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი დაფინანსების სისტემის შეთავაზება.

ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლების მიზნით დღის წესრიგში დგება — გაცვლით პროგრამებში გამარჯვებულ სტუდენტთა ფაკულტეტის მიერ მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება, ფაკულტეტის პროფესორთა საზღვარგარეთის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება, უცხოელი პროფესორების სასწავლო პროცესში ჩართულობა, ინგლისური ენის სწავლების მოდელის გაუმჯობესება.

ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი პოტენციალის ზრდის უზრუნველყოფის მიზნით პრიორიტეტული იქნება შემდეგი აქტივობების მხარდაჭერა: სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზების ხელშეწყობა, სამეცნიერო აქტივობებისა და შესაძლებლობების შესახებ მუდმივ რეჟიმში ინფორმაციის გავრცელება, დეპარტამენტების შესაბამის პროფესიულ ასოციაციებში გაწევრიანების ხელშეწყობა, ფაკულტეტის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის დაარსება, კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება, პროფესორთა რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების შესაძლებლობის ზრდის უზრუნველსაყოფად დაიფარება ინგლისურენოვანი ტექსტების რედაქტირების ხარჯები.

საზოგადოება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ

ნატო ოგოლაძე

ოჯახური ძალადობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, გამონაკლისი არც საქართველოა. განსაკუთრებით, ბოლო წლების განმავლობაში მედიის საშუალებები აქტიურად აშუქებენ ამ საკითხებს. აქცენტი რამდენიმე მიმართულებით კეთდება — ეს არ არის მხოლოდ ოჯახის წევრების პრობლემა, საჭიროა მის მოსაგვარებლად როგორც საზოგადოების, ასევე, სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურათა და მეცნიერების ქმედითუნარიანობაც. ოჯახური ძალადობის პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს არაერთ კანონში უკვე შესულია შესაბამისი ცვლილებები და დამატებები. ძალადობის მიზეზების დასადგენად დაწყებულია კვლევები და მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი უწყებების მიერ ადეკვატური ზომების მისაღებად. თბილისში მიმდინარეობს არასამთავრობო სექტორის აქტიური კამპანია, რაც სხვადასხვა ღონისძიებებს მოიცავს, მათ შორის არის ქუჩებში გამოკრული სარეკლამო ბანერები მოწოდებებით — „არა ქალ კლა“, „მკვლელობა დანაშაულია“ და ა.შ.

ოჯახური ძალადობის საწინააღმდეგო კამპანია დაიწყო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 10 დეკემბერს კონფერენცია „საზოგადოება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“ გაიმართა, რომელსაც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა გაუწია ორგანიზება. ღონისძიების მხარდამჭერები გახლდნენ „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია და სოციალური მუშაობის მიმართულება. კონფერენციის მუშაობაში ჩართულები იყვნენ იურისტები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, სტუდენტები, სახელმწიფო უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

„შევიკრიბეთ, რადგან კიდევ ერთხელ გვემსჯელა ოჯახური ძალადობის თაობაზე. ჩვენი მიზანი გახლდათ, ამ პროცესში პროფესორებისა და სტუდენტების გარდა, საზოგადოებაც ჩართულიყო. ამ მიმართულებით კრიმინოლოგიის ინსტიტუტი საკმაოდ მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა. კონფერენციაზე ვისაუბრეთ იმ მიზეზებზე, რომლებიც ოჯახური ძალადობის წარმოქმნას უწყობენ ხელს და იმ საშუალებებზე, რომლებიც მათ თავიდან აცილებას განაპირობებს. ასევე, ჩვენი უმთავრესი მიზანია, არ მივცეთ ამ ღონისძიებას მხოლოდ კამპანური ხასიათი და სისტემატურად ვიმუშაოთ“, — განაცხადა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა მზია ლეკვეიშვილმა.

კონფერენციაზე „საზოგადოება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“ მოხსენებები რამდენიმე მთავარი მიმართულებით იყო წარმოდგენილი — „ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზები და პირობები“ (ავტორი თსუ-ის პროფესორი, სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი მაია ივანიძე), „ოჯახური ძალადობის სამართლებრივი ანალიზი“ (ავტორი თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი ირინა ხერხეულიძე), „ოჯახი და ძალადობის ფსიქოლოგიური არსი“ (ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა), „მსხვერპლთა დაცვა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით“ (ავტორი თსუ-ის მოწვეული პროფესორი მარინა მესხი), „სოციალური მუშაობის როლი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“ (ავტორი თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი) და „პოლიციიის სახელმძღვანელო სტანდარტები ოჯახში ძალადობის ფაქტზე ინფორმაციის მიღების დროს“ (ავტორი შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის საპატრულო პოლიციის ფაკულტეტის უფროსი ნოდარ სააკაშვილი).

მაია ივანიძემ თავის მოხსენებაში ახსნა, რომ ოჯახში ძალადობის მიზეზები მხოლოდ ახლო წარსულში არ არის საძიებელი, ისტორიაში — რელიგიური, სოციალური და, ზოგადად, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება თავისებურ გავლენას ახდენდა ოჯახის ინსტიტუტზე და ოჯახში არსებულ ვითარებაზე.

„თუკი მოვინდომებთ და ჩავუღრმავდებით, საზოგადოების თითოეული წევრი მიზეზს საკუთარ შესაძლებლობებსა და მათ სწორ რეალიზაციაში ვიპოვით. ოჯახის სოციალურ-ბიოლოგიურ ფუნქციებზე ეკონომიკურმა რღვევამ კანონზომიერად იმოქმედა. უმუშევრობამ და უიმედობამ ოჯახში მამაკაცის როლი, გარკვეულწილად, შეასუსტა. შედეგად მივიღეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ წასული უამრავი სამსახურის მაძიებელი და ოჯახის მარჩენალი ქალბატონი. ეს ყველაფერი, თანდათან, ოჯახის რღვევის საფუძველი გახდა. ჩვენს ქვეყანაში დარჩენილი ქალბატონების ნაწილი კი ოჯახური ძალადობის მსხვერპლად იქცა, რომელთაც გამოსავლად განქორწინება რჩებათ. ამგვარი ქალბატონები საზოგადოებრივი ნორმების მკაცრი შეფასების ქვეშ ექცევიან. ხშირად გაისმის კითხვა – იქნებ თავად ქალია დამნაშავე?“, — აღნიშნა მაია ივანიძემ.

არის თუ არა ქალი დამნაშავე განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი, ძირითადად, ქალები ხდებიან? ამ საკითხის განხილვისას ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა ამბობს, რომ კონკრეტული კვლევები არ არსებობს, თუმცა, მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, მამაკაცები ხშირად ხვდებიან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი. განსაკუთრებით, თუ უმუშევარია და სოციალური მდგომარეობა მძიმეა.

„ქართულ მენტალიტეტსა და კულტურაში ოჯახში ძალადობა არ არის. ქალთა მიმართ პატივისცემა იგრძნობა პოლიტიკოსების სხვადასხვა ფრაზებში — ,,ქალს როგორ ელაპარაკები?” და ა.შ. ჩემი მოხსენება, ძირითადად, ფსიქოლოგიურ ძალადობას შეეხო, ვიდრე ფიზიკურს, რადგან ფსიქოლოგიური ასპექტები გაცილებით რთულია. ამ ფორმას უმეტესად ქალები მიმართავენ, როდესაც მამაკაცის დასაქმების პრობლემაა და მას ძალიან დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ შენიშვნებს აძლევენ. ამ დასკვნას საკუთარი სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე ვაკეთებ.

ოჯახური ძალადობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ოჯახში ძალაუფლების გადანაწილების როგორი სტილია დამკვიდრებული. ავტორიტეტული სტილის შემთხვევაში ძალადობას ადგილი არ აქვს, რადგან ოჯახის წევრები ერთმანეთს ისე გადასცემენ საკუთარ აზრს, რომ მათ თავს არ ახვევენ. ავტორიტარულ ოჯახში მხოლოდ ერთი წევრია დომინანტი და მისი სიტყვა გადამწყვეტად ითვლება. საბოლოოდ, ოჯახში როგორ არის გადანაწილებული სითბო და კონტროლი, ამაზეა დამოკიდებული ძალადობის ხასიათიც. მესამე სტილია – ნეიტრალური, სადაც სრული ინდიფერენტული დამოკიდებულებაა“, — განაცხადა ნანა ჩაჩუამ.

ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიაში ადეკვატური საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი დატვირთვა კანონშემოქმედებით საქმიანობას აქვს. თუ რას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის შესახებ, კონფერენციაზე იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ტაბატაძემ ისაუბრა.

„ხელისუფლება აქტიურად ახორციელებს ღონისძიებებს ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ და ამ პროცესში თითქმის ყველა უწყებაა ჩართული. რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს მიდგომას, ჩვენ, მიმდინარე წელს, 11 კანონში შევიტანეთ ცვლილებები. მათ შორის საპროცესო კოდექსში, სისხლის სამართლის კოდექსში, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კოდექსებში. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ევროსაბჭოს სტამბოლის კონვენცია, რომელსაც საქართველო უკვე შეუერთდა და იუსტიციის მინისტრმა, ქალბატონმა თეა წულუკიანმა მას ხელი უკვე მოაწერა. ახლა მიმდინარეობს მუშაობა, რომ აღნიშნულ კონვენციასთან საქართველოს კანონმდებლობის სრული თანხვედრა განხორციელდეს და შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები სწრაფად დასრულდეს“, — განაცხადა ალექსანდრე ტაბატაძემ.

საქართველოში უკვე მოქმედებს მსხვერპლთა დაცვის სისტემა, რომელიც ფსიქოლოგიურ, სამედიცინო, სარეაბილიტაციო და თავშესაფრებით დახმარებას ითვალისწინებს. მოქმედებს ცხელი ხაზიც, თუმცა პრობლემები არსებობს მოძალადეთა რეაბილიტაციის მიმართულებით.

საქართველოში „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონი 2006 წლის 25 მაისს მიიღეს. კანონის მიხედვით, ჩამოყალიბდა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალიზირებული ინსტიტუტი, რომელიც, ოჯახში ძალადობის არსებობის შემთხვევაში, დანაშაულის აღკვეთისთვის იყენებს სისხლის-სამართლებრივ, სამოქალაქო-სამართლებრივ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმებს. კანონის ეფექტურად განხორციელებისთვის დოკუმენტში განსაზღვრულია ცალკეული სტრუქტურების უფლებამოსილებები. მათ შორის საპატრულო პოლიციისაც, რომელსაც დანაშაულის დროს პირველადი რეაგირება ევალება. ამ თემაზე ბოლო თვეების განმავლობაში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს დამატებით ტრენინგებიც ჩაუტარდათ. უფრო კონკრეტულად ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის საპატრულო პოლიციის ფაკულტეტის უფროსმა ნოდარ სააკაშვილმა ისაუბრა: „საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ოჯახში შესვლის დროს ვალდებულია, გაითვალისწინოს აღნიშნულ მისამართთან დაკავშირებით უკვე არსებული ინფორმაცია, მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინოს, დააშორიშოროს მხარეები. განცალკევებით დაკითხოს ისინი. ჩამოართვას წერილობითი ახსნა- განმარტებები.

პოლიციელი უზრუნველყოფს, ასევე, მსხვერპლის გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში, მსხვერპლის თხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოფს მისი ან არასრულწლოვანი მსხვერპლის გადაყვანას თავშესაფარში.

შემაკავებელი ორდერების გამოწერის შემთხვევაში მოძალადის მიერ მისი შეუსრულებლობა ჯერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ, ხოლო კიდევ ერთხელ მისი დარღვევა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

შესაძლებელია საპატრულო პოლიციის თანამშრომელი დამატებით გაესაუბროს იმ ადამიანს, რომელმაც აცნობა პოლიციას ძალადობის ფაქტის თაობაზე და თხოვოს — იყოს ყურადღებით და კვალავ შეატყობინოს პოლიციას ეჭვის გაჩენის შემთხვევაში“.

,,საზოგადოება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ” კამპანია გაგრძელდება. როგორც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორებმა დააანონსეს, დამატებით კვლევები ისევ განხორციელდება და, საჭიროების შემთხვევაში, კვლევის შედეგები საკანონმდებლო სისტემაშიც აისახება.

ვისი სახელები მიენიჭა აუდიტორიებს თსუ-ში

თამარ დადიანი

თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა რომ თაობებს შორის ურთიერთობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, ეს კარგად ჩანს მისი სამოქმედო პროგრამიდან, სადაც ხაზგასმულია ახალგაზრდა თაობის მიერ ღვაწლმოსილი მეცნიერების დაფასებისა და სათანადო ყურადღების საჭიროების მნიშვნელობა. რექტორის ინიციატივით შეიქმნა კომისია, რომელიც უნივერსიტეტში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ღვაწლის უკვდავსაყოფად და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვა-აღორძინების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს განიხილავს. კომისია, რომელიც უნივერსიტეტის რექტორის საკონსულტაციო ორგანოს წარმოადგენს, რეკომენდაციებს წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც აღნიშნულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს.

კომისიის შემადგენლობაში შედიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და აკადემიური სივრცის წარმომადგენლები თსუ-ის ყველა ფაკულტეტიდან. კომისიის თავმჯდომარეა თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა.

კომისიის საქმიანობის შესახებ გვესაუბრება კომისიის წევრი, თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, პროფესორი ზურაბ გაიპარაშვილი:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ღვაწლის უკვდავსაყოფად და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვა-აღორძინების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამდგენი კომისიის შექმნა უშუალოდ თსუ-ის რექტორის ინიციატივაა და რექტორის სამოქმედო სტრატეგიაში პირდაპირ ჯდება.

უნივერსიტეტმა პატივი უნდა სცეს თავის წარსულს, ახალგაზრდებმა უფრო დეტალურად უნდა იცოდნენ იმ სახელოვანი ტრადიციებისა და ღირსეული მეცნიერების შესახებ, ვინც წლების განმავლობაში უნივერსიტეტის ისტორიასა და სახელს ჰქმნიდა. თსუ-ის რექტორის საქმიანობის ერთერთ პრიორიტეტს ახალგაზრდა თაობის მიერ გამოჩენილი მეცნიერების ღვაწლის ჯეროვნად დაფასება და პატივისცემა წარმოადგენს. რექტორს გადაწყვეტილება ერთპიროვნულად რომ არ მიეღო, ამიტომაც შეიქმნა ეს კომისია.

ბოლო პერიოდში, ეს კომისია აქტიურად განიხილავს ამა თუ იმ აუდიტორიისთვის რომელიმე სახელოვანი, საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის სახელის მინიჭება-არმინიჭების საკითხს. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება უნივერსიტეტის I კორპუსში 304-ე ოთახს დაერქვას აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აუდიტორია, 305-ე ოთახს – აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას სახელობის აუდიტორია, ხოლო თსუ-ის რ. აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ელექტროლიზის ლაბორატორიას მიენიჭოს მეცნიერ აპოლონ ავალიანის სახელი.

კომისიამ აქტიურად იმუშავა იმ თვალსაზრისითაც, თუ ვისი ბიუსტები განთავსებულიყო უნივერსიტეტის I კორპუსში. განიხილეს უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, იოსებ ყიფშიძის გადმოსვენების საკითხიც. როგორც წესი, კომისიამ კულტურულ ფასეულობებთან დაკავშირებულ საკითხებზეც უნდა იმსჯელოს და მნიშვნელოვანი იუბილეების თარიღებიც წარმოადგინოს.

„საერთაშორისო ბიზნესი, გარესამყარო და ოპერაციები“ — ახალი სახელმძღვანელოს მოლოდინში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის მიმართულების სტუდენტებს სულ მალე ექნებათ ახალი სახელმძღვანელო — „საერთაშორისო ბიზნესი, გარესამყარო და ოპერაციები“, რომელიც მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი და გამოცემული. სახელმძღვანელო განკუთვნილია სწავლების I და II საფეხურის სტუდენტებისთვის. იგი ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. ასე რომ, უცხოეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ადაპტირებული წიგნი დღეს უკვე ქართველი სტუდენტებისთვისაც ხელმისაწვდომი ხდება.

სახელმძღვანელოს თარგმნასა და მომზადებას წინ საინტერესო, აქტიური, სწავლასა და კვლევაზე ორიენტირებული პროცესები უძღოდა. თუ რა შედეგი მოგვიტანა უცხოეთის სამეცნიერო წრეებთან აქტიურმა და ნაყოფიერმა თანამშრომლობამ, ამის შესახებ გვესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, „საერთაშორისო ბიზნესის“ პროგრამის ხელმძღვანელი თეიმურაზ შენგელია.

თამარ დადიანი

— ბატონო თეიმურაზ, როგორ დაიწყო უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობა?

— სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, 2012 წელს, ჩემი, როგორც „საერთაშორისო ბიზნესის“ პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით, დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რამდენიმე უნივერსიტეტთან. მათ შორის ბუქარესტის (რუმინეთი), კატოვიცეს საერთაშორისო (პოლონეთი), მოლდოვას სახელმწიფო ეკონომიკურ (მოლდოვა), ოდესის ეროვნულ (უკრაინა) და სხვა უნივერსიტეტებთან. ხელშეკრულება ითვალისწინებდა „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების წარმოებას, ერთობლივი მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების გამოცემას, სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციების გამართვას, სპეციალისტებისა და სტუდენტების გაცვლას. ეს გახლავთ უაღრესად საინტერესო და, რაც მთავარია, პრაქტიკული დატვირთვის მქონე პროექტი, რომელიც აქტიური და პრაგმატულია — ორიენტირებული სწავლასა და კვლევაზე. ამ პროექტის ფარგლებში 2014 წელს გამოიცა საერთაშორისო შრომების კრებული: INTERNATIONAL BUSINESS IN THE WORLD ECONOMIC SYSTEM / Edited by : Teimuraz Shengelia – Doctor of Economic Sciences, Full professor of Tbilisi Iv.Javakhishvili State University; Ameziane Ferguene - professor of Grenoble University; Marie Gerodes – (Ph.D) Professor Prague University of Economics Alexandre Gribincea – Doctor of Economic Sciences, professor of State University of Moldova; Iuri Kozak – Doctor of Economic Sciences, professor of Odessa State Economic University – Tbilisi: Universal – 2013. აქ წარმოდგენილია ეკონომიკისა და ბიზნესის თანამედროვე პრობლემატიკის საინტერესო კვლევები, რომელსაც აწარმოებენ ცნობილი მეცნიერები აშშ-იდან, საფრანგეთიდან, საქართველოდან, უკრაინიდან, მოლდოვადან, ჩეხეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ამ პროგრამის ფარგლებში გამოიცა სრულიად უნიკალური სახელმძღვანელოები ინგლისურ, უკრაინულ, პოლონურ და მოლდავურ ენებზე. პროექტის ამ ნაწილს ხელმძღვანელობდა ცნობილი უკრაინელი მეცნიერი, ოდესის ეროვნული ეკონომიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი იური კოზაკი. საინტერესოდ წარიმართა ჩვენი საქმიანობა ამ სფეროში. წინასწარ შედგენილი და შეთანხმებული გეგმა-პროექტის შესაბამისად, პროგრამაში მონაწილე თითოეული მხარის მიერ იწერებოდა სახელმძღვანელოს ცალკეული თავები. საერთაშორისო დონეზე აპრობირებული და უკვე გამოცემული ეს წიგნები წარმოადგენენ სხვადასხვა ქვეყნების მკვლევარების მეცნიერული და პედაგოგიური აზროვნების კოლექტიურ ნააზრევს. ყველაზე საინტერესო ამ ნაშრომების პოპულარიზაციის თვალსაზრისით, გახლდათ ის, რომ ეს წიგნები გამოიცა პროექტში მონაწილე ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. მეამაყება, რომ პოლონეთში, უკრაინაში, მოლდოვეთში გამოცემულ ამ სახელმძღვანელოების რედაქტორი და რამდენიმე თავის ავტორი გახლავართ. აქ შესულია ჩემი კოლეგების, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორების მიერ დამუშავებული მასალებიც.

— „საერთაშორისო ბიზნესის“ პროგრამის ფარგლებში ითარგმნება სახელმძღვანელოები, რას გვეტყვით ამის შესახებ?

— „საერთაშორისო ბიზნესის“ პროგრამის ფარგლებში ჯერ კიდევ 2013 წელს მიიღეს გადაწყვეტილება იმ ინტერნაციონალიზებულ საგანმანათლებლო პროცესთან ერთად, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, დასავლეთში აპრობირებული უახლესი სახელმძღვანელოების ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნის შესახებ. უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას უშუალო ჩარევით, შევძელით აშშ-ი და სხვა ქვეყნებში გამოცემული სახელმძღვანელოს International Business: Environments & operations. Fouteenth edition. Autors: John D. Daniels; Lii H.Radebaugh, Daniel P. Sullivan. (2013) თარგმნა და მას თსუ უახლოეს ხანებში გამოსცემს. მინდა მოგახსენოთ, რომ ეს საკმაოდ შრომატევადი და რთული პროცესია. ორგანიზაციული თვალსაზრისით, განსაკუთრებით რთულია იმ გამომცემლობასთან მოლაპარაკების პროცესი, რომელიც ფლობს წიგნის გამოცემის ექსკლუზიურ უფლებას. გამომცემლობა „Pearson Education“ აკონტროლებდა ყველა დეტალს, რომლებიც გაწერილია სალიცენზიო ხელშეკრულებაში, რომელიც დაიდო ამ გამომცემლობასა და თსუ-ს შორის. მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ იმ პერიოდის საქართველოში არსებული რეგულაციებით, რომლებიც შემდგომ თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შეიცვალა, წიგნის თარგმნის უფლება არ გააჩნდა თსუ-ს თანამშრომელს, რომელიც ბოლო 3 წელი მუშაობდა უნივერსიტეტში, რაც სრულიად ალოგიკურად და ანომალიურად მეჩვენება. ამის გამო, წიგნის თარგმნაზე გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირები მონაწილეობდნენ. ეს ტენდერი რამდენჯერმე ჩაიშალა, რადგანაც მონაწილეები ვერ ფლობდნენ ეკონომიკური და ბიზნესის ადმინისტრირების დარგში არსებული ლიტერატურის თარგმნის შესაბამის უნარებს. წარმოიდგინეთ, რა ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვაა საჭირო, რომ ქართულ ენაზე თარგმნო და გამოსცე დასავლეთის სამყაროში აპრობირებული სახელმძღვანელო. ამასთან, ინგლისურ ენაზე გამოთქმული შეხედულებების, იდეებისა და აზრების ქართულ ენაზე გადმოცემა, ხოლო შემდგომ მათი „გაქართულება“, რაც წილად ხვდა წიგნის სარედაქციო ჯგუფს, ერთობ რთული ამოცანა გახლდათ. პრობლემა დაიძლია, რაც ქართველი სტუდენტებისთვის ამ ერთობ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების წარმატებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. როგორც ამ პროექტის ხელმძღვანელს - მე და ჩემს კოლეგებს, გვეამაყება, რომ უკვე სექტემბერში ჩვენს სტუდენტებს ექნებათ სრულყოფილი ამერიკული სახელმძღვანელო „საერთაშორისო ბიზნესის“ დარგში, რასაც თან ახლავს სილაბუსების ცვლილება, რაც უდავოდ განხორციელდება.

— რამდენად ღირებულია ეს სახელმძღვანელო?

— ჯონი დ. დენიელსის, ლი ჰ. რადებოგის, დენიელ ფ. სალივანის სახელმძღვანელო „საერთაშორისო ბიზნესი, გარესამყარო და ოპერაციები“ წარმოადგენს მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილ და გამოცემულ ერთერთ პოპულარულ წიგნს, რომელიც აქტიურად გამოიყენება როგორც ბაკალავრიატის, ასევე, მაგისტრატურის დონეზე ამ მეტად მნიშვნელოვანი დისციპლინის სწავლების პროცესში. მის ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ამით დასავლეთის თანამედროვე სასწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომი გახდა ქართველი სტუდენტებისთვის.

წიგნი წარმოგვიდგენს თეორიული და პრაქტიკული მასალის ორგანულ სინთეზს, მეცნიერული კვლევისა და სწავლების იმ მდიდარ არსენალს, რომელიც აუცილებელია „საერთაშორისო ბიზნესის“ სრულყოფილი სწავლების პროცესში.

სახელმძღვანელოში „საერთაშორისო ბიზნესი, გარესამყარო და ოპერაციები“ წარმოჩენილი საკითხების ლოგიკა არის აქტუალური და მოიცავს დასავლეთში არსებული ბიზნესის სამყაროს სპეციფიკას. იმდენად, რამდენადაც ეს ჩვენთვის უცხო ხილია, ხშირად მითქვამს და დღესაც ვამბობ, რომ ბორბლის შექმნა ამ დარგში არ არის საჭირო, ის უკვე შექმნილია. აუცილებელია, დასავლეთში აპრობირებული წიგნების თარგმნა და მათი სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა თსუ-ში, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დასავლეთის თანამედროვე პედაგოგიკა ამ ტიპის სახელმძღვანელოების სწავლების სრულიად განსხვავებულ მეთოდებს გვთავაზობს, მათ შორისაა წიგნის ყოველი თავის შესავალ და დასკვნით ნაწილში არსებული ქეისები, ტექსტში არსებული სიტუაციური ანალიზი ერთი სიტყვით, გალაკტიონის გენიალური სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერთი საქმეა წიგნის დაწერა და მეორე — მისი ხალხში გატანა“ — ამ ფილოსოფიური ნააზრევიდან გამომდინარე, ერთი საქმეა სახელმძღვანელოს თარგმნა და მეორე — მისი სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენება. ამ ტიპის წიგნების სწავლების პროცესში აუცილებელია, როგორც სალექციო, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობის კონცეფციის რადიკალური ცვლა. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ტრადიციულ სემინარზე და იგი პრაქტიკული მეცადინეობით შეიცვალოს. ეს კი შეუძლებელია იმ ახალგაზრდების, ჩვენი დოქტორანტებისა და დოქტორების გარეშე, რომლებმაც სწავლება, თუნდაც გაცვლითი პროგრამებით, დასავლეთის უნივერსიტეტებში გაიარეს. საუბედუროდ, უკანასკნელ პერიოდებში, თსუ-ში თაობათა ცვლის დინამიური პროცესი შეყოვნდა. აკადემიური პერსონალის კონკურსებში ჩვენ უარი ვთქვით ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების დარგში ვიწრო სპეციალიზაციის მქონე პროფესიონალების დასაქმებაზე, ამის შედეგად კი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი, რიგი მიმართულების მიხედვით, დაეცა. სწავლების დარგში არსებული მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი კი რიგ შემთხვევებში იწვევს ჩვენი სტუდენტების სამართლიან პროტესტს, რისი მიზეზები არა მარტო ახალგაზრდების მაქსიმალისტურ ბუნებაში, არამედ საკუთარ თავშიც უნდა ვეძიოთ.

იოსებ ყიფშიძის მემკვიდრეობა

18 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის იოსებ ყიფშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ქართველურ ენათა კვლევის საკვანძო საკითხები და პერსპექტივები“. კონფერენციის გახსნამდე მონაწილეებმა თსუ-ის პანთეონში ყვავილებით შეამკეს იოსებ ყიფშიძის საფლავი. ღონისძიების ორგანიზატორი იყო თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

კონფერენცია გახსნა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ, რომელმაც ისაუბრა იოსებ ყიფშიძის დამსახურებაზე უნივერსიტეტისა და ქართველოლოგიური მეცნიერების წინაშე. მანვე აღნიშნა, რომ მზადდება იოსებ ყიფშიძის სამეცნიერო ნაშრომების კრებული, რომელიც სულ მალე იხილავს დღის სინათლეს. „იოსებ ყიფშიძე ძალიან ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან. მას მხოლოდ ათიოდე წელი დასცალდა მოღვაწეობა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა დარჩა. მისი სამეცნიერო ნაშრომები დღესაც ცოცხალია და ისწავლება ჩვენს მიმართულებაზე. იგი იყო ივანე ჯავახიშვილის თანამებრძოლი და დიდი წვლილი მიუძღვის უნივერსიტეტის დაარსებაში, თუმცა მხოლოდ ერთი წელი მოასწრო ამ კედლებში მუშაობა. ასევე გახლდათ პროფესორთა საბჭოს პირველი სწავლული მდივანი, ქართული ენის კათედრის პირველი გამგე და იმ დროს არსებული ერთადერთი ფაკულტეტის – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის მიადგილე (დეკანი თავად ივანე ჯავახიშვილი გახლდათ). მუშაობის ამ მცირე ხნის განმავლობაში მან მოახერხა საფუძველი ჩაეყარა ბევრი ფუნდამენტური იდეისთვის, რისი განვითარებაც შემდეგ ათეული წლების განმავლობაში ხდებოდა ჩვენს უნივერსიტეტში, იოსებ ყიფშიძის დაბადების თარიღი დაზუსტებული არ არის, ცნობილია მხოლოდ, რომ 100 წელი გავიდა მისი ყველაზე ფუნდამენტური ნაშრომის „მეგრული ენის გრამატიკის“ გამოცემიდან“, — აღნიშნა მან.

იოსებ ყიფშიძის ბიოგრაფია კონფერენციის მონაწილეებს გააცნო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რამაზ ქურდაძემ.

იოსებ ყიფშიძემ მეცნიერული განვითარების სკოლა პეტერბურგის უნივერსიტეტში გაიარა. მისი არჩევანი თავიდან ფიზიკა-მატემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების გეოგრაფიის დარგი იყო, თუმცა პარალელურად ესწრებოდა ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ლექციებსაც. იოსებ ყიფშიძე პოლიტიკურად აქტიური პიროვნება ყოფილა და ამის გამო უნივერსიტეტიდან გაურიცხავთ. ნიკო მარის დახმარებით კი მოუხერხებია თავის აღდგენა და სწავლა გაუგრძელებია უკვე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. იგი პირველი კურსიდანვე ჩაბმულა სამეცნიერო მუშაობაში. შეუსწავლია ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, სომხური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა, ლურსმნული წარწერების ენა, ასევე, მეგრული და სვანური.

სტუდენტობის პერიოდში აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ იოსებ ყიფშიძე 2-ჯერ მიავლინა სამეგრელოში მეგრულის შესასწავლად 1909 და 1910 წლებში. ასევე მიავლინეს რუსეთის ლაზისტანში ლაზურის შესასწავლად და მასალების ჩასაწერად. ამ პერიოდში დაიბეჭდა მისი ბრწყინვალე ლინგვისტური ნაშრომი, რომელშიც მეცნიერული სიზუსტით აღიწერა ხოფური კილოკავის ჩხალური თქმა. მან ასევე პირველმა გამოსცა ჭანური ზღაპრების ტექსტი.

გამოჩენილი ენათმეცნიერი იოსებ ყიფშიძე ივანე ჯავახიშვილის მოწაფე და თანამოაზრე გახლდათ. იგი იყო იმ სამეცნიერო წრის აქტიური წევრი, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა პეტერბურგში დააარსა და რომელზეც საქართველოში მეცნიერების განვითარების იმედს ამყარებდა. იოსებ ყიფშიძე ამ წრეში გაერთიანებულ სტუდენტებს სხვადასხვა საკითხებზე უკითხავდა ლექციებს.

იოსებ ყიფშიძემ 1911 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და იქვე დატოვეს ასპირანტად. ამავე პერიოდიდან იგი კითხულობდა ქართული ენის პრაქტიკულ კურსს აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოებასთან არსებული კავკასიური ენების შესწავლის პრაქტიკულ კურსებზე. ამავე პერიოდში ლითოგრაფიული წესით რუსულ ენაზე გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა“ (1911 წ).

მან 1914 წელს დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა“, ქრესტომათიითა და მეგრულ-რუსული ლექსიკონით. ეს ნაშრომი ამავე წელს დაიბეჭდა. პეტერბურგში. მისი მემკვიდრეობიდან ძველი ქართული წერილობითი ძეგლის ტექსტოლოგიური შესწავლის ნიმუშს წარმოადგენს „ცხოვრება ანტონი-რავახისა“ და ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, რომელიც 1918 წელს გამოიცა პეტერბურგში.

1915 წელს იოსებ ყიფშიძემ მიიღო პრივატდოცენტის წოდება და პეტერბურგში კითხულობდა ძველი ქართული ენისა და მეგრულის კურსებს.

ამავე პერიოდში მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოში მოღვაწე ქართველოლოგებთან.

1918 წლიდან იოსებ ყიფშიძე უკვე ივანე ჯავახიშვილის გვერდით იდგა და უნივერსიტეტის დაარსებისთვის აუცილებელ საქმიანობაში ეხმარებოდა. იყო პროფესორთა საბჭოს პირველი სწავლული მდივანი, ქართული ენის კათედრის პირველი გამგე და იმ დროს არსებული ერთადერთი ფაკულტეტის — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის მიადგილე, თუმცა მისი მოღვაწეობა უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი წელი გაგრძელდა. ის 1919 წელს გარდაიცვალა.

ცნობილია, რომ მისი დაკრძალვის დღეს უნივერსიტეტში ლექციები არ ჩატარებულია. დაიბეჭდა იოსებ ყიფშიძის ფოტო და ბიოგრაფია და ხალხს დაურიგდა, რომ დაეხსომებინათ ადამიანი, რომელმაც საქართველოში განათლების კერის დაარსებას და განვითარებას დიდი ძალისხმევა შეალია.

ცნობილი ქართველი მეცნიერი კორნელი დანელია წერდა: „იოსებ ყიფშიძის ხანმოკლე, მაგრამ ღრმაშინაარსიანი ცხოვრებისა და ღვაწლის თუნდაც ზოგად შტრიხებში წარმოდგენა და გაცნობიერება უნდა მივიჩნიოთ არა მარტო მადლიერი შთამომავლების ზნეობრივ ვალად — ღირსეული პატივი მიეგოს მას, არამედ ერთ-ერთ ისეთ ცხოველმყოფელ მაგალითადაც, რომელმაც უნდა შეძლოს საქართველოს მომავალი თაობების სამოქმედო ძალების აქტივიზაცია, რომ დღენიადაგ შეახსენებდეს, თუ როგორ უნდა ერისადმი ჭეშმარიტი სამსახური შესაძლებლობების მაქსიმუმის გაღებით“.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა ეთერ ქავთარაძემ, რომელიც ამავდროულად, იოსებ ყიფშიძის ოჯახის წევრია, წარმოადგინა მოხსენება „იოსებ ყიფშიძე — პიროვნება, მოქალაქე, მეცნიერი“.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში, იოსებ ყიფშიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის მაგალითზე, საფუძველი ჩაეყარა გამოცემების ახალ სერიას „კლასიკოსები და თანამედროვენი“, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლების ნაშრომები და მათი შეფასებანი.

ზემოხსენებული სერიის მსგავსად, იოსებ ყიფშიძის წიგნზე მუშაობის დროს ასევე სპეციალურად შეიქმნა „Folia Caucasica“-ს ქართული განყოფილებაც (გამოცემის რედაქტორები: ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორები იოსტ გიპერტი და მანანა თანდაშვილი).

„კლასიკოსები და თანამედროვენი“-ს პირველ წიგნში თავმოყრილი იქნება იოსებ ყიფშიძის სამეცნიერო შრომები — ლინგვისტური შენიშვნები, რეცენზიები, ასევე პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, ეპისტოლარული მასალა და მათი ანალიზი. კონფერენციის მონაწილეებს ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია გააცნო თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა მაია ლომიამ.

ეს კრებული აღსანიშნავია იმითაც, რომ მის შედგენაში მონაწილეობდნენ როგორც თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები, ასევე სტუდენტები, რომლებმაც გამოსაცემად მოამზადეს იოსებ ყიფშიძის მიერ გასული საუკუნის 10-იან წლებში ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მასალები.

წიგნი გამოიცემა ბეჭდურად, ხოლო მისი ელექტრონული ვერსია განთავსდება ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის სერვერზე და ექნება მომხმარებლის ღია წვდომა. ამასთან, გამოქვეყნების ფორმატი იქნება ინტერაქტიული, რაც გულისხმობს იმას, რომ დადასტურებული ლიტერატურის ელექტრონულად ხელმისაწვდომი ვერსიები ლინკების სახით დაუკავშირდება წიგნის ტექსტს.

სამეცნიერო კონფერენციამ 19 დეკემბერს დაასრულა მუშაობა.

სტუდენტური კვლევა

„ქართველი პოლიტიკოსებისადმი დამოკიდებულება“

ნატო ოგოლაძე

როგორია ქართველი პოლიტიკოსებისადმი დამოკიდებულება? რა გავლენა აქვს ერთმანეთზე თანამედროვე პოლიტიკასა და ლიტერატურას? როგორია ქართული პოლიტიკური კულტურა? – ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა გვანცა ხარაიშვილმა და გიორგი გობეჩიამ მინი-სოციალური კვლევა ჩაატარეს. კვლევა არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ინსტიტუტის“ ბაზაზე არსებული კვლევითი ცენტრის ფარგლებში განხორციელდა. შედეგები სტუდენტებმა თსუ-ის სოციოლოგიის მიმართულებაზე არსებული სადისკუსიო კლუბის მორიგ შეხვედრაზე მოწვეულ სტუმართან — კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად განიხილეს.

„სულ, თსუ-ის მასშტაბით, 52 სტუდენტი გამოვკითხეთ. კითხვები ასეთი შინაარსისა იყო — ვინ მიგაჩნიათ ბოლო 25 წლის განმავლობაში ყველაზე ქარიზმატულ ლიდერად? ვინ მოგწონთ თანამედროვე პოლიტიკოსებიდან და ვინ – არა? როგორ შეაფასებდით პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის მუშაობას და ა.შ. კვლევის ფარგლებში გამოვკითხეთ ექსპერტებიც. ზოგადად, უფრო ფართო მასშტაბიან კვლევებს ვატარებთ, მაგრამ, ამჯერად, დროში შეზღუდულები ვიყავით. ექსპერტთა რანგში მხოლოდ რამდენიმე ლექტორის გამოკითხვა შევძელით, რადგან, დროის უკმარისობის გამო, უარს გვეუბნებიან, ხანდახან უბრალოდ არ თვლიან საჭიროდ ჩვენს გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღონ. ლექტორებსაც დაახლოებით იგივე შინაარსის კითხვები დავუსვით და დამატებით გავიგეთ მათი მოსაზრებები საქართველოში ბოლო 25 წლის მანძილზე მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით. ასევე, ვეკითხებოდით თანამედროვე ლიტერატურისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ თანამედროვე ლიტერატურა პოლიტიკურ პროცესებს ნაკლებად ეხმაურება, ქარიზმატულ ლიდერად ექსპერტებმა ზვიად გამსახურდია დაასახელეს, სტუდენტებმა — მიხეილ სააკაშვილი. ბოლო 25 წლის განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს რაც შეეხება, ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს, რომ ჩვენ, როგორც ერი, როგორც სახელმწიფო, ვერ შევდექით. ამის მიზეზი კომპლექსური პრობლემებია, რაც ბოლო საუკუნეების განმავლობაში დაგროვდა“, — განაცხადა კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა გვანცა ხარაიშვილმა.

კვლევის „ქართველი პოლიტიკოსებისადმი დამოკიდებულება“ სტუდენტებმა უკვე სადისკუსიო კლუბში კონსტანტინე გამსახურდიასთან შეხვედრაზე განიხილეს. დღევანდელი და 90-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ვითარების შედარებითი ანალიზი, ლიტერატურისა და პოლიტიკური პროცესების ურთიერთმიმართების გამორკვევა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე — აღნიშნულ საკითხებზე მოწვეულ სტუმართან დისკუსია სტუდენტებისთვის მოსალოდნელზე უფრო საინტერესო აღმოჩნდა.

„კონსტანტინე გამსახურდიამ ძალიან კარგად ისაუბრა საქართველოში 25 წლის წინ პოლიტიკური პროცესების ფორმირებაში ლიტერატურის როლის შესახებ. მისი მოსაზრებით, 80-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის მთავარ ღერძს სწორედ მწერლები, პოეტები, ხელოვანები შეადგენდნენ. დღეს ლიტერატურა პასიურ მდგომარეობაშია და მას საზოგადოებაზე აღარ აქვს ის გავლენა, რაც მაშინ. ამ პრობლემის მთავარი გამომწვევი მიზეზი კი განათლებაში უნდა ვეძიოთ. საინტერესო იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ დღეს პოლიტიკოსებს უჭირთ ოქროს შუალედის მოძებნა და რადიკალიზმისკენ არიან მიმართულები. მხარს უჭერენ ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაშიც, უპირველესად, სახელმწიფოებრივი ინტერესის ნაცვლად, პარტიულ ინტერესებს ატარებენ. ჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველა პოლიტიკურ პარტიას აქებენ, ან პირიქით – ყველას აკრიტიკებენ მათი არაკომპეტენტურობის თუ გაუნათლებლობის გამო. ეს ექსპერტების გამოკითხვამაც დაამტკიცა“, — გვითხრა სადისკუსიო კლუბის წევრმა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა გიორგი შარტავამ.

ჩატარებული კვლევების შედეგების სადისკუსიო კლუბში განხილვა კომპეტენტურ ექსპერტთან ერთად — მუშაობის შედარებით ახალი ფორმატია და სადისკუსიო კლუბის ხელმძღვანელის, პროფესორ ამირან ბერძენიშვილის თქმით — უფრო ეფექტურიც. ჩამოყალიბდა აქტიურ სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა საკითხებზე სისტემატურად აწარმოებს კვლევებს. მიმდინარეობს მთარგმნელობითი სამუშაოებიც.

არასამთავრობო ორგანიზაციის „ინფორმაციული განვითარების ინსტიტუტის“ კვლევითი ცენტრის წევრ სტუდენტებს წლის ბოლომდე კიდევ ორი ღონისძიება აქვთ დაგეგმილი. ეს გახლავთ სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები თემებზე – განათლება და ოჯახი და აფხაზეთის პრობლემატიკა.

„ლეგენდა მეგობრობაზე — გოგლიკოს 19 წელი“

Ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის შვილიშვილისა და საფრანგეთში ყოფილი ელჩის გოჩა ჩოგოვაძის ვაჟიშვილის — გიორგი (გოგლიკო) ჩოგოვაძის დაბადებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო — „ლეგენდა მეგობრობაზე — გოგლიკოს 19 წელი“ გაიმართა. საღამოზე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორის ნინო კაკულიას დოკუმენტური ფილმის — „გოგლიკო“ და მისივე ავტორობით გამოცემული წიგნის — „კაცი, რომელიც თავს არ მოიკლავდა“ პრეზენტაცია შედგა.

ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ.



შურთხია ბეროშვილი

„საბედისწერო წამიდან უკვდავებამდე“ დროს ათვლა არ აქვს, მაგრამ წლებმა მაინც ვერ გაანელა ტკივილი, რომელიც გოგლიკომ თავისი წასვლით დატოვა.

„არა — ჩეულებრივი!“ — მსახიობ ავთო მახარაძის მიერ მოძებნილი ეს სიტყვა ზუსტად შეესაბამებოდა იმ განცდას, რაც ფილმის ჩვენებისა და წიგნის გაცნობის შემდეგ დარჩა დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას.

1984 წლის 27 მაისს გოგლიკო და მისი განუყრელი ოთხი მეგობარი აფრიანი იახტით თბილისის ზღვაზე გავიდნენ. ახალგაზრდები ვარჯიშობდნენ, რათა ტიმ სევერინის ექსპედიციას, რომელიც ახალი „არგოთი“ საბერძნეთის ქალაქ იოლკოსიდან საქართველოსკენ მოემართებოდა, ქალაქ ფოთის მისადგომებთან, შავი ზღვის სანაპიროსთან დახვედროდნენ. უეცრად იახტის ანძა წყლის ზემოთ გადებულ ელექტროსადენს გამოედო, რომელშიც მაღალი ძაბვის დენი გადიოდა. იმის გასარკვევად, რა აფერხებდა იახტას, ძმები გოგიტა და კახა ჩხაიძეები წყალში გადახტნენ, რის შედეგადაც ორივეს დენმა დაარტყა და დაიღუპა, გოგლიკომ მეგობრების დახმარება სცადა და ... „გოგლიკოს ინსტიქტური „მე“ სამუდამოდ „გადარჩა“, მაგრამ წყლის ზედაპირზე მისი შეხებისთანავე წამი გაჩერდა, დრო გაიყინა, ცა დაბნელდა.... მეგობრებისთვის მეგობარმა სიკვდილი დასცადა...“

გოგლიკო ჩოგოვაძის ხსოვნის საღამოზე თსუ-ის პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა დამსწრე საზოგადოებას მიმართა: „ამ ფილმის ნახვის შემდეგ ყველა ჩვენგანს მძიმე განწყობა აქვს, მაგრამ, ამავე დროს, რასაკვირველია, ყველა შინაგანად კმაყოფილია, რადგან არსებობს ხსოვნა — და ჩვენ შეგვიძლია ეს სრულიად არაორდინალური ახალგაზრდა გავიხსენოთ.

ფილმიც და წიგნიც ძალზე შთამბეჭდავია. ძნელი ამოცანის წინაშე იდგა მათი ავტორი ნინო კაკულია, რადგან ახალგაზრდა, რომელიც ჩვენგან წავიდა, და წავიდა იმ ასაკში, როდესაც ყველაფერი ჯერ კიდევ წინ ჰქონდა, აღარ არის ჩვენ შორის.

მინდა მოგახსენოთ, რომ ეს ტრაგიკული ამბავი, რომელიც მოხდა, ჩვენში უფრო მაღალ გრძნობას აღძრავს: — ეს არის თანაგრძნობა, მეგობრის დახმარების ჩვენს ბუნებაში არსებული ინსტიქტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, ამ წიგნში ეს მიზანი მიღწეულია. გოგლიკოს ისტორია თითქოს სულიერად აგვამაღლებს, ჩვენშიც აღვიძებს თანალმობის გრძნობას და ამასთან, დაგვაფიქრებს იმაზე, თუ რა არის ჩვენი ცხოვრება. გვიჩნდება კითხვა, იმ სიტუაციაში როგორ მოიქცეოდა თითოეული ჩვენგანი. ძალზე საყურადღებოა, რომ ეს ტრაგედია მთელ საქართველოში აღქმული იყო ადეკვატურად. პირადად ვიყავი მომსწრე და მონაწილე ტიმ სევერინის მოგზაურობისა და არასდროს დამავიწყდება, როგორ შეძრა ტიმ სევერინი ამ ამბავმა.

წიგნისა და ფილმის შემდეგი სეგმენტი არის ადამიანების დამოკიდებულება გოგლიკოს მიმართ, რაც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია. ჩვენ საშუალება გვეძლევა 19 წლის ბიჭის სულიერ სამყაროში შევაღწიოთ. „ჩემი მცირე ენციკლოპედიის“ გაცნობისას კი გაგაოცებთ მისი მსოფლმხედველობა. კარგად ჩანს, რომ ამ ადამიანს უნდოდა დაუფლებოდა ცოდნას და განწყობილი იყო საზოგადოების სამსახურში ჩამდგარიყო.

ჩემი აზრით, ფილმის ნახვის და წიგნის გაცნობის შემდეგ ვიქნებით ერთსულოვანი იმაში, რომ საქართველომ 30 წლის წინ დაკარგა ადამიანი, რომელიც პოტენციურად ჭირდებოდა ქვეყანას“, — აღნიშნა რისმაგ გორდეზიანმა.

მასაც დედა-უნივერსიტეტში უსწავლია

ნელს ოქტომბერში ქართველ და ებრაელ ერთა 26-საუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობების სადღესასწაულო დღეებში თბილისში გამოიცა არონ კრიხელის წიგნი „წარსულის სურათები“. ეს წიგნი ავტორის სიცოცხლეში არ გამოცემულა, ვინაიდან იგი 48 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაცვლილა და მისმა შვილებმა რიტამ, ჯემალმა და სიმონმა (რომელიც ამავე დროს არის ნიუ-იორკში გამომავალი გაზეთების — „დავითის ფარის“ და „თბილისელების“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი) თავი მოუყარეს ისრაელსა და საქართველოში გაბნეულ ხელნაწერებს და აღნიშნული წიგნი მიუძღვნეს მამის — არონ მიხეილის ძე კრიხელის დაბადებიდან 100 წლისთავს და ქართულ-ებრაული მეგობრული ურთიერთობების 26-საუკუნოვან იუბილეს.

არონ კრიხელმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, რომელიც მისი შემდგომი სამწერლო მოღვაწეობის დასაბამია.

ებრაელთა მუზეუმის მუშაობის დროს მას გულმოდგინედ შეუსწავლია ქართველ ებრაელთა განსახლების ადგილები, შეუგროვებია მათი ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალები, ხანდაზმული ადამიანებიდან დაუფიქსირებია მათი მოგონებანი, ებრაული სიმღერების ტექსტები, იშვიათი სიტყვები და იდიომური გამოთქმები.

მწერლური ნიჭით დაჯილდოებული არონ კრიხელი თავის მიერ მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებს ხშირად მხატვრულ სახეს აძლევდა და მკითხველთათვის საინტერესოს ხდიდა.

ავტორისთვის ძირითადია ქართულ ებრაული თემატიკა.

წიგნი „წარსულის სურათები“ ნოველების ნაკრებია, 12 თავისგან შედგება და მოიცავს 132 გვერდს.

ნაწარმოების პერსონაჟები, ძირითადად, საქართველოშია, შემდეგ მათი მოქმედების არეალი ფართოვდება — ისინი რუსეთშიც, ისრაელშიც საქმიანობენ, ბოლშევიკურ არმიას ეგებებიან თბილისში, ზოგი მხარს უჭერს, ნაწილი სკეპტიკურად უყურებს, მეორე მსოფლიო ომშიც იბრძვიან... მხატვრულად აღწერილია ღარიბ ებრაელთა გამდიდრებისა და მდიდრების გაღარიბების პროცესი, პატიოსანი ებრაელის თაღლითობა და კრიმინალური წარსულის მქონეთა კეთილშობილური საქციელი.

არონ კრიხელი

ნების ლამაზი აღწერით, პერსონაჟთა ოსტატური დახასიათებით.

არონ კრიხელის ნაწარმოებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართველ ებრაელთა სწავლისა და რელიგიური განათლების საკითხებს, იგი დაწვრილებით აღწერს დავით ბაბაზოვისა და სწავლულ ნათან ელიაშვილის ფასდაუდებელ მოღვაწეობას.

არონ კრიხელი, მიუხედავად იმისა, რომ მიღებული იყო ლიტერატურულ წრეში და პირადი მეგობრობა აკავშირებდა ცნობილ მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და რედაქტორ-გამომცემლებთან, სიცოცხლეში თითქმის არ აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს. ამას ჰქონდა ობიექტური და სუბიექტური მიზეზები.

ობიექტური მიზეზი ისაა, რომ მისი აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა დაემთხვა ყოფილ საბჭოთა კავშირში მიმდინარე ანტისემიტიზმს, რის გამოც ებრაული თემატიკა ძალზე შეზღუდული იყო. სუბიექტური მიზეზი მის პიროვნებაშია. არონ კრიხელი გადაჭარბებული თავმდაბლობის გამო დიდ მოთხოვნებს უყენებდა თავის ნაწარმოებებს. ამ აზრის ჭეშმარიტებაში მკითხველი დარწმუნდება „წარსულის სურათების“ გაცნობისას.

და ბოლოს, აღსანიშნავია ღირსეულ შვილთა ძალისხმევა მამის უკვდავყოფასა და მკითხველთათვის საინტერესო ნაწარმოების მიწოდებაში. მათ მოიპოვეს „წარსულის სურათების“ დაკარგული 4 თავი და სურთ გამოსცენ ზემოხსენებული წიგნი უახლოეს მომავალში სრულყოფილი სახით.

დავით კურტანიძე,
გაზეთ „დავითის ფარის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, პროფესორი;
რამაზ აბესაძე,
თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

„სტუდენტის თვალით დანახული ჯარისკაცი“ — კონკურსში გამარჯვებული თემა

მერიმ უკვე იცის, რომ „ომი მიწიერი ჯოჯოხეთია, ხელმოწერაა ათასობით, მილიონობით მოქალაქის სიკვდილზე, რომელთა შორის ყველა ვიღაცის მამა, ძმა, შვილი, ქმარი, მეგობარი და უბრალოდ ადამიანია!...“

მერის მოთხრობის წერისას თავისი განცდების გადმოცემა არ გასჭირვებია, რადგან მისმა თაობამაც უკვე განიცადა ომის საშინელება, ამიტომ მოთხრობაში მოყოლილი ამბავი ემოციური და დამაჯერებელია.

თსუ-ის სტუდენტური თვითმართველობისა და თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მერი ხვედელიძის მოთხრობა — „სტუდენტის თვალით დანახული ჯარისკაცი“ საუკეთესოდ დასახელდა.

მერი ხვედელიძე ჯერ პირველკურსელია. თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკოლოგიის მიმართულებაზე სწავლობს და, მისი თანატოლების მსგავსად, მრავალი ოცნება, გეგმა და მიზანი აქვს. იცის, რომ მათ შესასრულებლად ბევრი უნდა იშრომოს და ისწავლოს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა ძალიან მოწონს. თავისი სპეციალობა უყვარს, თუმცა მეოცნებე და რომანტიკოსია. ლექსებს და მოთხრობებს ბავშვობიდან წერს. კითხვა ძალიან უყვარს, მისი საყვარელი მწერლები არიან რემარკი, დიუმა, სტივენ კინგი, დოსტოევსკი... არ გამორიცხავს, რომ ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ სულ სხვა პროფესია აირჩიოს, თუმცა ჯერ ძიების პროცესშია.

მერი ხვედელიძე

„ლიტერატურის სიყვარული არ გამნელებია, პირიქით, როგორც კი უნივერსიტეტში ჩავაბარე, მაშინვე გავწევრიანდი „მოყვარულ პოეტთა გაერთიანებაში“, სადაც ერთადერთი გოგო ვარ. სიხარულით ვესწრები ყველა საღამოს, ერთმანეთს ვაცნობთ ჩვენს შემოქმედებას და ვსაუბრობთ ლიტერატურაზე. როდესაც ამ კონკურსის შესახებ გავიგე, მაშინვე დავიწყე ფიქრი, მინდოდა წარმომედგინა, რა ემოციები აქვთ ომის დროს ადამიანებს და ეს ყოველივე დამეწერა. ქართველი ჯარისკაცები მართლაც, გმირები არიან. მათ წარმოუდგენელი მაგალითები გვაჩვენეს და ჩვენი ვალია — არ დავივიწყოთ ისინი. ომის თემატიკა ჩემთვის ძალიან მტკივნეულია. სხვათა შორის, 8 აგვისტოს მაქვს დაბადების დღე და 2008 წლის ომის შემდეგ ამ დღეს ყოველთვის მტკივნეულად განვიცდი“, — ამბობს მერი.

კონკურსში გამარჯვებული მერი ხვედელიძე სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა. თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კულტურის განყოფილების უფროსი, კომპოზიტორი ლილიკო ნემსაძე აღნიშნავს, რომ მერიმ კონკურსში დამსახურებულად გაიმარჯვა, თუმცა, სხვა მონაწილეების ნაშრომებიც ძალიან ამაღელვებელი და ემოციური იყო. „კონკურსში 20-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. მათი ნაშრომები კომპეტენტურმა ჟიურიმ შეაფასა. გაგვაოცა სტუდენტების ხედვამ, ამ პრობლემისადმი მათმა დამოკიდებულებამ. თითოეული ნაშრომი დიდი სიყვარულით და სითბოთი იყო დაწერილი. ჩემთვისაც ძალიან მტკივნეულია ეს საკითხი. მახსოვს, ჯერ კიდევ აბიტურიენტი ვიყავი, როდესაც თავად დავწერე თავისუფალი თემა ქართველ ჯარისკაცზე, რომელიც ბაბუას მივუძღვენი. ახლახან ერთი სიმღერაც დავწერე. ყველანი მოვალენი ვართ — გამოვხატოთ ჩვენი სიყვარული და პატივისცემა მათ მიმართ, ამიტომაც იყო ეს კონკურსი მნიშვნელოვანი“, — ამბობს ლილიკო ნემსაძე.

უნივერსიტეტის ნაძვის ხესთან ჩათქმული სურვილები

ახალ წელთან შეხვედრა, პირველ რიგში, ბავშვობაში დაბრუნება და მოგზაურობაა... ამ დღეს ისევ გჯერა, რომ ნაძვის ხესთან ჩათქმული სურვილი ასრულდება და შენს ცხოვრებაშიც მოხდება სასწაული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრადიციულად, უზარმაზარი ნაძვის ხე იდგმება, რომელსაც სიხარულით რთავენ სტუდენტები და თავიანთ ოცნებებს ჩაუთქვამენ. ეს ის ასაკია, სანტა კლაუსისა და თოვლის ბაბუას არსებობა რომ აღარ გჯერა, მაგრამ იმაზე ფიქრი და ოცნება ნამდვილად ღირს — რა იქნება მომავალში... ახალი წლის ჯადოსნურ ღამეს გინდა დაიჯერო, რომ ცხოვრება ზღაპარივით ლამაზი იქნება, თუ, რა თქმა უნდა, ამისთვის შენც გაირჯები: ისწავლი, იმუშავებ და ყველას დაუმტკიცებ, რომ აუხდენელი სურვილი არ არსებობს.

ნიკა დარგაისელი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— ახალი წელი ჩემთვის რაღაც კარგი სიახლის დასაწყისია. ამ დროს გგონია, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. ჩემი სურვილია, პირველ რიგში, ახლობლები მყავდეს კარგად და ჯანმრთელად. წელს, მინდა, სწავლის პარალელურად, მუშაობა დავიწყო და ჩემი სწავლის გადასახადი თავად გადავიხადო.

მარიამ გევრისაშვილი,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— ჩემი მთავარი ოცნება და სურვილია, 2015 წელი ყველა ჩემი ახლობლისთვის, ჩვენი სტუდენტებისთვის და პედაგოგებისთვის სურვილების ასრულების წელი ყოფილიყოს.

გურამ ფცქიალაძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— პირველ რიგში, მინდა, საქართველოს ვუსურვო გაძლიერება, ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოება, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, რაც შორეული პერსპექტივაა, მაგრამ მაინც. ვისურვებდი, ასევე, თსუ-ში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ეს III კორპუსს ეხება. ჩემს თავს კი წარმატებებს ვუსურვებ, უკეთეს შედეგებს და მაღალ ქულებს გამოცდებზე, ასევე, გაცვლითი პროგრამით ევროპის რომელიმე საუკეთესო უნივერსიტეტში სწავლას. ყველაფერთან ერთად კი მინდა, ყველა ჩემი საყვარელი და ახლობელი ბედნიერი და ჯანმრთელი მყავდეს.

მარიამ ტყეშელაშვილი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— პირველ რიგში, ჩემი ოცნებაა, სწავლა გავაგრძელო საზღვარგარეთ. უნივერსიტეტს კი ვუსურვებ მეტ აკადემიურობას, მეტ პროფესიონალ ლექტორს. მინდა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მეტი წიგნით გამდიდრდეს, განსაკუთრებით საერთაშორისო მიმართულების სასწავლო სახელმძღვანელოებით. თსუ რეგიონში საუკეთესო სასწავლებლად ითვლება და ვისურვებდი, ეს რეიტინგი შეინარჩუნოს.

ლილე ყაზაიშვილი,
თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— პირადი ოცნებები ბევრი მაქვს, თუმცა, ამაზე საუბარი არ მინდა, მაგრამ, როგორც მოქალაქეს და როგორც სტუდენტს, მინდა, რომ უნივერსიტეტი იყოს უფრო მეტად სეკულარული. როგორც მოქალაქეს, მსურს, მშვიდობიან ქვეყანაში ვიცხოვრო, სადაც აღარ იქნება დისკრიმინაცია და ყველა თანაბარუფლებიანი იქნება.

თაკო ძსოვრელი,
თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი:

— მინდა, ყველას ბედნიერება, ოცნებების ახდენა და ჯანმრთელობა ვუსურვო, ჩემს თავს და მეგობრებს კი, პირველ რიგში, კარგი სწავლა და წარმატებები...

გვერდი მოამზადა
შურთხია ბეროშვილმა

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, შალვა აბზიანიძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62